

დავით ბერიაშვილი



რუსს მინდობილი

დავით ბერიაშვილი

რუსს მინდობილი



გამომცემლობა „მწიგნობარი“ თბილისი - 2024

მხატვარი: ხათუნა ბერიაშვილი

დამკავალდონებელი: ინგა დვალაიშვილი

ISBN 978-9941-514-72-2

- ლა კალგია, მამიკო მია და შოკოლადებში მომიტანე. - ტიკტიკებს ოთხი წლის ლუკა და სიხარულით ყირაზე გადადის. მერე ბებოს წინ ჩერდება და ეკითხება, - ხო მია მამიკო და შოკოლადებში მომიტანე?

- კი, ბებო, მოვა, აბა, რა იქნება? - პასუხობს თამრო ბებია და შვილიშვილს ჯერ თავზე ხელს უსვამს, შემდეგ კი ბუნხულა ლოყაზე ჰკოცნის.

- შოკოლადებში ხო მომიტანე? - მაინც არ ისვენებს ლუკა.

- მოგიტანს, როგორ არ მოგიტანს.

- დღეში?

- არა, ბებო გენაცვალოს, დღეს უკვე ღამდება და ხვალ მოვა მამიკო.

- მათლა მია და შოკოლადებში მომიტანე? კიდევ ხო არ მატკუებ?

აქ თამარი სავარძელში ჩამჯდარ და თავჩაღუნულ მეუღლისკენ ბრუნდება, რომელსაც გამქრალი ხმით მიმართავს - ბესო, ბესოლო, ბესარიონ, თქვი რამე, კაცო.

- რა გინდა, თამარ, რა ვთქვა? - ჩაწითლებულ თვალებს იფშვნეტს ბესო.

- ლუკას აინტერესებს და მეც მაინტერესებს, ხვალ დაჩი ხომ მოვა?

- მოვა, აბა, სად წავა?! - უხალისოდ, ცალყბად პასუხობს ბესო.

- მათლააააააააააააააააა? - ბაბუისგან ასეთი პასუხი მხოლოდ გულუბრყვილო ლუკას ახარებს.

- ჰო, ბებო, მოვა, ხომ ხედავ, ბესო ბაბუაც როგორ ელოდება.

- ლა კალგია, ხვალ მამიკო მია და შოკოლადებში მომიტანე. - ისევ მხიარულად აკუნტრუშდა ლუკა.

ამ დროს თამარს თვალებში ცრემლი ადგება, მერე ფანჯარასთან მიდის, რათა ოჯახის დანარჩენ წევრებს არ დაანახოს მწუხარე სახე და სადღაც შორს, სივრცეში უაზროდ იყურება. უძირო სევდას დაუსადგურებია მის გულში, სევდას, რომელსაც საკუთარი ვაჟის გადამკიდვე, თითქოს უკვე შეჩვეულიც არის. მაშ, როგორი საქმეა, როცა ერთი კვირა იქნება, რაც შვილი არ უნახავს. სად არის? კაცმა არ იცის. ალბათ, სადღაც იქნება ჩარჩენილი და ნავარდობს. ქეიფი, დროსტარება, ქალები, აქა-იქ ნარკოტიკი და წვრილმანი ქურდობა-ხულიგნობები თამარ მამასახლისისა და ბესო შალიკაშვილის ერთადერთი ვაჟის, დაჩის ცხოვრების სტილია. მოკლედ, აღვირახსნილ

ცხოვრებასა და უწესრიგობას შეჩვეულ ისედაც თავქარიან კაცს, ძნელია მარწუხები მოუჭირო და პატიოსანი ცხოვრება ასწავლო.

* * *

დასავლეთ საქართველოს პროვინციაში დაბადებული და გაზრდილი თამარ მამასახლისი უმწვენიერესი ქალბატონი იყო. სილამაზით გამორჩეული ბავშვობიდანვე მოდელიობაზე ან მსახიობობაზე ოცნებობდა, თუმცა, ერთხელ, როცა თამარს, ოჯახში თავისი ოცნება გაუმხელია, როგორც ჩვენში ხშირად ხდება (განსაკუთრებით კი ათეული წლების წინ ხდებოდა.) ხოლმე, დედ-მამა და მასზე ერთი წლით უფროსი ძმა წასულან ამის წინააღმდეგ. მოდელიობა და მსახიობობა არ გაგვაგონო, ქვა აუგდია და თავი შეუშვერია სამივეს. ჰოდა, პროვინციელი მამრებისა და დედის გადამკიდვე საწყალი თამარიც ოცნებააუხდენელი დარჩენილა. განათლების მისაღებად კი მას სამედიცინო სფერო აურჩევია. რატომ აირჩია თამარმა მაინც და მაინც სამედიცინოზე ჩაბარება, ძნელი სათქმელია, უბრალოდ, ერთ მწვენიერ დღესაც, უკვე სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე თამარი მისულა თავის მშობლებთან (ძმაც იქ ყოფილა) და სამედიცინოზე უნდა ჩავაბარო, განუცხადებია მათთვის. კი, მაგრამ, რაღა სამედიცინო აირჩიეო, რომ უკითხავთ, მას უპასუხია, ამ ქვეყანაში, სადაც ადამიანების სიცოცხლეს არავინ აფასებს, მინდა ავადმყოფებს უფასოდ ვემსახურო. სულ ეს იყო და ეს, სხვა არანაირი მიზეზი იმისა, რომ თამარი სამედიცინო განხრით წასულიყო, არ არსებობდა. მოკლედ, თამარის მშობლებს თვალზე ცრემლი მოსდგომიათ და უთქვამთ, სათნო რომ გვეზრდებოდი, ეს ისედაც ვიცოდით, მაგრამ ასეთი დიდბუნოვანიც თუ ყოფილხარ, ვერ წარმოვიდგენდითო. თამარის ძმაც იქვე მჯდარა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნევია.

თამარის მამას კი მერე გახსენებია, რომ თურმე მისი დედის დედა, ანუ თამარის დიდი ბებიაც სამედიცინო სფეროთი დაინტერესებული ქალი ყოფილა, მართალია, სამედიცინო განათლება არ მიუღია, მაგრამ

ბალახ-ბულახებიდან ისეთ წამლებს ხარშავდა, რომ თურმე მუდამ დავრდომილი ადამიანების რიგი ედგა კართან.

- თამარ, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ჩვენს ოჯახს არ შეეფერება არც პოდიუმზე სიფრიფანა კაბით სიარული და არც ფილმში ვიღაც კაცებისთვის ტუჩებში კოცნა. ექიმობა კი სხვა რამეა, მართლაც მადლიანი პროფესიაა, თანაც არ დაგავიწყდეს, რომ ცხონებული ბებიახემიც წარმატებული ექიმობაში იყო. - ამბობდა თამარის მამა და ქალიშვილს გულში იხუტებდა.

- ყოჩაღ, შვილო, ძალიან მოგიხდება ექიმობა, მომწონს შენი არჩევანი, აბა, მოდელობა და მსახიობობა რა ჩვენი საქმეა? გათხოვდები, შვილები გეყოლება და განა უხერხული არ იქნება, პოდიუმზე, მოდელად რომ ახვიდე ან ფილმში ვიღაც კაცებთან ჩახუტება და კოცნა რომ დაგაწყებინონ, ხომ მოეჭრა ამით ჩვენს მართლმადიდებელ ოჯახს თავი? რომელი ქმარი აიტანს ამას. დაგენგრევა ოჯახი, დაგენგრევაააა. - ჯერ კიდევ გამოუცდელ თამარს მზრუნველი დედა ჭკუას არიგებდა და თავზე ხელს უსვამდა.

- ასე რომ, გადავწყვიტეთ, ექიმი უნდა გამოხვიდე, მართლაც მადლიანი საქმეა, ჭეშმარიტ მართლმადიდებელს რომ შეეფერება, ისეთი. - კმაყოფილი იყო თამარის ძმაც.

თავად თამარი კი მორჩილად უსმენდა მშობლებისა და ძმის მოძღვრებებს, უსმენდა და ბედს შეგუებული ახალ, ცხოვრებისეულ მიზნებს ისახავდა, - ჩავალ თბილისში, ჩავაბარებ სამედიცინოზე, გავიცნობ ვინმე თბილისელ ბიჭს, რაც მთავარია, კარგი ოჯახის შვილს, პატრონიანს, წარმატებულს და გავთხოვდები. მერე მისი მშობლები მეც მომიხერხებენ რამეს, ჯერ ინსტიტუტს დამამთავრებინებენ, შემდეგ კი სადმე, კარგ ადგილზე უხვშემოსავლიან სამსახურს დამაწყებინებენ. მერე მე მეყოლება შვილები და მთელი ოჯახი ვიმოგზაურებთ ხოლმე დედამიწის გარშემო. მოკლედ, გავხდები წარმატებული ადამიანი და ავიხდენ ყველა ოცნებას, რაც ბავშვობიდან მქონია ან ახლაც მაქვს. რა თქმა უნდა, მოდელობა და მსახიობობა მართლაც ნამეტანია ჩვენი მართლმადიდებელი ოჯახისთვის. არ შეიძლება ამის გამო მშობლებსა და ძმას ვაწყენინო. რახან არ სურთ მაგ საქმეს გაყვე, ესე იგი, მართლა მიუღებელია და იმიტომ. ან საერთოდ, რომელი ქმარი აიტანს, რომ მისმა ცოლმა თხელი კაბით პოდიუმზე იცანცაროს ან რომელიმე ფილმში პარტნიორს ჩაეხუტოს? ვერაფერ, ვერანაირი ქმარი ვერ აიტანს ამას და გამონაკლისი, ბუნებრივია, არც ჩემი მეორე ნახევარი არ იქნება. ჰო, რაც მთავარია, ჩვენ ძალიან, ძააალიან გვეყვარება ერთმანეთი და ერთურთის გარეშე ერთი დღეც ვერ გავძლებთ. რატომ ვერ გავძლებთ? იმიტომ, რომ მე მოსიყვარულე ცოლი ვიქნები, ოჯახის ერთგული, კარგი მზარეული და ყველაფერში გაგებელი. თუმცა, გაგებელი იმას არ ნიშნავს, რომ

ქმარს თავისუფლად ნაგარდი ვაპატიო, ღმერთო კი მომკალი, ქმარმა რაღაც-რაღაცები დამიშალოს, მისთვის მსხვერპლი გავიღო და მე ამ დროს მას ყველაფრის უფლება მივცე? ასე არ გამოვა და იმედია, ამაზე ნერვიულობა არც დამჭირდება. ვიცი, თბილისელი ბიჭების უმეტესობა პროვინციელებისგან განსხვავებით უფრო თავისუფალი აზროვნებისა და ცხოვრების სტილის მიმდევრები არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმას თავისი ცხოვრება ჰქონდეს, მე კი ჩემი. არა და არა, ჩვენ ერთი ცხოვრება, ერთი მიზნები და მისწრაფებები უნდა გვაკავშირებდეს. ჰო, შეიძლება ის მთლად იდეალური ადამიანი არ იყოს, მაგრამ ჩემთვის უნდა დაიბადოს, თვალებში ჩავხედავ თუ არა მას, მაშინვე მივხვდები, ჩემთვის არის თუ არა შექმნილი და დაბადებული. რაც მთავარია, მართლმადიდებელი ოჯახიდან უნდა იყოს და უახლოესი სამეგობროც მართლმადიდებელი მრევლიდან უნდა ჰყავდეს. შეიძლება ღრმად მორწმუნე ოჯახის შვილი არ იყოს, მაგრამ ის რწმენა, რაც ჩვენმა მამა-პაპამ შემოგვინახა, მისთვის და მისი საახლობლოსთვის წმიდათა წმიდა უნდა იყოს. ეჰ, რა კარგია ოცნება, რა კარგიაააა... თუმცა, რა არის იმაში წარმოუდგენელი, რაზეც მე ვოცნებობ? არაფერი, საერთოდ არაფერი.

მოკლედ, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდული ასაკიდან იჯდა თამარი და ისეთ მამაკაცზე ოცნებობდა, რომელიც იქნებოდა თბილისელი, კარგი ოჯახის შვილი, განათლებული, მართლმადიდებელი და, რაც მთავარია, მოსიყვარულე.

ამ ოცნებების ძერწვაში დადგა დრო, როცა თამარს მომავალი პროფესია უნდა აერჩია და უმაღლესი განათლება მიეღო. მისმა მშობლებმა ამ საქმეს უცებ დაუსვეს ბეჭედი და ამაყად დაადგინეს, მორჩა, გათავდა, საკამათო არაფერია, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში აბარებს ჩვენი გოგო. მერე გასულა კიდევ თამარი გამოცდებზე, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, მომავალი ექიმებისთვის დაწესებული საგამოცდო ბარიერი ვერ გადაულახავს და ინსტიტუტის გარეთ დარჩენილა. ეს ამბავი რომ გაუგია, იმ ხანად რიაზანში მცხოვრებ და იქვე გათხოვილ თამარის მამიდას, მაშინვე თამარის მამისთვის დაურეკავს და კატეგორიულად მოუთხოვია, არავითარ შემთხვევაში ბავშვი თბილისში გამოცდებზე აღარ გაიყვანოთ, გაისად ზაფხულში ჩამომიყვანე აქ, რიაზანში და მერე მე და ჩემმა მეუღლემ ვიცი, რას ვიზამთო. რას იზამთო? უკითხავს თამარის მამას, რაზეც თამარის მზრუნველ მამიდას მიუგია, ისე ჩავაბარებინებთ რიაზანის სამედიცინო ინსტიტუტში და ისე დავამთავრებინებთ, კაპიკი არ დაგიჯდებათო. თან თამარი ჩვენთან იცხოვრებს და მეტი რაღა გინდაო?

მართლაც, მეტი რაღა უნდოდა თამარის მამას? არც არაფერი. მეორე წელს, როცა საგამოცდო ციებ-ცხელება ახლოვდებოდა, აუღია

თვითმფრინავის ორი ბილეთი და თავის ქალიშვილთან ერთად რუსეთში გაფრენილა. ჩასულან თამარი და მამამისი რიაზანში, მონატრებული მამიდა ჩახუტებია თამარს და შემდეგ ასე უთქვამს, გენაცვალოს მამიდა, მე ქალი არ ვიყო, თუ შენ სამედიცინოზე არ ჩაგაბარებინო და თეთრხალათიან დედოფლად არ გაქციო.

სიტყვის ქალი გამომდგარა თამარის მამიდა, მიმდგარა, მომდგარა, პატარა მაღარიჩები უკისრია (ოღონდ ისე, რომ თამარის მამას არაფერი არ დასჯდომია) და თამარი მართლა მოუწყვია რიაზანის სამედიცინო ინსტიტუტში. სხვათა შორის, არც სწავლა გასჭირვებია თამარს, მამიდა და მამიდის მეუღლე კი ეხმარებოდნენ ურჩი ლექტორების მორჯულება-გადმობირებაში, მაგრამ თავად თამარიც მონდომებული სტუდენტი გამომდგარა, წარმატებით დაუმთავრებია რიაზანის სამედიცინო ინსტიტუტი და ექიმი გამხდარა. თუმცა, სანამ ინსტიტუტს დაამთავრებდა, ბოლო კურსზე ყოფნისას იქვე, რიაზანშივე გაუცნია თავისი მომავალი მეუღლე, ბესო შალიკაშვილი, რომელიც იქ თავის საქმეებზე ყოფილა ჩასული. ბესო თამარზე ექვსი წლით უფროსი იყო და იმ დროს უკვე წარმატებულ, თან, რაც მთავარია, ახალგაზრ-და ქირურგად ითვლებოდა. მოკლედ, ბესოს სადღაც წვეულებაზე უნახავს თუ არა ჯერ კიდევ სტუდენტი თამარი, მაშინვე მოსწონებია. ცხადია, ისე დაახლოვებიათ ერთმანეთს, რომ უკვე რამდენიმე დღეში ბესოს უთქვამს კიდევ თამარისთვის, ოჯახის შექმნას ვაპირებ, მინდა ქართველი მეორე ნახევარი მყავდეს და შენ თუ თანახმა იქნები ჩემი მეუღლე გახდე, იცოდე, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნებაო. თამარს, ჯერ დაუმორცხვია, ლოყები წამოსწითლებია და ხმა ვერ ამოუღია, მაგრამ ბესოს უთქვამს, მე ხვალ სულ რაღაც ერთი კვირით თბილისში მივფრინავ და რომ დავბრუნდები, ეცადე, პასუხი გამცეო. გაფრენილა ბესო თბილისში, თამარს კი რჩევისთვის მამიდამისისთვის მიუმართავს, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, დავთანხმდე თუ არაო? მამიდას უთქვამს, ბედი კართან მოგდგომია და მაგაზე უარის თქმა როგორ შეიძლებაო? მოკლედ, ერთ კვირაში დაბრუნებულა ბესო რუსეთში, ხოლო ორ კვირაში ჯერ კიდევ რიაზანის სამედიცინო ინსტიტუტის ბოლო კურსელი თამარი ცოლადაც შეურთავს. რამდენიმე თვეში, თამარს დაუმთავრებია თუ არა ინსტიტუტი, ბესოს თავისი ლამაზი მეუღლისთვის ხელი მოუკიდია და თბილისში ჩამოუყვანია. მერე თამარს დაჩიც გასჩენია და ბედნიერებისგან აცრემლდებულ ბესოს თამარისთვის უთქვამს, შენ ჩემი ღმერთი ხარ, გვარის გამგრძელებელი ვაჟკაცი რომ მაჩუქეო. ღმერთობისა რა ვთქვათ, მაგრამ ღვთისმშობელივით ლამაზი კი იყო თამარი, ისეთი ლამაზი, რომ თვით სილამაზით განთქმულ რუს ქალებშიც გამოირჩეოდა. აქედან გამომდინარე, ბედი მქონიაო, ბესო შალიკაშვილს უნდა ეთქვა, მტრის ჯინაზე, შორეულ რუსეთში, ისეთი ქართველი ქალი მონახა, მტერსაც

რომ თვალი დაუდგებოდა - ქალი განათლებული, ქალი ქართული ტრადიციების მოყვარული და რაც მთავარია, ქალი მართლმადიდებლობისთვის თავგადასცემული. ჰოდა, მეტი რა უნდა ქართველ კაცს? არც არაფერი. ბესოსაც თამარისგან არაფერი არ უნდოდა. გაჭირვებით, არ უჭირდათ, მეტიც, შეძლებულად ცხოვრობდნენ. ამიტომაც იყო, რომ ბესო თავის ლამაზ მეუღლეს საერთოდ არ ტვირთავდა, ანუ საერთოდ არ ავალდებულებდა ემუშავა და ოჯახის ბიუჯეტში თუნდაც მინიმალური თანხა შეეტანა. შენგან არაფერს ვითხოვ, იჯექი სახლში და ჩვენი დაჩი ჭეშმარიტად ქართველ ვაჟკაცად გამოიზარდე, ისეთ ქართველად, მთელი საქართველო რომ ამაყობდეს მისითო, ეტყოდა ხოლმე ბესო თამარს. ისიც იჯდა და ზრდიდა თავის ერთადერთ ვაჟს, ზრდიდა ხან ქართულ, ხან რუსულ, ხანაც ისევ ქართულ გარემოში, მთავარია, ზრდიდა ვაჟკაცად, ქართველ ვაჟკაცად, ისეთ ვაჟკაცად, საქართველოს რომ უნდა ეამაყა მისით. თუმცა, ერთიცაა სათქმელი, რომ დაჩის ამ ქვეყნად მოვლენიდან ორი წლის შემდეგ, თამარს კიდევ ერთი ვაჟი გაუჩენია, თუმცა, ბავშვი დღენაკლული დაბადებულია და ორ კვირაში გარდაცვლილა. ერთი პერიოდი უგლოვიათ თამარსა და ბესოს, მაგრამ, რომ დაუნახავთ, დაუნდობელი ცხოვრება წამითაც არ შეჩერებულა და მაინც გრძელდებოდა, მიიმე რეალობას შეგუებულებს, მთელი დარჩენილი ენერგია დაჩის გაზრდაზე გადაუტანიათ. ვერავინ იტყვის, რომ თამარს არ მოსწონდა სახლში ჯდომა და ერთადერთი ვაჟის აღმზრდელის ფუნქციის მორგება. ერთი შეხედვით, თავმოყვარე ქალს მხოლოდ სამზარეულოში ტრიალზე უარი უნდა ეთქვა, მაგრამ თამარის შემთხვევაში სულ სხვაგვარად იყო საქმე. კი, ტრიალებდა თამარი სამზარეულოში, ზრდიდა დაჩის, არასრულწლოვანს კუდშიც დასდევდა, მაგრამ ეს სახლში ჯდომა, ვინმემ პირდაპირი გაგებით არ უნდა გაიგოს. რადგან წვეულებები იყო, ბანკეტები თუ მაღალი რანგის ადამიანებთან შეხვედრები, ბესო შალიკაშვილს თავისი ლამაზი მეუღლე ყველგან თან დაჰყავდა. განსაკუთრებით რუსეთში გამეფებული ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან ქეიფის დროს საკუთარი მეუღლის წაყვანა უყვარდა ხოლმე ბესოს. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ იქ ქურდული სამყაროს ავტორიტეტებიც საკუთარი მეორე ნახევრებით დაიარებოდნენ. ჰოდა, ბესოსაც მშვენიერი შანსი ეძლეოდა, თავისი მეუღლე იმათ მეუღლეებისთვის გაეცნო, ხოლო შემდეგ, როგორც ქალებში ხდება, მეუღლეები დადაქალბულიყვნენ. ბესოს ინტუიცია არ დალატობდა და თამარმა ქართული ხელგაშლილობით თუ ადამიანებთან მიდგომის უნარით, ქურდული სამყაროს ისეთი ავტორიტეტების მეუღლეები დაიხსლოვ-დაიდაქალა, რომ ბესო ხუმრობით ამბობდა ხოლმე, ექიმობაში ფეხი რომ დამიცდეს, არ ვდარდობ, რადგან შავი სამყაროს ბოსობა თუ არა, ბოსის

მოადგილეობა გარანტირებული მაქვსო. რანაირად, კაცო, რანაირადო? შეეკითხებოდა ხოლმე თამარი. რანაირად და ერთი-ორი წელი ჩავჯდები ციხეში, სადაც ჩვენი ავტორიტეტი ძმები არაფერს მომაკლებენ, იქიდან გამოსულს კი, რამე ტიტულს აუცილებლად მომანიჭებენო, ღიმილით პასუხობდა ხოლმე ბესო.

2

მართლაც ხელგაშლილი ოჯახი იყო ბესო შალიკაშვილის ოჯახი. რუსეთში, სადაც ადამიანები საქართველოსგან განსხვავებით უფრო კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან, ბესოს ოჯახზე, ლამის ლეგენდები დადიოდა. მაგალითად, რიახანში მათი ერთ-ერთი მეზობელი, დარინა ვასილიევნა აღტაცებით ყვებოდა, რომ თურმე ერთხელ სასწაული რამ შეემთხვა. უფრო კონკრეტულად კი, ის მოხდა, რომ სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ დარინა ვასილიევნას ლიფტში შესვლის წინ, ასე ოცდაათ წლამდე ასაკის, კავკასიური გარეგნობის მქონე, ვიღაც ძალიან ლამაზი ქალბატონი შეხვედრია. ცხადია, დარინას არ დაუწყია გამოკითხვა თუ ვინ იყო ის ქალბატონი და რომელ სართულზე მიბრძანდებოდა. თუმცა, უცხო ქალბატონი თავად გამომცნაურებია და საუბარიც გაუბამს მისთვის.

- ჩვენ ახალი გადმოსული ოჯახი ვართ საქართველოდან, მეხუთე სართულზე ვცხოვრობთ, თქვენ? - ჰკითხა თამარმა მეზობელს.

- ააა, თქვენ საქართველოდან ხართ? ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ისე, მეც მეხუთე სართულზე ვცხოვრობ. - გაეხარდა დარინას.

- მართლა? მეზობლები ვყოფილვართ. მაშ, ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე თამარი მქვია, თქვენ? - იკითხა თამარმა და ლიფტის ღილაკს მეხუთე სართულზე დააჭირა თითი.

- მე დარინა ვასილიევნა ვახლავართ, პროფესიით ბუღალტერი... და თქვენ რას საქმიანობთ?

- ჩემი მეუღლე ბესო შალიკაშვილი ქირურგია, აქ, რიაზანში მუშაობს და ჩვენც ეს ბინა ახლახან მივიღეთ. ისე, მეც ექიმი ვარ პროფესიით, თუმცა, ჯერ მუშაობისთვის ვერ ვიცლი, ბავშვი მყავს გასაზრდელი და მთელი ყურადღება მასზე მაქვს გადატანილი.

- მართალი ხართ, ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

ამასობაში ლიფტის კარი გაიღო და ორივენი მეხუთე სართულზე გადავიდნენ.

- აი, მე ამ ბინაში ვცხოვრობ, - თამარმა საჩვენებელი თითი ლიფტიდან მარცხენა ბინისკენ გაიშვირა.

- მე კი ამ ბინაში ვცხოვრობ, - ლიფტიდან მარჯვენა ბინისკენ მიუთითა დარინამ.

- კარის მეზობლები ვყოფილვართ, რაც ძალიან მახარებს. ამიტომ, ქალბატონო დარინა ვასილიევნა, გთხოვთ, შემობრძანდეთ ჩვენთან, ყავას მოვადუღებ, საქართველოდან ჩამოტანილი ტკბილეულით გაგიმასპინძლებით, თან ჩემს მეუღლეს და ბავშვსაც გაგაცნობთ.

დარინას ძალიან კი უნდოდა ქართველი მეზობლისგან მიპატიუება მიეღო, მაგრამ, ეტყობა, სამსახურიდან გამოყოფილმა დაღლილობამ მაინც თავისი ქნა.

- თამარ, ძვირფასო, ძალიან კი მინდა თქვენთან სტუმრობა, მაგრამ გამიგეთ, ახლა ისეთი დაღლილი მოვლასლასებ სამსახურიდან, რომ ერთი სული მაქვს, როგორმე საწოლამდე მივიდე და თავი ბალიშზე დავდო. თუმცა, მანამდე, ჩემს თერთმეტი წლის შვილიშვილს საჭმელი უნდა მოვუმზადო და ვავახშმო. სკოლის შემდეგ, მთელი დღე სახლში მარტოა ბავშვი და მე თუ არ მოვუმზადე საჭმელი, სხვა ვინ იზამს ამას? - დარინა ვასილიევნა აქ წამით გაჩერდა, თითქოს ფიქრობდა, კიდევ რაღაც ვთქვა თუ არაო? მაგრამ თამარმა დაასწრო.

- ბავშვს მშობლები აქ არ ჰყავს? მივლინებაში არიან?

- სამწუხაროდ ჩემი ქალიშვილი ბავშვის მშობიარობას გადაჰყვა, ბავშვის მამა კი სად არის, კაცმა არ იცის, გინდ ყოფილა, გინდ არა, ის ჩვენთვის არ არსებობს. ასე რომ, მარტო ვზრდი შვილიშვილს.

- ძალიან სამწუხაროა. - აშკარად გაუფუჭდა განწყობა თამარს.

- ამიტომ, ლამაზო ქალბატონო, მოდით, ზეგ, ან მაზეგ იყოს თქვენს ოჯახში ჩემი შემოსვლა, შაბათ-კვირაა, დასვენებაა და მეცლება. - გაიღიმა დარინა ვასილიევნამ.

- ხვალ რომელ საათზე მიდიხართ სამსახურში? - დაინტერესდა თამარი.

- ათის ნახევარზე სახლიდან უნდა გავიდე, რომ თერთმეტის ნახევრისთვის იქ ვიყო.

- ესე იგი, ათის ნახევარზე გადიხართ? - კიდევ ერთხელ იკითხა თამარმა.

- დიახ, ძვირფასო, სახლიდან ზუსტად ათის ნახევარზე გავდივარ. - დააზუსტა დარინამ.

- კარგი, მშვიდობიან ღამეს გისურვებთ! - ღიმილით დაემშვიდობა თამარი ახალგაჯობილ მეზობელს.

- თქვენც მშვიდობას გისურვებთ, ლამაზო ქალბატონო! - ხელი დაუქნია დარინამ თამარს და თავისი ბინის კარი მსუბუქად შეაღო.

გათენდა დილა და ზუსტად ცხრა საათისთვის დარინა ვასილიევნას კარზე ზარის ხმა გაისმა.

- ნეტავ, ვინ უნდა იყოს ამ დილაადრიან? - სააბაზანოდან გამოსული დარინა ვასილიევნა ბურღუნით დაიძრა კარისკენ. საჭვრეტში არც გაუხედავს, ვინ იყო, ისე გააღო კარი და რას ხედავს? კართან წუხელის გაცნობილი თამარი დგას და მარჯვენა ხელის გულზე ზემოდან ცელოფანგადაფარებული დიდი სინი, ხოლო მარცხენა ხელის გულზე ქალღმერთად დაფარებული თევზში უჭირავს, სინიდან კი ისეთი მადისაღმძვრელი ოხშივარი ამოდის, დარინას ლამის თავბრუ დაეხვა.

- თამარ, თქვეყევენ? ხომ მშვიდობაა? ამ დილაადრიან რამ შეგაწუხათ? ან ზარი, როგორ დარეკეთ, როცა ორივე ხელი დაკავებული გაქვთ? - იკითხა დარინამ.

- დარინა ვასილიევნა, ზარი ჩემს მეუღლეს დავარეკინე და ის უკვე სახლში შევიდა, ესენი კი თქვენ და თქვენს შვილიშვილს ჩვენი ოჯახისგან.

დარინას ჯერ ენა დაება და ვერ მიმხვდარიყო, რა ეთქვა ან რა ეღონა. ბოლოს, მაინც ამოდერდა - ნეტავ, რა არის? რაღაც ძალიან მადისაღმძვრელი სუნი აქვს.

- ეს ჩვენებური ხინკალია, ქართული სამზარეულოს მშვენება. ჩემი ნახელავია, ამ დილით გავაკეთე, მინდოდა მომესწრო, სანამ სამსახურში წახვიდოდით, მანამ შემომეტანა, ეს კი ყურძენი და ჩურჩხელებია საქართველოდან გამოგზავნილი. იმედია, მოგეწონებათ.

გაოცებულ დარინა ვასილიევნას ცრემლები წამოსცვივდა, ქალმა ორმოცდაათი წლის ასაკს გადააბიჯა და ცხოვრებაში პირველად ნახა, რომ სრულიად უცხო ადამიანი, რომელიც, თურმე მისი მეზობელი ყოფილა, პატივისცემის მიზნით ხელდამშვენებული მის ოჯახში შემოდის. ცხადია, დარინა ვასილიევნა ვერ მიხვდა, თუ რა დამსახურებით მოართვა ქართველმა ქალბატონმა ასეთი ძღვენი, ვერ მიხვდა და ძალიანაც რომ სდომებოდა, მაინც ვერ მიხვდებოდა, რადგან, ადამიანი ამას რომ მიხვდეს, ქართველი უნდა იყოს, დარინა ვასილიევნა კი რუსი იყო, ჩრდილოეთში დაბადებულ-გაზრდილი, ცივისსხლიანი რუსი. თუმცა, ამის მიუხედავად, ქართველი ქალისგან გაოცებული რუსი ქალი თავისი ბინის კართან იდგა და ცრემლებს ვერ იკავებდა.

კიდევ ერთ ამბავს იხსენებენ ბესო შალიკაშვილის ოჯახზე. ერთხელ, სამსახურში მიმავალ ბესოს, თავისი კორპუსის წინ ნაცნობი მეეზოვე შეხვედრია, რომელიც ეზოს ასუფთავებდა. სალამისა და მოკითხვის შემდეგ, მეეზოვეს დაუჩივლია, ბავში მყავს ავად, ფარისებრი ჯირკვლის დარღვევები აქვს და ოჯახის ექიმმა ფეიხოს კომპოტი გვირჩია, უებარი წამალია, გადაბმულად ორი თვე მიირთვას და ეშველებაო. მე კიდევ ახლა, ამ თებერვლის თვეში, სად ვიშოვო ფეიხო ან მისი კომპოტიო? დაღონებული ყოფილა მეეზოვე.

ბესოს უთქვამს მეეზოვისთვის, მე დღეს მივლინებაში მივდივარ ერთი კვირით და ეს დღეები ვეღარ გნახავ, ამიტომ, მიდი, აბა, ერთი, შენი მისამართი ჩამაწერინეო. მეეზოვემაც ჩააწერინა თავისი მისამართი და ბესოც წასულა სამსახურში. მეორე დღით კი მეეზოვის ბინაზე კურიერს ერთი დიდი ყუთით ფეიხოს კომპოტი მიუტანია, პატარა ბარათის თანხლებით, სადაც ფურცელი იდო, ფურცელზე კი ეწერა - „ჯანმრთელობას გისურვებთ, პატარავ.“ ცხადია, მეეზოვე და მისი მეუღლე იქვე ატირებულან და გაოცებისგან ლამის ჭკუიდან გადასულან.

* * *

მესამე სართულის მობინადრე ვასილი პავლოვიჩი, რომელიც საკმაოდ შექლებულად ცხოვრობდა, ერთხელ ბესოს სადარბაზოში შეხვედრია, ორივენი გადაკრულში ყოფილან და სახლში ბრუნდებოდნენ. ბესოს, როგორც სჩვეოდა, ზრდილობიანად მოუკითხავს მეზობელი, იმასაც უთქვამს, ასე და ასე ვარო, მერე უკითხავს, თავად როგორ ხარო? ბესოსაც უპასუხია, არა მიშავს, კარგად ვარო, რის შემდეგაც უკვე საკმაოდ შინაარსიანი საუბარი გაუბამთ. ვასილი პავლოვიჩი სამხედრო ოფიცერი იყო და ერთ დროს, თურმე საქართველოშიც მსახურობდა.

- კეთილმო მეზობელო, ისე, რომ იცოდე, მე საქართველოში ნამყოფი ვარ. - ახარა ბესოს ვასილი პავლოვიჩმა.

- დასასვენებლად?- დაინტერესდა ბესო.

- არა, რა დასასვენებლად, მე, როგორც სამხედრო ოფიცერი, ოთხმოციანების დასაწყისში საქართველოში ვმსახურობდი. - გაეღიმა ვასილი პავლოვიჩს.

- რომელ ქალაქში?

- თბილისში. მუხიანის დასახლებაში მდებარე საბჭოთა სამხედრო ბაზაზე, უფრო ზუსტად, სატანკო ნაწილში. მაშინ ძალიან ლამაზი ქალაქი იყო თბილისი, დღეს კი, როგორც გავიგე, იქაურობა ჩაბნელებული და გაპარტახებულია.

- მართალი ხარ, 1991-92 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ, იქაურობა მართლაც ჩაბნელებული და გაპარტახებულია. - სინანულით თქვა ბესომ.

- მერედა, ვინ მოახდინა ეგ სამოქალაქო ომი? ან საერთოდ, რატომ მაშინ არ ხდებოდა ეგ რაღაცა სამოქალაქო ომები, როცა ძლევამოსილი რუსის ჯარი იდგა იქ?

- მაშინ რუსეთის შემადგენლობაში ვცხოვრობდით, ახლა კი დამოუკიდებელი სახელმწიფოა საქართველო.

- კეთილ მოზობელო, თქვენ დამოუკიდებლობა, თუ არ ვცდები, ოთხმოცდაათიანების დასაწყისში მოიპოვეთ, ახლა კი უკვე ოთხმოცდაათიანების შუა წლებია. ჰოდა, გეკითხები, თქვენმა ქვეყანამ რა ნახა კარგი ამ პერიოდის მანძილზე? ომები, გაჭირვება, სიბნელე, შიმშილი, სულ ეს არის თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და მეტი არაფერი.

- მართალი ხარ, ვერ შეგეკამათები. - თავი ჩაღუნა ბესომ.

- ბატონო ჩემო, რა პოლიტიკური არგუმენტებიც არ უნდა დამიპირისპირო, მაინც გამტყუნდები და იცი, რატომ?

- ბრძანე, გისმენ,

- შენ დატოვე საკუთარი სამშობლო და რუსეთში გადმოსახლდი. ნუთუ ეს არაფერს გეუბნება?

- ყოველივე ეს შენ რას გეუბნება? - გაეღიმა ბესოს.

- მე იმას მეუბნება, რომ შენ, ქართველი ადამიანი, ვითომცდა დამოუკიდებელი საქართველოს შვილი, რუსეთისა და რუსების გარეშე ვერ ძლებ. ვიცი, ძალიან ჭირს ცხოვრება თქვენთან და ამიტომაც წამოხვედი აქეთ, ჩრდილოეთში. მაგრამ გეკითხები, რომ არა რუსეთი, რას იზამდი და როგორ იცხოვრებდი მაგ თქვენს გაპარტახებულ და დამოუკიდებელ საქართველოში? ახლა არ თქვა, რომ ასე ადვილად, როგორც რუსეთში ჩამოხვედი და დამკვიდრდი, ამერიკაში ან ევროპაში წახვიდოდი და დამკვიდრდებოდი... ასე არ თქვა, თორემ შენზე წარმოდგენა დამეკარგება.

- სიმართლეს გეტყვი და საქართველოს დამოუკიდებლობა არა იდეა, არამედ ემოცია უფრო იყო, მე ამ აზრზე ვიდექი ყოველთვის და დღესაც ამ აზრზე ვდგავარ. - გამოტყდა ბესო.

- მართალი ხარ, მეგობარო, რა დამოუკიდებლობა, რის დამოუკიდებლობა, ჩვენ საუკუნეები ერთად გვიცხოვრია, მართლმადიდებლობა ერთად დაგვიცავს და უცებ, ვიდაც ამერიკელების წახალისებით თქვენებურები დამოუკიდებლობას აცხადებენ. მერედა, ვისგან აცხადებენ დამოუკიდებლობას? რუსეთისგან, ანუ იმ ძვირფასი მეზობლისგან, ვინც მთელ საქართველოს ატყმევდა, ინახავდა და ხელის გულზე ატარებდა. ეჰ, არ გეწყინოს და, რა დაუნახავი ხალხი ყოფილან ქართველები. რა თქმა უნდა, შენ ეს არ გეხება, მხოლოდ შენებურებზე ვლაპარაკობ.

- დიახ, სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობაში და რუსებისგან მოწყვეტაში დიდი როლი სწორედ ამერიკამ და ევროპამ ითამაშეს. - ნაღველი გაურია თავის ნათქვამში ბესომ.

- არ ვიცი, მაინც რა არ მოსწონდათ ქართველებს რუსებისა? ჩვენ ერთი სიწმინდეები გვაქვს, ოჯახის სიწმინდიდან დაწყებული, რელიგიური სიწმინდეებით დამთავრებული, და ამ დროს, მოდიან ვიდაც ამერიკელ-ევროპელები და რუსულ-ქართულ წმინდა ოჯახებს გარყვნილობებისკენ უბიძგებენ. არ ვიცი, რაღა ვთქვა, ხანდახან ისე ვარ ხოლმე გაბრაზებული, ლამის რაღაც დაჯგუფება შევქმნა და ტანკებით თბილისისკენ დაძვრა ვუბრძანო. იმედია, შენც დამეხმარები და გვერდში დამიდგები.

- ტანკზე შემომჯდარი რამდენად სასარგებლო ვიქნები, ეს არ ვიცი, მაგრამ ჩემს პროფესიას ქართულ-რუსული ურთიერთობების გადრმავებას რომ ვახმარ, ამაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს.

- მე შენში ეჭვი არ მეპარება, უბრალოდ, შენი თანამემამულეების წმინდა რუსული ოჯახიდან გასვლას და ბინძურ ევრო-ამერიკულ ოჯახებთან დაახლოებას ვეწინააღმდეგები. ხომ გესმის ჩემი?

რუსულ რელსებზე შემდგარ, ეთნიკურად ქართველ ბესარიონ შალიკაშვილს ძალიან კარგად ესმოდა რუსი მეზობლის, იმდენად კარგად, რომ მისგან უამრავი შექება დაიმსახურა. ამიტომ, ბესომ კეთილი და რაც მთავარია რუსულ-ქართული სიწმინდეებისთვის მებრძოლი მეზობლის დასაჩუქრება გადაწყვიტა. ჰოდა, რითი შეიძლებოდა საქართველოში ნაცხოვრები რუსი სამხედრო ოფიცრის დასაჩუქრება? მართალი ბრძანდებით, ჭაჭით... და კიდევ, რითი? ახლავე გაიგებთ.

- ძვირფასო მეზობელო, საქართველოში გიმსახურია და ალბათ ჭაჭა გეყვარება ძალიან. - დაინტერესდა ბესო.

ჭაჭის ხსენებაზე ბესოს ძვირფას მეზობელს თვალები გაუბრწყინდა.

- როგორც ჩანს, ძალიან გიყვარს, ჰოდა, ჭაჭის გარდა, კიდევ რა გენატრება საქართველოდან?

- გულახდილად გითხრა?

- რა თქმა უნდა.

- საცივი და ქართველი ქალები. - გულახდილზე გულახდილი იყო რუსის ოფიცერი.

- არ იდარდო, საცივს და ჭაჭას ხვალ სადამოსვე მოგართმევ, ქართველ ლამაზმანებს რაც შეეხება, ჩვენ ორნი ჩავალთ საქართველოში და ეგ ნატვრაც აგინდება.

- არადა, თქვენებური ქალები ძალიან ეშხიანები, ლამაზები, მაგრამ ძალიან უკარებები არიან. დავიტანჯე კაცი მათი დევნით. თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, ახლა კი სადღა მაქვს მათი დევნის თავი. - დაიწუწუნა რუსმა.

- ნუ დარდობ, მეგობარო, ხომ გაგიგია, ქვეყანაზე ყველაფერი იყიდება, უბრალოდ, ფასს გააჩნიაო?

- მართლა? - გაუკვირდა მრავლისმნახველ რუსს.

- ასეა ასე, იმ ეშხიან ლამაზმანს, ვინც თავს დაიფასებს, უეჭველი ვიყიდით. შეიძლება თქვენებურ ქალებს არ სჭირდებოდეთ ყიდვა, ისედაც დაგნებდნენ, მაგრამ ჩვენებურები ნურას უკაცრავად, უცებ არ გაეხმებიან მახეში. ამიტომ, ფულით ვიყიდით მათ, უეჭველი ვიყიდით. ვისაც თვალს დაადგამ, ვიყიდით.

- ოოოოოოო, რაც ახლა შენ თქვი, ეგ ნამდვილი მუჟიკის სიტყვებია, მეგობარო, ნამდვილი მუჟიკის. თანხები პრობლემა არ არის, ჩემი ფინანსებით წავიდეთ და კარგი დრო გავატაროთ საქართველოში. ჭაჭა, საცივი და ქართველი ქალები, ამას არაფერი აჯობებს. ნამდვილი სამოთხე იქნება, რომ წარმოვიდგენ, სიამოვნებისგან უკვე ჟრუანტელი მივლის.- მოსალოდნელი ბედნიერებისგან ადგილზე ცქმუტავდა რუსის სამხედრო ოფიცერი.

- ასე რომ, გადავწყვიტეთ, ამ ზაფხულს გავემგზავროთ საქართველოში, ჯერ თბილისში გავჩერდეთ, მერე ბათუმში ზღვაზე წავიდეთ და რამდენიმე დღე დავყოთ იქ, მოსულა?

- მოსულა, მოსულაააააააააააააა, - ხარობდა რუსის სამხედრო ოფიცერი და ხარობდა ქართველი ქირურგიც.

არადა, რომ გეკითხათ, ერთიც და მეორეც, ანუ რუსიცა და ქართველიც მართლმადიდებლურ სიწმინდეებსა და ქართულ-რუსულ ოჯახებს გარყენილი ევრო-ამერიკელებისგან იცავდა.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს ცა სისხლითა და ტყვია-წამლით რომ შეიბილწა, ერთ-ერთი პირველი, ვინც თავის გადარჩენის მიზნით ოჯახიანად რუსეთს მიაშურა, ბესო შალიკაშვილი იყო. დიახ, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მოჰკიდა ბესომ თავის ცოლ-შვილს ხელი და მისთვის კარგად ნაცნობ ქვეყანაში გადასახლდა, იქ, სადაც სტუდენტობის წლები და კიდევ შემდგომი პერიოდი ჰქონდა გატარებული. საერთოდ, რუსეთი და რუსული გარემო მისთვის უცხო არ იყო, რადგან სტუდენტობის დროინდელი მეგობრებისა და სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანების გარდა მას იქ უამრავი კოლეგა ჰყავდა, რომლებთანაც წლების მანძილზე საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. მიდიოდნენ და მოდიოდნენ ისინი ერთმანეთთან, სამედიცინო სფეროში საკუთარ იდეებს უზიარებდნენ ერთურთს, მაგრამ ეს მიმოსვლა ძირითადად მაინც მხოლოდ რამდენიმედღიანი გახლდათ. ახლა კი, როცა სამშობლოში ყოფა გაუსაძლისზე გაუსაძლისი შიქმნა, საუკეთესო ქირურგმა ბესო შალიკაშვილმა გადაწყვიტა, არა რამდენიმე დღით, არამედ რამდენი წლით, უფრო ზუსტად, საკუთარ ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორებამდე, მისთვის ლამის მეორე სამშობლოდ ქცეულ რუსეთისთვის მიემართა. გონიერი კაცი, და რაც მთავარია, საკუთარი საქმის პროფესიონალი იყო ბესო, ამიტომაც, რუსეთში ადგილის დამკვიდრება არანაირად არ გასჭირვებია. ბესოსნაირი კიდევ ორი მედიკოსი რომ მედგეს გვერდით, ალბათ უკვდავების პრეპარატს შევქმნი და დედამიწაზე აღარავინ მოკვდებაო, ამბობდა ხოლმე ბესოს რიაზანელი კოლეგა და უფროსი მეგობარი იგორ პანოვი. თუმცა, უკვდავების პრეპარატისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბესო შალიკაშვილს საიქიოს კართან მდგარი, იმდენი მომაკვდავი ადამიანი ჰყავდა სააქაოსკენ მობრუნებული, რომ ხანდახან იგორ პანოვი ხუმრობით ეკითხებოდა ხოლმე ბესოს, შენ, უკვდავების პრეპარატი ხომ არ გამოიგონეო? ბესოც დიმილით თავს უქნევდა მეგობარს და ეუბნებოდა, კი, გამოვიგონე, მაგრამ ჯერ ტესტირების რეჟიმში მაქვს და ამიტომ არ ვამხელო.

ბესო შალიკაშვილს რუსეთში ყველა პატივს სცემდა, მაგრამ განსაკუთრებით ქურდული სამყაროს წარმომადგენლები

გამოირჩეოდნენ ამ მხრივ და ანებივრებდნენ მას. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რუსეთში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დიდი ავტორიტეტის მქონე ვინმე პიროვნებას, მძიმედ დაჭრილს, ან რაღაც ავადმყოფობით მიწაზე გართხმულს, რომ მიუყვანდნენ (უფრო მიუტანდნენ) ხოლმე ბესო შალიკაშვილს კლინიკაში და ცრემლიანი თვალებით შესთხოვდნენ, ოღონდ ეს ადამიანი გადაგვირჩინე და მერე პატივისცემა ჩვენზე იყოსო. ბესარიონ კალისტრატოვიჩი თავმდაბლურად ეტყოდა ხოლმე, ძმებო და დებო, ეს საქმე მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებულიო. მაშ კიდევ ვისზეა დამოკიდებული, გვითხარით და იმასთანაც მივალთო, გაცელებული ამბობდნენ ქურდული სამყაროს ავტორიტეტები. არა, მეგობრებო, თქვენ იმასთან ვერ მიხვალთო, შეუპოვრად პასუხობდა ბესო. ვინ, ჩვენ ვერ მივალთ? გვითხარით, ვინ არის და დღესვე იმასთან გაჩნდებითო, უკან არ იხევდნენ ამ ქვეყანაზე, თითქმის ყოვლისშემძლე ავტორიტეტები.

- ვერ მიხვალთ, ხომ გეუბნებით, ვერაააააააა, - თავდაჯერებით ამბობდა ბესო.

- არა, მაინც გვითხარით, ბესარიონ კალისტრატოვიჩ, უბრალოდ, ვიცოდეთ, ვის ხელში ვართ და საჭიროებისამებრ, მადლობა ვის ვუთხრათ?

ვის და ღმერთის ხელში ვართ ყველანი, ღმერთის, მე კი, მხოლოდ მისი ბრძანებების შემსრულებელი ვარო, თავმდაბლურად ეტყოდა ხოლმე ბესო.

ღმერთის გაგონებაზე, უამრავი ეკლესიის ამშენებელი ქურდული სამყაროს წარმომადგენლები ცრემლებს ვედარ იკავებდნენ და თვინიერზე თვინიერი არსებები ხდებოდნენ. ხოლო, თუ ოპერაცია წარმატებით დასრულდებოდა (არადა, ბესარიონ შალიკაშვილის თითქმის ყველა ოპერაცია წარმატებული იყო), ძღვენად, ქრთამად თუ მადარიჩის სახით ბესოს ისეთ ძვირფასეულობებს ჩუქნიდნენ, რომ მერე შალიკაშვილების ოჯახს კარგა ხანი სალაპარაკო და სატრაბახო ჰქონდა ხოლმე. მსუყე თანხებთან ერთად, განსაკუთრებით ოქროს ჯვრების, უდიდეს მხატვართა უკვდავი შედევრების, ელექტრო ტექნიკის ან ავტომანქანების ჩუქება უყვარდათ ქურდებს ბესარიონ კალისტრატოვიჩისთვის. ისიც თავს არ იფასებდა და უარს არ ამბობდა. ან რატომ უნდა ეთქვა უარი, როცა სწორედ ზღაპრული ცხოვრების მოსაწყობად და ავტორიტეტებისგან ყურადღების ცენტრში მოსაქცევად მიაშურა რუსეთს, ქვეყანას, სადაც კორუფცია და ქაოსი ზეობდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოში ბესო შალიკაშვილის მახვილი გონება და პროფესიონალიზმი არავის სჭირდებოდა, რუსეთში კი, არა მარტო სჭირდებოდათ ბესო შალიკაშვილის პროფესიონალიზმი, აქეთ ხელსაც უწყობდნენ მას კიდევ უფრო მეტი სრულყოფილებისთვის.

როცა ბესარიონ შალიკაშვილი რუსეთში ოჯახით ჩავიდა, მაშინ მას და მის მეუღლეს, თამარ მამასახლისს ერთადერთი ვაჟი, დაჩი შალიკაშვილი სამი წლისა ჰყავდათ, ცხადია, ახალ გარემოში უკეთ ადაპტირების მიზნით დაჩი ჯერ რუსულ საბავშვო ბაღში, სამ წელიწადში კი უკვე რუსულ საჯარო სკოლაში შეიყვანეს. დაჩის არანაირად არ გასჭირვებია რუსულ ენასთან და გარემოსთან შეგუება, მეტიც, არ გასჭირვებია კი არა, გავიდა წლები და მისთვის რუსული ენა ლამის მეორე მშობლიურ ენად, ხოლო რუსეთი ერთადერთ და განუმეორებელ სამშობლოდ იქცა.

- რომ გაიზრდები, რა უნდა გამოხვიდე? - ეკითხებოდნენ ხოლმე ბესოს მეგობრები პატარა დაჩის.

- ქურდი. - ამაყად პასუხობდა დაჩი.

ამის გაგონებაზე ყველანი იცინოდნენ და ბესოს ეუბნებოდნენ, ეს ისეთი გეზრდება ან აგაშენებს, ან დაგღუპავსო.

ბესოც გულში იხუტებდა თავის ერთადერთ ძეს და სიცილით ეუბნებოდა, შვილო, ჯერ ექიმობით დაიწყე და, თუ არ გამოდგები მაგ საქმეში, მერე ჩემი ხელითვე მიგიყვან რომელიმე ავტორიტეტთანო.

ამის გაგონებაზე, პატარა დაჩი ჭირვეულად იქნედა თავს და ამბობდა, არააა, მე ქურდი მინდა გამოვიდე, თუ გინდა, ექიმი შენ იყავიო.

ასე სიცილ-ხარხარში გადიოდა წლები; ბესო ელოდა, დაჩი როდის დაკაცდებოდა და ოჯახს როდის დაატყობდა საკუთარ ხელს, დაჩის კი ერთი სული ჰქონდა სრულწლოვანი გამხდარიყო, რათა სახელოვან მამიკოს მისთვის მართვის მოწმობა და ძვირადღირებული მარკის ავტომობილი ეყიდა.

- გაიზრდება ჩემი დაჩი, ჭკუაში ჩავარდება და დიდი კაცი გამოვა. ბესო, ხომ მართაღს ვამბობ? - ბედნიერებანარევი ღიმილით ეკითხებოდა თამარი ბესოს.

- ჩემო თამარ, მართალი ხარ და მეც მაგ დროის დადგომას ველი. - პასუხობდა ბესო.

დაჩის ჭკუაში ჩავარდნას თამარი და ბესო წლობით ელოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ სწორედ მშობლების დამსახურებით, მათი შვილი ჭკუაში ჩავარდნის ნაცვლად, ისეთ გარემოცვაში ჩავარდა, საიდანაც კრიმინალური სამყარო რომანტიზირებული და ზეციური ჩანდა. ასე იცის, ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან ოჯახებით ახლობლობამ და ჩახუტებამ, მით უმეტეს, თუ რუსეთში ცხოვრობ, თან ბიჭი გყავს და თანაც მოზარდი.

4

მობილურზე ვიღაცა რეკავს, უცნობი ნომერია, რამდენიმე წუთში ბესოს ავადმყოფების სანახავად, საღამოს შემოვლა აქვს ჩასატარებელი, მაგრამ, მაინც პასუხობს.

- გისმენთ!

- ბესარიონ შალიკაშვილი ბრძანდებით?

- დიახ!

- რიაზანის პოლიციის მთავარ სამმართველოდან გაწუხებთ.

- პოლიციიდან? რა ხდება, მშვიდობაა? - გულმა მწარედ ჩაჰქნია ბესოს.

- თქვენი ვაჟი, დაჩი შალიკაშვილი ჩვენთან არის და საქმის კურსში გაყენებთ. პოლიციის განყოფილებაში თუ მობრძანდებით, კარგი იქნება.

- თქვენ პირადად ვინ ბრძანდებით? - ძლივს ამოდერდა ბესომ.

- მე პოლიციის მაიორი დიმიტრი სიდოროვი გახლავართ.

- დაჩიმ რა დააშავა?

- ჯერ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, საქმის დეტალებს ახლა ვარკვევთ. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, საქმე ადამიანის მკვლელობას ეხება.

- რა მკვლელობა, რის მკვლელობა? გინდათ თქვათ, რომ დაჩიმ ვინმე მოკლა?

- ბესარიონ, ხომ გითხარით, რომ ყველაფერს ახლა ვარკვევთ - მეთქი?!

რადღა დროს შემოვლა იყო, ბესომ სასწრაფოდ გაიხადა თეთრი ხალათი და კოლეგა-მეგობარს, კონსტანტინე გლადილინს სთხოვა, ჩემს მაგივრად შემოვლა შენ ჩაატარეო.

- რა მოხდა, ბესარიონ, რაღაც ძალიან გაფითრებული ჩანხარ, ცუდად ხომ არ ხარ?

- დაჩის თაობაზე დამირეკეს პოლიციიდან და უნდა წავიდე.

- რა არის, რა ხდება, დაჩი ხომ კარგად არის? - ელდანაცემი იქვე, სკამზე ჩამოჯდა კონსტანტინე.

- კარგად რომ იყოს, პოლიციაში არ დამიბარებდნენ.

- მეც წამოგყვები.

- არა, არ გინდა, შენ ავადმყოფებს მიხედუ, მე ჩემს შვილს მივხედავ.

ჩავიდა ბესო ავტოსადგომზე, ჩაჯდა მანქანაში და რამდენიმე წუთში უკვე პოლიციის მთავარ სამმართველოში იყო. მაგიდას ორნი უსხდნენ, პოლიციის მაიორი დიმიტრი სიდოროვი და ეჭვმიტანილის მამა, ბესო შალიკაშვილი. სხვები სად არიან ან სად არის ამ საქმის გამომძიებელი? ჯერჯერობით არავინ არ ჩანს, მალე შემოვლენ, მაგრამ ყველაფერი ცხადზე ცხადია. მოხდა მკვლელობა, რაშიც ბრალს ცხრამეტი წლის დაჩი შალიკაშვილსა და მის მეგობარს, კრიმინალურ ავტორიტეტს, ოცდარვა წლის პავლე ვარლამოვს სდებენ. მკვლელობა ამ საღამოს რიაზანის ერთ-ერთ დისკოთეკაზე მომხდარა. კონკრეტული სურათი ჯერ არ არსებობს, რადგან მოწმეები არ არიან, მხოლოდ სათვალთვალო კამერებზეა დაფიქსირებული, რომ პავლე ვარლამოვმა მთვრალი ეგგენი პეტრაკოვი ძალის გამოყენებით ტუალეტში შეათრია, რომელთაც რამდენიმე წამში დაჩი შალიკაშვილიც შეჰყვა, ამ უკანასკნელის ტუალეტში შესვლიდან ოცდახუთი წამის შემდეგ ეჭვმიტანილები, ვარლამოვი და შალიკაშვილი გარეთ გამოდიან, ეგგენი პეტრაკოვი კი, დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ ტუალეტში შესულმა მოქალაქემ ნ. მ. - მ იატაკზე დაგდებული და საკუთარ სისხლში მცურავი ნახა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არც ცივი და არც ცეცხლსასროლი იარაღი არ ფიგურირებს, სახეზეა სასტიკი მკვლელობა. აქედან გამომდინარე, გასარკვევი ორი რამეა; პირველი, რითი მოკვდა ეგგენი პეტრაკოვი, და მეორეც, პავლე ვარლამოვი და დაჩი შალიკაშვილი თანაბრად მონაწილეობდნენ მკვლელობაში თუ ტუალეტში რამდენიმე წამის შემდეგ შესულ დაჩი შალიკაშვილს, ეგგენი პეტრაკოვი პავლე ვარლამოვის ხელიდან უკვე მოკლული დახვდა?

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეჭვმიტანილი სხვადასხვა კამერაში ჰყავთ მოთავსებული და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ერთმანეთთან შეხვედრის უფლებას არ აძლევენ, ისინი, მაინც ერთი და იმავე ტექსტს ლაპარაკობენ. თუმცა, საგულისხმოა, რომ სანამ პოლიცია დააკავებდა, მათ ერთმანეთთან მოლაპარაკებისა და მკვლელობის სასურველ სცენარზე შეთანხმების დრო ნამდვილად ჰქონდათ. ორივე ბრალდებულის მტკიცებით, პეტრაკოვისთვის დანა არ დაურტყამთ, ის ფეხის დაცდენის შემდეგ წაიქცა და ხელსაბანის გატეხილ ნიჟარაზე საფეთქლის ჩამორტყმის შემდეგ დაიღუპა.

ცხადია, ექსპერტიზა ჩატარდა და ნამდვილად ხელსაბანის გატეხილ ნიჟარაზე საფეთქლის ჩამორტყმას გამოუწვევია პეტრაკოვის სიკვდილი, მაგრამ, ისიც ხომ ცხადია, რომ აწვარდაცვლილი პეტრაკოვი

სიკვდილამდე რამდენიმე წამით ადრე, პავლე ვარლამოვმა ძალის გამოყენებით შეათრია ტუალეტში, რომელთაც დაჩი შალიკაშვილიც შეჰყვა. ანუ სავარაუდოა, რომ პეტრაკოვი არა თავად, არამედ ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ წაიქცა, საფეთქელი ხელსაბანის გატეხილ ნიჟარას ჩამოარტყა და მიღებული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა.

რაც მთავარია, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი არც პავლე ვარლამოვსა და არც დაჩი შალიკაშვილს არ ჰქონიათ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პეტრაკოვის სიკვდილი ხელსაბანის გატეხილ ნიჟარაზე საფეთქელის ჩამორტყმამ გამოიწვია.

ჰოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამის შემდეგ. რა დღეში ჩავარდებოდნენ ბესო და თამარი. როგორია, გაზრდილი და ხელის გულზე ნატარები შვილი ხელიდან ეცლებოდათ. - ბავშვი ჯერ მხოლოდ ცხრამეტი წლის არის და მისი დაღუპვა არ შეიძლება, გავეიდოთ ყველაფერი, გამოვიყენოთ ჩვენი საახლობლო წრე და გადავარჩინოთ ჩემი შვილი. - ქვითინებდა გულამომჯდარი თამარი.

ბავშვი ნამდვილად გადასარჩენი იყო, მაგრამ მკვლელისა თუ ეჭვმიტანილის ქართველ მშობლებს არ ახსოვდათ, რომ სასტიკად მოკლული ევგენი პეტრაკოვიც ბავშვი იყო, სხვათა შორის, დაჩი შალიკაშვილზე ერთი წლით პატარა, ანუ თვრამეტი წლის.

მიდგა, მოდგა ბესო შალიკაშვილი, ამ საქმეში ჩარია ყველა, ვისი ჩარევაც შეეძლო, ნაცნობი დეპუტატებიდან დაწყებული, მინისტრებით გაგრძელებული და კრიმინალური ავტორიტეტებით დამთავრებული. ბესოს ერთგულმა მეგობარმა, საშა პეტროვმა კი თავის ქისას პირი მოხსნა და საჭირო ხალხის დოლარებით გადმობირება დაიწყო... ჰო, დაიწყო და რა დაიწყო, შედეგი მართლაც საოცარი დადგა, რამეთუ ეს რუსეთია, შავ-ბნელი რუსეთი, სადაც ადამიანის სიცოცხლეზე მეტად მწვანე დოლარი და საერთო საქმის ინტერესები ფასობს.

ამ გადმობირებების დროს, სადღაც ზემოთ რუსებმა გადაწყვიტეს, რომ ბესარიონ კალისტრატოვიჩი ჩვენი კაცია, ქართველია და გვჭირდებაო. ალბათ საქმეში ჩაუხედავი ადამიანი იკითხავს, კი, მაგრამ რუსეთის მმართველ ელიტაში, ანუ სახელმწიფოს მმართველ ორგანოებში, ვის რაში უნდა დასჭირვებოდა ერთი ვიღაც ქართველი ქირურგი? იკითხავს და პასუხსაც აუცილებლად მიიღებს, თანაც დამაჯერებელს - ბესარიონ შალიკაშვილი რუსეთში დასახლებული ნიჭიერი ქართველი ექიმია, რუსეთის უშიშროებას კი ძალიანაც სჭირდება ქართველებთან დაახლოება, მათი გადმობირება და შემდეგ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება.

ნათქვამია, ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად პირსო. ალბათ ყველაფერი გასაგებია, დაგეხმარებით, ოღონდ შენც დაგვეხმარე, დაგიდგებით გვერდით, ოღონდ შენც დაგვიდექი გვერდით. ამდენი დოლარების ფრქვევისა და საახლობლო წრის ჩარევის შემდეგ,

მართლაც დაუდგინენ გვერდში ბესარიონ კალისტრატოვიჩს, ვინ? ვინ და რუსები, აი, ის რუსები, ხანდახან თავის თანამემამულეებსაც რომ არ ინდობენ ხოლმე. ბესო შალიკაშვილის ოჯახი კი დაინდეს. მოკლედ, რამდენიმე კვირაში სადღაც ზემოთ, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ერთ-ერთ კაბინეტში დათვალეს ის თანხა, რაც ბესარიონ კალისტრატოვიჩს ჰქონდა გადახდილი და დაადგინეს, რომ ეს თავის საქმეში ნიჭიერი ქართველი ხელიდან გასაშვები არ არის, მასთან ბევრი საერთო ინტერესები გვაქვს, ის ჩვენ გვჭირდება და უნდა გამოვიყენოთ. ხოლო რუსეთის სპეცსამსახურებმა ადამიანის გამოყენება-გამოწურვა საუცხოოდ რომ იციან, ამაში საკამათო არაფერი არ უნდა იყოს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დაჩი შალიკაშვილი სრულიად სუფთად გამოიყვანეს ამ საქმიდან, ისე, თითქოს არა მკვლელობის თანამონაწილე, არამედ მოწმე ყოფილიყოს. ვინ მოკლა ევგენი პეტრაკოვი? ვინ და პავლე ვარლამოვი, ყოველ შემთხვევაში, გამოძიებამ და სასამართლომ ასე დაადგინეს. რატომ? იმიტომ, რომ დაჩი შალიკაშვილი საჭირო კაცის შვილია, უფრო ზუსტად, იმ კაცის შვილია, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებს აწყოთ და მათ ფასდაუდებელ საქმეს გაუკეთებს რუსეთის პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად. ვარლამოვი კი ვინ არის? ერთი ვიღაც კრიმინალური ავტორიტეტი, რომლისთვისაც ციხე იგივე სახლია. ჰოდა, იყოს ვარლამოვი ციხეში, ამით არაფერი დაშავდება, ის კი არა, რამდენიმე წელიწადში, როგორც სანიმუშო პატიმარი, შეიძლება შეწყალებითაც გამოუშვან გარეთ. თუმცა, ეს უფრო მომავლის საქმეა. დღეს კი დაჩი შალიკაშვილი გარეთ უნდა იყოს, რადგან მის სახელოვან მამიკოს ხელი არ შეეშალოს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებების შესრულებაში. თან ბესო შალიკაშვილის ოჯახის ყველა წევრი რუსეთის მოქალაქეა, ხოლო რუსეთის სახელმწიფო თავისი მოქალაქეებიდან ვის გაამტყუნებს და ვის გაამართლებს, ეგ ვისი რა საქმეა? მხოლოდ მათი შინაური საქმე და პრობლემა ყოფილა.

დაჩის გათავისუფლებიდან რამდენიმე საათით ადრე, ბესარიონ კალისტრატოვიჩი დაიბარეს მოსკოვში მდებარე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობაში, იქ, სადაც ყველა კაბინეტში ვლადიმერ პუტინის სურათი კიდია. წარმოიდგინეთ:

ერთ-ერთ იატაკმოკრიალებულ კაბინეტში მრგვალ მაგიდას სამნი უსხედან; ვიღაც გენერალ-პოლკოვნიკი, ვიღაც სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი და ბესარიონ კალისტრატოვიჩი.

- სამწუხაროა, რომ აქამდე არ ვიყავით ერთმანეთთან დაკავშირებული. - ამბობს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი და სინანულით თავს იქნევს.

- არც ახლანა გვიან. - რაღაც დამშვიდებული და კმაყოფილია ბესარიონ კალისტრატოვიჩი.

- მართალი ხართ, რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებში ჩადგომა და მის სიძლიერეზე ზრუნვა არასოდესაა დაგვიანებული. - კმაყოფილია გენერალ-პოლკოვნიკი.

- დიას, ნამდვილად ასეა. - ბესარიონ კალისტრატოვიჩი ისევ დამშვიდებული და კმაყოფილია.

- მოდით, პირდაპირ გეტყვი, ჩვენ, რუსეთის ფედერაციაში ძალიან გვაშფოთებს საქართველოს ხელიდან გაშვება. ხომ ხედავთ, რა ხდება თქვენს ქვეყანაში, რაღაც პოლიტიკური მოძრაობები იწყება და ამერიკა-ევროპიზაციისკენ წასვლას ლამობენ. შედეგად, ზოგიერთებს აუხირებიათ, ნატო გვინდაო. კი, მაგრამ, სად და როგორ უნდა განთავსდეს საქართველოში ნატოს ბაზები? რუსეთის გვერდით, ანუ მეზობლად? მით უმეტეს, თურმე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაც გადაუწყვეტიათ ქართველებს. მერედა, ჩვენ აღარ გვეკითხებიან? არა და არა, ჩვენ არ დავუშვებთ საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვას. საქართველო იყო და მომავალშიც იქნება რუსეთზე დამოკიდებული წარმონაქმნი. ჩვენ გვაქვს იმის საკმარისი რესურსი, რომ დასავლურ სტრუქტურებში ქართველთა ინტეგრაციას წინ აღვუდგეთ. ამისთვის კი, კიდევ უფრო მეტი სანდო ადამიანები გვჭირდება თქვენს ქვეყანაში. - ამას სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი ამბობს და ჯერ კიდევ ახალმოკიდებულ სიგარეტს საფერფლეზე ნერვიულად აქრობს.

- გასაგებია, გასაგებია. - თავს იქნევს ბესარიონი.

ამ დროს გენერალ-პოლკოვნიკი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულს რაღაცას ანიშნებს.

- ახლავე... მაშ ასე, ბესარიონ კალისტრატოვიჩ, ზეგინდელი თვითმფრინავის ბილეთი, მოსკოვიდან ერევნამდე და ერევნიდან თბილისამდე, თქვენთვის უკვე დაჯავშნილია. ესე იგი, ზევ სადამოს ჩაფრინდებით თქვენს ისტორიულ სამშობლოში, მეორე დილით კი მიხვალთ ჩვენგან მითითებულ ორგანოში და იქ უკვე დავალებებს მიიღებთ. - სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ამთავრებს სიტყვას და სიგარეტის ახალ ღერს იღებს კოლოფიდან, ოღონდ არ უკიდებს, მხოლოდ თითებში ათამაშებს.

- ერთ თვეში მობრუნდებით უკან, რუსეთში, უფრო ზუსტად. რიაზანში, მოჰკიდებთ ხელს თქვენს ცოლ-შვილს და უკვე მთელი ოჯახით შეგეძლება თბილისში გამგზავრება. - ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი და ფეხზე დგება.

- ყველაფერი გასაგებია, - ისევ თავს იქნევს ბესარიონი.

- რაც შეეხება საქართველოში თქვენს საცხოვრებელს. თბილისის ნებისმიერ უბანში, ნებისმიერ ადგილს დაადეთ ხელი და სამოთახიან

ბინას ჩვენ ვყიდულობთ თქვენთვის. - ამბობს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული და სიგარეტის ღერს ისევ კოლოფში დებს.

- დიახ, ბესარიონ კალისტრატოვიჩი, თბილისის გარეუბანში თუ რაღაც კვარტლებში ცხოვრება თქვენთვის წამგებიანია, თქვენ ქართულ ინტელიგენციასთან თუ ელიტასთან უნდა იყოთ ახლოს, რათა ბევრი ინფორმაცია მიიღოთ მათზე და შემდეგ ჩვენ მოგვაწოდოთ ხოლმე, თბილისის კვარტლებში თუ მასივებში კი ასეთი ხალხი არ ცხოვრობს. - ილიმის და ხელეებს იფშენეტს გენერალ-პოლკოვნიკი.

- მოკლედ, უნდა შეჩერდეს საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა და ეგ ლამაზი ქვეყანა ისევ დედა რუსეთის წიაღში უნდა დაბრუნდეს, ოღონდ უნდა დაბრუნდეს სამუდამოდ. - ძალიან ნერვიული ჩანს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი.

- და თქვენ, ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროთ. მზად ხართ ამისთვის? ხართ თუ არა მზად? - ბოლთის ცემას იწყებს გენერალ-პოლკოვნიკი.

- ვფიცავ ყველაზე ძვირფასს, რომ მთელ ჩემს ძალასა და ცოდნას რუსი და ქართველი ხალხის ერთ წიაღში დაბრუნებას მოვახმარ. - ორივე ხელს მაღლა სწევს ბესარიონ კალისტრატოვიჩი, მერე ოსტატურად სამჯერ პირჯვარს იწერს და გულზე ჩამოკიდებულ თავის ჯვარს ჰკოცნის, რაც იმის ნიშანია, რომ თქვენი ვარ და მიმსახურეთ, როგორც გენებოთო.

დიახ, მიმსახურეთ რუსებმაო, მიმსახურეთ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების გასაძლიერებლად, ხოლო ჩემი ისტორიული სამშობლოს დასაპყრობად, დასამონებლად და გასაბახებლადო, ღმერთისა და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მაღალჩინოსნების წინაშე ფიცი დადო ბესარიონ კალისტრატოვიჩმა. ეს იყო ფიცი ღმერთისა და რუსების წინაშე, ფიცი ქართველთა დამარცხებისთვის და რუსთა გამარჯვებისთვის დადებული.

იმავე საღამოს დაბრუნდა ბესარიონ კალისტრატოვიჩი რიაზანში და მის ოჯახში დიდი სუფრაც გაიშალა. სტუმარიც და მასპინძელიც საქართველოს დიდებაზე ლაპარაკობდა, ოღონდ რუსეთთან ერთად დიდებაზე. რუსს არ ადარდებდა საქართველოს დამონება, ქართველს კი არ სტკიოდა სამშობლოს გაყიდვა.

რა უცნაურია ცხოვრება, რა უცნაურია პოლიტიკა და რა უცნაურია რუსულ ყაიდაზე გადასული ქართველის ყოფა.

საქართველოში დაბრუნებულმა ბესო შალიკაშვილის ოჯახმა პირველი რაც გააკეთა, ახალი ბინის საყიდლად პრესტიჟული ადგილის შერჩევა იყო. მათი რა მიდიოდა, თანხას ხომ რუსეთის სპეცსამსახურები იხდიდნენ. დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ თბილისის ცენტრში, კერძოდ, ფიქრის გორაზე დაედოთ ბინა. დაიდეს კიდევ და, აჰა, კეთილმოწყობილი, სამოთახიანი ბინის გასაღები მათ ხელშია. ამისთვის მადლობა ვის? რა თქმა უნდა, რუსებსა და რუსეთს. გასაგებია, მადლობა რუსებსა და რუსეთს უნდა უთხრან, თუმცა, უკვე დამშვიდებული თამარი, მაინც „ახალი აღთქმით“ ხელში დადის ოთახიდან ოთახში, ადგილს ვერ პოულობს და მადლობას რუსებთან ერთად უფალსაც უხდის. - ბესო, კაცო, აჰა, შენ რუსი უძახე და, ხომ ხედავ, რა საქმე გაგვიკეთეს, გადაგვარჩინეს, დაგვასახლეს და აგვაყვავეს. ქართველები მაინც გაუტანლები ვართ, ერთმანეთის თანადგომა არ ვიცით, რუსები კი სულ სხვა ხალხია, სულ სხვა სიყვარულია, ჩვენი მართლმადიდებელი ძმები და დები არიან. დიახ, რუსებმა შვილი გადამირჩინეს დაღუპვას. ერთი წამითაც აღარ მინდა იმ საშინელი დღეების გახსენება, დაჩი რომ დაჭერილი იყო, ჩემი უდანაშაულო ბავშვი. შენ კი დიდება უფალო, ჩემი ღოცვა რომ შეისმინე, უდანაშაულო შვილი რომ გადამირჩინე სატანჯველისგან და მერე ასე ზღაპარივით რომ აგვიწყე ჩვენი პატიოსანი ოჯახის ცხოვრება.

- მადლობა უფალს და საშას, რამდენი იწვალა კაცმა, როგორ დაგვიდგა გვერდში. ამიტომ არის, რომ მე მას ძმად ვთვლი და არა მეგობრად. - ბედნიერების ცრემლებად იღვრებოდა ბესო.

- რა დამავიწყებს, იმ მძიმე დღეებში საშა, ლარისა, პეტრო და მარინა სულ ჩვენთან რომ იყვნენ. რა კარგი ცოლ-შვილი ჰყავს საშას და როგორ უყვართ ქართველები. ამიტომაც ვამბობ, ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. - როგორც იქნა, თამარი ოთახიდან ოთახში სიარულს თავს ანებებს და სამზარეულოს სკამზე ჯდება.

ბესო აივნის კარებს ადებს და თბილისის ხედით კმაყოფილი დაჩის მიმართავს - პრესტიჟული ადგილია, იდეალურად მისადგომი, სამეზობლო კი საუცხოო გეყოლება. ჰოდა, მეტი რაღა გინდა, იცხოვრე, იბედნიერე, გამრავლდი და გაიხარე.

- კი, შვილო, ქართველები ვართ და ჩვენთვის სამეზობლოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მარცხნივ აკადემიკოსი გვეყოლება მეზობლად, მარჯვნივ ცნობილი მსახიობი, ზემოთ პარლამენტარი, ხოლო ჩვენ ქვემოთ საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი ცხოვრობს. ხალხი ბერდება და ასეთ საზოგადოებაში მოხვედრას ნატრულობს, შენ კი ცხრამეტი წლის ასაკში, უკვე თბილისის პრესტიჟულ და ელიტარულ უბანში მკვიდრდები. - სიხარულისგან ცახცახებს თამარი.

დაჩი ამ დროს ცარიელი თვალებით იყურება და ერთი სული აქვს, დედ-მამა თავის მოძღვრებებს მორჩნენ. თუმცა, რა ენადვლება ბიჭს, უკვე გადარჩენილი და სამშვიდობოს გასულია. სულ რაღაც ორი თვის წინ კი, რუსეთის საპყრობილის კედლებში გამომწვევდელი ცხრამეტი წლის ამაყი და მშობლებისგან, ვითომ უკვე დამოუკიდებელი ქართველი, პაემანზე მისულ დედ-მამას ცხარე ცრემლით ემუდარებოდა, ქენით რამე, რაღაცა გაყიდეთ და გამიშვით აქედანო.

მართლაც ასე მოხდა, დაჩის მშობლებმა მათი ერთადერთი შვილის თავისუფლების სანაცვლოდ გაყიდეს რაღაცა, ოღონდ ის რაღაცა საკუთარი სამშობლოს მომავალი და ბედნიერება იყო. მოკლედ, არაფერი ყოფილა სამშობლოს გაყიდვაზე ადვილი, მთავარი ინტერესებია, საკუთარი ოჯახის ინტერესები და სამშობლო გაყიდულია, უფრო ზუსტად, მიყიდულია იმას, ვინც დიდ რამეს შეგპირდება ან სხვაზე მეტს გადაგიხდის.

საქართველოში დაბრუნებულმა ბესო შალიკაშვილმა მრავალ პრობლემასთან ერთად დაჩის სწავლა-განათლების პრობლემაც გადაჭრა. ცხადია, ისიც რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით, თორემ, აბა, დაჩის გონებრივი შესაძლებლობების პატრონს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში არავინ დასვამდა. ბესო შალიკაშვილის ვაჟს კი რიაზანის სამედიცინო უნივერსიტეტიდან თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოსვლისა და მეორე კურსზე დაჯდომის უფლება მისცეს, ოღონდ არა როგორც ბეჯითს, არამედ, როგორც პატრონიან სტუდენტს.

მაშ ასე, დაჯდა დაჩი შალიკაშვილი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსზე და დაიწყო თავდავიწყება. რუსეთიდან ჩამოსული თავმომწონე ქართველი ვისაც კი სადმე შეხვდებოდა ან გაიცნობდა, ყველასთან თავისი ოჯახის სიძლიერეზე თუ ღირსებებზე ლაპარაკობდა. როგორ? ძალიან მარტივად. მაგალითად, მამაჩემი ქირურგია, პროფესორია, აკადემიკოსია. სხვათა შორის, დედაჩემიც ექიმია. მე სამედიცინოზე ვსწავლობ, დავამთავრებ და მამაჩემი საკუთარ კლინიკას გამიხსნის. ჩვენ დიდი ხნით რუსეთში ვცხოვრობდით და ახლა საქართველოში დავბრუნდით.

- როცა ხალხი აქედან გარბის, თქვენ რატომ დაბრუნდით საქართველოში? - ეკითხებოდნენ ხოლმე დაჩის.

ის კი დიდი მამულიშვილივით გულისამაჩუყებელ ტექსტებს ისროდა. - გიცხოვრიათ დიდი ხნით უცხოეთში?

ისინი პასუხობდნენ ან „კი, გვიცხოვრია,“ ან „არა, არ გვიცხოვრია,“ თუმცა დაჩისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თანამოსაუბრე რას უპასუხებდა, ის ყველასთან, მაინც თავისას მიერეკებოდა - სამშობლოს ნოსტალგია ოხერი რამე ყოფილა, თორემ რუსეთში აწყობილ ცხოვრებას როგორ მიატოვებდა კაცი?

ამ სიტყვების გაგონებაზე დაჩისთან მოსაუბრეს თვალები ცრემლებით ევსებოდა, ბესო შალიკაშვილის ერთადერთი ძე კი აგრძელებდა, - ჩვენი ოჯახი ასე თვლის, რომ გვირჩევნია გაჭირვებულ სამშობლოს დაუდგეთ გვერდში, ვიდრე საკუთარი ენერგია სხვა, თუნდაც მდიდარ ქვეყანას მოვახმართ.

- კარგი ბიჭი ხარ და კარგი ოჯახის შვილი ხარ შენ, დაჩი, - იტყოდა ვინმე თანამოსაუბრე.

- დიდი მადლობა, თქვენც ძალიან კარგი ადამიანი ხართ.

- ეს სამი დღე რატომ არ ჩანდი? - ვიღაცა გულუბრყვილოდ ეკითხება დაჩის.

- ხომ იცი, ჩემი მერსედესი დავამტვრიე და ახალი ლექსუსი ჩამომყავს იაპონიიდან. ამიტომ, ეს დღეები არ მეცალა. - ტრაბახით, თან ტუჩის სასიამოვნო კანკალით პასუხობს ბესო შალიკაშვილის ერთადერთი ძე.

მამაჩემი ეს არის, მამაჩემი ის არის, რიაზანის ყველაზე პრესტიჟულ უბანში ვცხოვრობდით, ახლა თბილისში, ფიქრის გორაზე დავიდეთ ბინა, წყნეთში აგარაკს რატომ არ ვყიდულობთ? რაში გვჭირდება აგარაკი, როცა ისედაც დედამიწის ნებისმიერ წერტილში უპრობლემოდ დავდივართ დასასვენებლად. ზაფხულში, ალბათ კანარის კუნძულებზე წავალთ საგრილოდ, ზამთარში კი, შვეიცარიაში, ალპებისკენ ავიდებით გეზს. ტრაბახობდა ცხოვრებისგან, უფრო ზუსტად, მშობლებისგან განებივრებული და გათავსებული დაჩი.

ბუნებრივია, რომ ბესო შალიკაშვილის ვაჟის ასეთი ტრაბახი განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლებზე მოქმედებდა დადებითად, მეტიც, ატყვევებდა და აჯადოებდა მათ. აბა, როგორი საქმეა, გოგო ხარ თუ ქალი ხარ, არა აქვს მნიშვნელობა, ცხოვრობ ყოვლად დეგრადირებულ, გადატაკებულ ქვეყანაში, სადაც უპერსპექტივობას ადამიანები თვითმკვლელობამდე მიჰყავს, და ამ დროს, შენს ცხოვრებაში ჩნდება არა თეთრ ცხენზე, არამედ რომელიმე პრესტიჟული მარკის ავტომანქანაზე ამხედრებული, ვინმე დაჩი შალიკაშვილი... ჩნდება და გიყვება თავის თავგადასავლებს, თან

ისე, რომ მუდამ საკუთარი ოჯახის ღირსებებს ახსენებს, ანუ რა ძლიერი და წარმატებული ოჯახი ჰყავს. მოკლედ, გოგო ხარ თუ ქალი ხარ, ძლიერი მამაკაცი გჭირდება გვერდით და რა გასაკვირია, რომ ებმები მის მახეში. ლიზიც ასე გაება დაჩის მიერ დაგებულ მახეში, გაება და სხვა გოგონებისგან განსხვავებით, გაცნობიდან რამდენიმე თვეში, როცა დაჩი ოცი წლის იყო, მისი მეუღლეც გახდა. ცხადია, დაჩის ბევრი არ უწვავია ლიზის გამოჭერაზე, ან რატომ უნდა ეწვავა, როცა ლიზი და დაჩი ერთ კურსზე, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. შედეგად, რიაზანიდან თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში გადმობარგებულ დაჩის ლიზი გულში ჩაუვარდა და მასთან შეუღლებაც გადაწყვიტა.

- მე მგონი, ცოლი მომყავს, - ეუბნება დაჩი დედას.
- მე მგონი, რას ჰქვია, შვილო? - უკვირს თამარს.
- რა ვიცი, ვნახოთ, შეიძლება მოვიყვანო.
- და მოყვანაში რა შეგიშლის ხელს?
- რა ვიცი, აბა?
- შენ თუ არ იცი, სხვამ ვინ უნდა იცოდეს? მოგწონს? გიყვარს?
- კი, ძალიან მიყვარს.

- ჰოდა, მოიყვანე, რაღას უცდი, ოღონდ, ისე კი აღარ ქნა, რიაზანში, შენზე თორმეტი წლით უფროსი, მატარებლის გამცილებელი თუ კონდუქტორი ქალი, რომ მოგვიყვანე და ერთი კვირით დაგვისვი სახლში.

- კაი, რა, ნუ დაიწყე ისევ შენებურად. - აშკარად განწყობა ეცვლება დაჩის.

- არა, უბრალოდ, ლაპარაკმა მოიტანა და იმიტომ გამახსენდა. ეგ გოგო კი, ჯერ გაგვაცანი, გავიგოთ, ვინ არის?

- აუცილებლად გაგაცნობთ, ოღონდ მანამდე იმისმა მშობლებმა უნდა გამიცნონ და ამიტომ, მივდივარ მათთან სახლში.

როდის?

- ხვალ.
- რა ჰქვია?
- ლიზი.
- გვარიც მითხარი, უნდა ვიცოდე.

- კალანდია.

- რას წარმოადგენს, სად სწავლობს და რამდენი წლისაა? - ეკითხება თამარი.

- ჩემი ჯგუფელია და ჩემხელაა.
- ააა, ესე იგი, ეგეც მომავალი ექიმი ყოფილა.
- ნამდვილად ეგრეა.

- ჰო, რაც მთავარია, მათთან ოჯახში რომ მიხვალ, მაქსიმალურად ბევრი ილაპარაკე ბესოზე, უთხარი, რასაც წარმოადგენს მამაშენი და

დიდი ხნით, რუსეთში რომ ვცხოვრობდით. ლიზისაც სულ ამაზე ელაპარაკე ხოლმე. გაიგე, შვილო?

- კი, აბა, სხვა რაზე უნდა ველაპარაკო?

მართალია ბიჭი, აბა, სხვა რაზე უნდა ილაპარაკოს საცოლესთან და მის ოჯახთან? მწერლობაზე ან პოეზიაზე? ცხადია, ვერ ილაპარაკებს, რადგან წიგნთან ძალიან შორს დგას, მით უმეტეს, რომ არც ლიზი კალანდიაა დიდად წიგნიერი გოგონა. ვერც საქართველოს ისტორიაზე ან საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე შეძლებს ბესო შალიკაშვილის ვაჟი ლაპარაკს, რადგან ესეც წიგნიერებასთან კავშირში მყოფ საკითხებად ითვლება. ამიტომ, როცა თავში სიცარიელეა, იცის დაჩიმ, რომ მხოლოდ საკუთარი ოჯახის სიძლიერეზე ტრაბახი თუ გამოიყვანს ნებისმიერი უხერხული მდგომარეობიდან. ასეა გაზრდილი და ამას არის ბავშვობიდან მიჩვეული. თამარმაც მშვენივრად იცის, ქალებს რა ხიბლავთ და ამიტომ თავის ვაჟს შეახსენებს, რაზე უნდა ილაპარაკოს საცოლესთან და მის ოჯახთან. მოკლედ, ერთადერთი საკითხი, რაშიც დაჩი დედასაც და მამასაც უჯერებს, წარმატებული მამის სიდიადეზე ტრაბახით საკუთარი გზის გაკვაღვაა.

ახლაც ზის დაჩი და ენერგიულად თავს უქნევს თავის მზრუნველ დედას, თან ლიზიზე ფიქრობს.

* * *

- შვილო, პეტროზე უკეთესს მეჯვარედ ვერავის წაიყვან, ხომ იცი, შვილივით მიყვარს, კარგი ბიჭია, შეძლებული ოჯახის შვილი და ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან, ხომ გახსოვს, შენ რომ დაჭერილი იყავი, ფინანსურადაც და მორალურადაც, როგორ დაგვიდგნენ გვერდში. სულ ჩვენთან იყვნენ. თან, რაც მთავარია, პეტრომაც და მამამისმაც ქართული კარგად იციან, არც ის დაგავიწყდეს, რომ ქართველთმოყვარე მართლმადიდებლები არიან. ცხოვრებაში ასეთ ხალხთან კიდევ უფრო დაახლოება და

დანათესავება ბევრს მოგცემს და გამოგადგება. - ეუბნება თამარი დაჩის.

დაჩი დედას ეთანხმება, თუმცა, მას სხვა, ისეთი არჩევანი, რომ მისი მეგობარი შეძლებული ოჯახიდანაც იყოს და როგორც ბესოს, ისე თამარსაც მოსწონდეს საკუთარი შვილის მეჯვარედ, არც აქვს. ისე, სარფიან მეჯვარეს, წარმატებული ოჯახის შვილს და მით უმეტეს, მართლმადიდებელ რუსს (როცა დედაშენი, ლამის „ახალი აღთქმით“ ხელში იძინებს, შენ კი რუსულ გარემოში გაზრდილი ადამიანი ხარ), რა ჯობია? არც არაფერი.

- დაჩი, მართაღს ამბობს თამარი, პეტროს მამა, საშა ჩემი ახალგაზრდობის ძმაკაცია, სტუდენტობისას გავიცანი რიაზანში, პეტროს და მარინა ხომ საოცრად კარგი გოგოა, დედამისი ლარისა კი თამართან დაქალობს, თან მთელი ოჯახი გიჟდება საქართველოზე და ქართველებზე. რაც მთავარია, წარმატებული ხალხია, ფინანსურად ძლიერი, კარიერაც კარგი აქვთ და დიდი ამბიციებიც გააჩნიათ. ამიტომ, პეტროსთან რელიგიურად დაახლოება ბევრს მოგცემს, ბევრს მოგვაგებინებს.

დაჩი მამას თავს უქნევს, რაც იმის ნიშანია, რომ სარფიანი მეჯვარე უკვე გამონახულია - მეჯვარე რუსეთიდან, მეჯვარე გამოძახებით.

6

ქორწილი მართლაც საოცრება ჰქონდათ დაჩი შალიკაშვილსა და ლიზი კალანდიას. სადღესასწაულო დარბაზში ვარდების თვლა არ იყო. სტუმრები? რა კატეგორიის ადამიანებს არ იხილავდით იქ. დაპატიუებულნი იყვნენ პროფესორები, მსახიობები, პოლიტიკოსები, მხატვრები, ბიზნესმენები, ქურდული სამყაროს წარმომადგენლები, სამხედრო ოფიცრები თუ პოლიციის მაღალჩინოსნები. რაც შეეხება

რუს სტუმრებს, დაჩის მეჯვარე პეტროს, პეტროს დედ-მამის, პეტროს დისა და მისი ქმარ-შვილის გარდა, რუსეთიდან კიდევ 30 კაცი ჰყავდათ დაპატიუებული, მაგრამ ქორწილამდე ორი დღით ადრე, აღმოჩნდა, რომ იმ 30 კაცს კიდევ ორი იმდენი მოჰყვებოდა თბილისში. ამიტომ, საჭირო გახდა დარბაზში დამატებითი მაგიდების ჩადგმა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყოვლისშემძლე ბესოსთვის და პეტროს მამისთვის, ანუ საშასთვის დამატებითი თანხების გაღება პრობლემას არ წარმოადგენდა. მეტიც, პეტრო, რომელიც ერთი ვიღაც რიაზანელი მილიარდერის პირადი თვითმფრინავით ჩამოფრინდა თბილისში, გახარებული იყო და სიამაყით ამბობდა, ოცდაათ რუსს ველოდი და ოთხმოცდაათი ჩამოსულა... ყოჩაღ, რუსებო, ყოჩაღ, რაც მეტნი ჩამოსვალთ, მით უფრო მეტნი შეიყვარებთ საქართველოს და მით უფრო მეტი რუსობა დაესახლდებათ ამ ლამაზ მიწა-წყალზეო. არც ბესო დარდობდა საკუთარი ძის ქორწილში რუსთა მოულოდნელ შემოდინებას, ან რატომ უნდა ედარდა, როცა მისთვის დამატებითი ხარჯების გაღება პრობლემას არ წარმოადგენდა, ხოლო დაუპატიუებლად ჩამოსულ რუს სტუმართა შორის ისეთი ადამიანებიც აღმოაჩინა, მათთან კიდევ უფრო დაახლოება, მისთვის და მისი ოჯახისთვის, ნამდვილად დადებით შედეგს რომ გამოიღებდა.

ერთადერთი ძის ქორწილი შვილის ბედნიერებასთან ერთად, საჭირო ხალხთან თავის მოწონების საუკეთესო საშუალებაა. რუსეთში ცხოვრების დროს და საქართველოშიც, როცა სადღესასწაულო სუფრებზე მოხვდებოდა, ბესოს, როგორც სიყმაწვილეში წარმატებულ მოცეკვავეს, სთხოვდნენ ხოლმე, იცეკვეო, ის კი ყოველთვის ასე ამბობდა, არა, ბატონებო, მე დღეს არ ვიცეკვებ, მე მხოლოდ ჩემი დაჩის ქორწილში გავშლი ხელებსო. ჰოდა, დადგა კიდევ ეს დღე, დაჩის ქორწილი, ანუ ბესოს ხელი უნდა გაეშალა ისე ლაღად და გაჟაკაცურად, როგორც ამას სიყმაწვილეში აკეთებდა ხოლმე.

დიახ, იცეკვა ბესომ და აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება, იცეკვა ყველამ, ვისაც კარგად შეეძლო ცეკვა და იმათმაც გაშალეს ხელები, რომლებსაც ცეკვა არ გამოსდიოდათ, თუმცა, სურვილი ჰქონდათ.

ყველა ხარობს და მშვენიერ განწყობაზეა, ოცი წლის დაჩის მეჯვარე კი, როგორც უკვე ვიცით, რუსეთიდან ჩამოსული პეტროა, ყოვლისშემძლე მამისგან განებივრებული ოცი წლის ბიჭი. სხვათა შორის, პეტრომ კატეგორიულად მოითხოვა, როგორც ჯილა რუსს შეეფერება, წინ მხოლოდ არაყი დამიდგით და არანაირი ღვინო არ დამანახოთო. დაუდგეს კიდევ არაყი, ისიც, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და როგორც ჯილა რუსს შეეფერება კარგადაც გამოტყვრა.

თუმცა, სანამ სულ მთლად გამოტყვრებოდა და როგორც ჯილა რუსს შეეფერება, წასაღები გახდებოდა, ჯერ კიდევ მსუბუქად

შეზარხოშებულმა პეტრომ ცეკვა მოინდომა. ვისთან? ცხადია, ყველასთან, ვინც თვალში მოუვიდა, უცნობთან თუ ნაცნობთან. მერე ვარდის თაიგულს ჩახუტებულ ლიზისთან მივიდა და ღიმილით ყურში ჩასჩურჩულა - ვიცეკვოთ?

გაზაფხულის ვარდივით გაბრწყინებულმა ლიზიმ ასევე ღიმილით უპასუხა - რა თქმა უნდა, პეტრო.

და წყნარი ვალსის ფონზე ლიზიმ და პეტრომ მსუბუქად შესცურეს. ლიზი დედოფალი და პეტრო ნეფის მეჯვარე.

- ყოჩაღ, ლიზი, ძალიან კარგად ცეკვავ - შეაქო პეტრომ ჰაეროვანი ლიზი.

- დიდი მადლობა, პეტრო, - დაიმორცხვა ლიზიმ.

- არა, ასე კარგად, მაინც როგორ ცეკვავ?

- მხოლოდ მოყვარულის დონეზე ვცეკვავ, პეტრო.

- ჰოდა, ძალიან გიხდება ცეკვა.

- შენ მთლად სასწაულად ცეკვავ, პეტრო, არ მეგონა თუ ასე კარგად გეხერხებოდა ეს საქმე.

- მე ხომ ბავშვობაში ცეკვაზე დავდიოდი და საკმაოდ წარმატებულ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდნენ.

- მერე, რატომ აღარ გაჰყევი ცეკვას? - სინანულით იკითხა ლიზიმ.

- რა ვიცი, აბა, მაგის დრო და სურვილი აღარ მქონდა.

- რატომ? რატოოოოოოოოოოოოოოომ? - ჩაეძია ლიზი.

- ქალები, დროსტარება, ყველანაირი ადამიანური სურვილების დაკმაყოფილება, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ცეკვას თავი დავანებე. - ღიმილით ახსნა ცეკვასთან განშორების მიზეზები პეტრომ.

- ისე, ჩემი მამამთილი ბესოც კარგად ცეკვავს, - დაიტრაბახა ლიზიმ.

- კი, ნამდვილად.

- ისა, პეტრო, თქვენ მართლა გადმოდისხართ საქართველოში საცხოვრებლად?

- ქორწილის შემდეგ წავალთ, რამდენიმე თვეში ისევ ჩამოვალთ და აქ დავსახლდებით, ალბათ სამუდამოდ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვაპირებ.

- ასე რამ გადაგაწყვეტინათ?

- ჩვენთვის აქ ჯობია, უკეთესია. ჰო, რაც მთავარია, საქართველოში რომ დავსახლდებით, საცურაო კომპლექსის აშენებას ვაპირებთ.

- ვა, მართლა? რა კარგია. - გაეხარდა ლიზის.

ამ დროს ვალსი მორჩა, მაგრამ ყოველგვარი შესვენების გარეშე ისევ დაიწყო... ისევ ვალსი, ისევ ცეკვა, ისევ გამოწვევა...

- მოდი, კიდევ ვიცეკვოთ, ლიზი, - ამბობს პეტრო და დარბაზისკენ იყურება, თითქოს ვიღაცას ეძებსო.

- ვიცეკვოთ, მაგრამ სად იყურები, ვის ეძებ, პეტრო? - გაოცებით ეკითხება ლიზი.

- არაფერი ისეთი განსაკუთრებული, დაჩი არ ჩანს და ძალიან მაინტერესებს, ნეტავ, სად გავიდა?

- ალბათ ტუალეტში გავიდა და მობრუნდება შენი ძმაკაცი, ნუ გეშინია. - დაამშვიდა ლიზიმ პეტრო.

- ეჰ, ნეტავ მარტო ტუალეტისთვის იყოს გასული. - კბილებიდან ეშმაკურად გამოსცრა პეტრომ.

- აბა, სხვა რისთვის უნდა გასულიყო? - გაოცდა ლიზი.

- მოსაწევად.

- კი, მაგრამ აქ, დარბაზში მოწევას ვინ უშლის?

- მე იმ მოსაწევს არ ვგულისხმობ, რაც შენ გგონია.

- აბა, რა მოსაწევზე გაქვს ლაპარაკი?

- ეჰ, რა გულუბრყვილო ხარ, ლიზი, ოღონდ ნუ ანერვიულები და ფეხი ნუ აგერევა.

- აჰა, გასაგებია, გასაგებიაააააააააა, - თავი დახარა, ცეკვის დროს უკვე ფეხარეულმა და ნირწამხდარმა ლიზიმ.

რამდენიმე წამით ორივე დადუმდა, ვალსი კი გრძელდებოდა... და ამ დროს პეტრომ ჩურჩულით იკითხა, ისე, თითქოს ვიღაც სხვას ეკითხებოდა, - ლიზი, ერთი რამ მაინტერესებს და მეტყვი?

- რა გაინტერესებს, მითხარი, პეტრო.

- ეს კინტოები სად გაიცანი, სად იპოვე?

- ვინ კინტოები?

- ესენი, ეს ოჯახი, სად გაიცანი? - ღიმილით იკითხა პეტრომ და უფრო მეტი კონკრეტიკისთვის იქითკენ გაიხედა, სადაც ბედნიერებისგან გაბადრული ბესო და თამარი ისხდნენ.

ლიზიმ არაფერი უპასუხა, მხოლოდ მორიდებით გაიღიმა და სცადა საუბარი სულ სხვა თემაზე გადაეტანა. ვალსი კი გრძელდებოდა.

- ჰო, ისა, ცოლი რატომ არ მოგყავს, პეტრო?

- რა ვიცი, აბა, როგორ გითხრა? - თითქოს დაიმორცხვა პეტრომ.

- როგორც გინდა, ისე მითხარი.

- ჰო, რა ვიცი, აბა, ვინც კი მომეწონა, ყველამ მომცა და ცოლად რაღაზე მომეყვანა?!

- ოჰ, მოკლედ, რა ხართ ეს კაცები. - სახე აეფაკლა ლიზის.

- განსაკუთრებით რუსი კაცები რა ვართ, შენ ეგა თქვი.

- რუსებიც და ქართველებიც, ორივე მართლმადიდებლები ხართ.

- ჰო, რუსებს და ქართველებს ხომ მართლმადიდებლობა გვაახლოებს, გვაერთიანებს და გვაკავშირებს. - დაიწყო დეკლარაციების ფრქვევა პეტრომ, მაგრამ ამ დროს მუსიკა შეწყდა და ვალსიც დასრულდა.

- წავედი ახლა მე, დავჯდები, შენც წამოდი და დაჯექი, ოღონდ მეტი აღარ დალიო, პეტრო. - ღიმილით მიმართა ლიზიმ.
- მე ცოტა ხანი კიდევ ვიდგები ფეხზე, სტუმრებს დაველაპარაკები, შენ კი მიგაცილებ მაგიდამდე! - გაიქანა პეტრო.
- არა, ჩემით მივალწევ. აი, დაჩიც მობრუნებულა. - გაუბრწყინდა თვალები ლიზის.
- ჰოდა, ჰკითხე ერთი მაგ ვაჟკაცს, სად იყო? - თვალები მოჭუტა პეტრომ, თან ისე, რომ პირიდან დამცინავი ღიმილი არ მოშორებია.
- კი, აუცილებლად ვკითხავ და თუ ცუდ საქმეზე იყო, ახლავე ტყავს გავაძრობ შენს ძმაკაცს.
- თუ დახმარება დაგჭირდა, ერთი დამიძახე და შენთან გავჩნდები.
- არა, არ დამჭირდება, პეტრო. - თქვა ლიზიმ და ნაძალადევი ღიმილით გაემართა იმ მაგიდისკენ, სადაც გაბრუნებული დაჩი თავს ძლივს იკავებდა, რომ იატაკზე არ გადავარდნილიყო.

* * *

- ქორწილიდან გადის ერთი წელი და, - პეტრო, ლუკას ხომ მომინათლავ? - ეკითხება დაჩი.
- მოგინათლავ, აბა, რა, თან ისეთი ნათლია ვიქნები, ნამდვილ რუსს რომ შეეფერება. - ამაყად ამბობს პეტრო.
- კარგი ბიჭი ხარ შენ, პეტრო, ჭეშმარიტად მართლმადიდებელი და დაჩის ერთგული მეგობარი, ამიტომაც შვილივით მიყვარხარ. - გახარებულია თამარი.

ჯერ, სანამ ცოლს მოიყვანდა, დაჩიზე ამბობდნენ, ცოლს მოიყვანს და დატკვიანდებაო, მერე რომ ნახეს, დაჩის დატკვიანებას საშველი მაინც არ დაადგა, უკვე იმაზე გადაიტანეს იმედები, რომ ბავშვის მამა რომ გახდება, სხვაგვარად შეხედავს ცხოვრებას და ასეთი თავქარიანი აღარ იქნებაო. აჰა, ბატონო, ბავშვის მამაც გახდა დაჩი, თანაც გვარის გამგრძელებელი ვაჟი ჰყავს, რომელსაც ლუკა დაარქვეს. მაგრამ მის არასერიოზულობას წერტილი ისევ არ დაესვა. ამასობაში წლები გადიოდა, დაჩი ცხრამეტი-ოცი წლის ბიჭი აღარ იყო, ის უკვე ოცდაათ წელს გადაცდა, მაგრამ ვერა, ვერ დაკაცდა, ვერ გაიზარდა, ვერ დაღვინდა ადამიანი.

- მკითხავი, ერთი კარგი მკითხავი უშველის მაგას, - ურჩია თამარს სიყრმის დაქალმა ნინამ.

- მერედა, სად ვნახო მე ერთი კარგი მკითხავი? - გაოცდა თამარი.

- მე მიგასწავლი ერთ კარგ მკითხავს და მიდი, ადრე, წლების წინ ცხონებული ჩემი მული ყოფილა მასთან და გაგიჟებული დაბრუნდა სახლში, ეს რეები მელაპარაკაო. კუკიაზე ცხოვრობს, ზინა ჰქვია, თანხას არასდროს ამბობს, შენ რამდენიც შეგეძლება, იმდენი მიეცი, თუ გინდა, ნურაფერსაც ნუ მისცემ, ამაზე არაფერს არ გეტყვის, რადგან ბევრისთვის უფასოდაც უმკითხავია.

ამის გაგონებაზე, მეტი რაღა უნდოდა თამარს? თანხასც მივცემ და ცალკე საჩუქარსაც გაუუკეთებო, მერე, ეგრევე კალამი და ფურცელი ამოუღია ჩანთიდან და ნინასთვის უთქვამს, ჩამაწერინე ზუსტი მისამართი და თუ ჩემს დაჩის რამე ეშველა, სიკვდილამდე შენი მადლიერი ვიქნები, სწორ გზაზე დაყენებისთვისო. ნინასაც თავისი ცხონებული მულის მონაყოლიდან კუკია ახსოვდა, ქუჩაც ახსოვდა, სადაც მკითხავი ცხოვრობდა, ქუჩის ნომერი კი, არა. არ ახსოვდა, ამიტომ, თამარისთვის დეტალურად აუხსნია თუ როგორ უნდა მისულიყო იქამდე, სანამ ეზოში შეხვალ, გარეთ გრძელი, ხის სკამი და ერთადერთი ჭადარი უნდა იდგესო. მერე, თან დარიგება მიუცია, იცოდე, ცოტა ბრაზიანი ქალია და ეცადე, რამე საბაბი არ მისცე, რომ გაცოფდესო. ნუ გეშინია, თუ საჭიროა, საერთოდ ხმას არ ამოვიღებ, მხოლოდ იმან ილაპარაკოსო, უთქვამს თამარს. ჰო, ნამდვილად ეგრე

აჯობებს, რადგან წესით მკითხავმა უნდა ილაპარაკოს და არა მასთან მისულმა ადამიანმაო, დაუმშვიდებია ნინას თამარი.

მოკლედ, ოქტომბრის მიწურულს, ერთ თოვლჭყაპიან და უქმურ დილას თამარი და ლიზი კუკის დასახლებისკენ მიმავალ გზას დაადგნენ, იქ, სადაც ერთი მკითხავი ცხოვრობდა. ცოტა ბრაზიანი, მაგრამ მუდამ სიმართლის მთქმელი ქალი. ჯერ ტაქსით ავიდნენ, შემდეგ უკვე საკმაოდ დიდი მანძილი იარეს ფეხით, რადგან გადათხრილი გზების გამო, იქით მანქანა ვეღარ ადიოდა. წუმპეებში ფეხის დაცდენა, ტალახში ამოსვრა და სულ მთლად დასველება, თამარსა და ლიზის ვერანაირად ვერ შეაჩერებდა, რამეთუ ისინი მკითხავთან მიდიოდნენ, საკმაოდ ცნობილ და სიმართლის მთქმელ მკითხავთან.

- ოღონდ ბავშვს ეშველოს და გაჭუჭყიანება კი არა, ამ ტალახს სულ შევჭამ, - ამბობდა უკვე ყელამდე ტალახში ამოსვრილი თამარი.

- ნეტავ, დაჩი დაჭკვიანდეს და ტალახს კი არა, ქვას შევჭამ, - თამარს არც ლიზი ჩამორჩა.

გასცდნენ ერთ წუმპეს, მეორეს, მესამეს, კიდევ რამდენიმეს, მიწათხრილებსაც გვერდი აუარეს, ზოგს გადაახტნენ, ზოგსაც გადააბიჯეს და ლამის ფორთხვით, როგორც იქნა, სასურველ ადგილამდე მიაღწიეს.

- მე მგონი, მოვედით, აი, ის ეზო უნდა იყოს, როგორც ნინამ მითხრა, შესასვლელთან გრძელი, ხის სკამი და ერთადერთი ჭადარი უნდა იდგესო, - ხელები გაშალა თამარმა.

- მოვსულვართ, მოგვიგნია და ეგ არის. - გაეხარდა ლიზის.

ძველებურ, პატარა იტალიურ ეზოში შესულებს, აშკარად შმორისა და სიბინძურის სუნი ეცათ. თამარმა ეგრევე ცხვირსახოცი ამოიღო ქურთუკის ჯიბიდან და ცხვირზე აიფარა. დგანან მომცრო ეზოში თამარი და ლიზი, მათ გარშემო კი ჭუჭყიანი შუშაბანდები, უფერული ხის კარებები და კიბეებია.

- მოდი და გაიგე ახლა, რომელი სახლია? - გადაულაპარაკა თამარმა ლიზის.

- რა ფერის კარებიაო, არ გითხრა? - იკითხა ლიზიმ.

- უფერული, ნაცრისფერიო.

- აქ ყველა კარები უფერული და ნაცრისფერია.

- სართული პირველიაო.

- კარგია, სართული მაინც რომ ვიცით, მაგრამ რომელი კარები იქნება?

- რომელიმე კარზე დავაკაკუნოთ და მეზობლები მაინც გვეტყვიან. - თქვა თამარმა და ყველაზე ახლო კარებისკენ დაიძრა, უფერული და ნაცრისფერი რომ იყო.

და ამ დროს, გვერდითი კარები ჭრიალით გაიღო, საიდანაც, დაახლოებით სამოცდაათ წლამდე ასაკის ქალბატონი გამოვიდა და, ისე, რომ აქეთ არც გამოუხედავს, ზუსტად იმ კარებს მიაღვა, სადაც თამარი და ლიზი იდგნენ.

- ქალბატონო, უკაცრავად, თქვენ აქ ცხოვრობთ? - ჰკითხა თამარმა.

- ვინ გნებავთ? - თამარს კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ზურგით მდგარმა, დაახლოებით სამოცდაათ წელს მიტანებულმა ქალბატონმა და სახლის კარი შეაღო.

- მკითხავი აქ ცხოვრობს? - ეს ისევ თამარმა იკითხა.

ამის გაგონებაზე ქალბატონი სასწრაფოდ შემოტრიალდა და ძალიან განრისხებული მზერით ჯერ თამარს დააკვირდა, შემდეგ ლიზის. ისე აკვირდებოდა, თითქოს მათი ჩაცმულობა თუ სილამაზე აინტერესებდა, ხმას კი არ იღებდა.

- მკითხავი აქ ცხოვრობს? - ამჯერად უფრო ხმამაღლა და დამაჯერებლად გაუმეორა თამარმა.

- ქალბატონო, ჯერ ერთი, მე მკითხავი არ ვარ და მეორეც, ვინ დაგიბარათ, რომ მოხვედით? - განრისხდა მასპინძელი.

- ჩვენ მკითხავთან მოვედით.

- ქალბატონო, შეიგნეთ, რომ მე მკითხავი არ ვარ, მე წინასწარმეტყველი ვარ, გასაგებია? მოსვლით კი, რატომ მოხვედით, მე დაგიბარეთ? - მკაცრად თქვა წინასწარმეტყველმა და ღია კარებში დოინჯშემოყრილი დადგა.

- ქალბატონი ზინა, ბოდიშს გიხდით, აწი გვეცოდინება, რომ წინასწარმეტყველი ყოფილხართ და არა მკითხავი. - გაიღიმა ლიზიმ.

- სახელიც გცოდნიათ ჩემი, მაგრამ პროფესია, არა.

- ქალბატონო ზინა, შეგვიშვით სახლში და გვიწინასწარმეტყველეთ, თორემ აქედან ფეხს არ მოვიცვლით. თანხას კი იმდენს გადაგიხდით, რამდენსაც გვეტყვით. - გაჯიუტდა თამარი.

- რა, მავალდებულებთ, რომ სახლში შევიშვათ?

- უნდა შეგვიშვათ და გვიწინასწარმეტყველოთ. - თამარი უკან დახევას არ აპირებდა.

- ვერ ვიტან, როცა რამეს მავალდებულებენ, მით უმეტეს, ის ადამიანები, რომლებსაც არ ვიცნობ და არც დამიბარებია. - თქვა ზინამ და ბუზღუნით უკან დაიხია, ისე, რომ კარი ღია დატოვა.

თამარი და ლიზი გიუებავით შეცვივდნენ ღია კარში და ერთადერთ მაგიდას, რომელიც მისაღებ ოთახში იდგა, დაუკითხავად შემოუსხდნენ.

- თან ჭუჭყიანი ფეხებით შემოხვედით და იატაკი დამიბინძურეთ, - დაიწუწუნა ზინამ და ისიც მაგიდას მიუჯდა.

თამარმა და ლიზიმ უხერხულად გადახედეს ერთმანეთს და ცოტა ხნით დადუმდნენ, დუმდა ზინაც, ოღონდ თამარსა და ლიზის თვალებში უყურებდა. ოთახში ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ ქუჩიდან

ძაღლის ყეფა ბზარავდა. ბოლოს დუმილი ზინამ დაარღვია და ისე, რომ ფანჯარაში იყურებოდა, ხმამაღლა იკითხა - მაგიდაზე რას ხედავთ?

- ჩვენ გვეკითხებით? - გაოცდა თამარი.

- რა, თქვენ გარდა აქ არის კიდევ ვინმე სხვა?

- არა, არავინ არ არის. - ეს უკვე ღიზი იყო.

- ჰოდა, ესე იგი, თქვენ გვეკითხებით. გიმეორებთ შეკითხვას, მაგიდაზე რას ხედავთ?

- თქვენგან მარცხნივ ვხედავ ყვავილების ქოთანს, სადაც მხოლოდ შავი მიწა ყრია, ყვავილები კი არ არის ჩარგული. თქვენ წინ ვხედავ ვაზას, რომელშიც მხოლოდ ერთი ვაშლი დევს. თქვენგან მარჯვნივ კი ვხედავ ღრმა საფერფლეს, სადაც სიგარეტის ნამწვთან ერთად, რაღაც ნაგავიც არის ჩაყრილი. - ყოჩაღად უპასუხა თამარმა.

- კარგია, რომ რაღაცას ხედავთ და არ დაბრმავებულხართ, - თქვა ზინამ და ხალათის ჯიბიდან მომცრო დანა ამოაძვრინა. მერე ვაზიდან ის ერთადერთი ვაშლი ამოიღო და მისი გათლა დაიწყო. მშვიდად თლიდა ზინა ვაშლს, ქერქს საფერფლეში ყრიდა და თან ლაპარაკობდა, - კარგად დაიმახსოვრეთ, რასაც გეუბნებით; თქვენც ამ ვაშლივით დაგემართებათ.

კიდევ ორჯერ გაიმეორა ზინამ ეს სიტყვები - კარგად დაიმახსოვრეთ, რასაც გეუბნებით; თქვენც ამ ვაშლივით დაგემართებათ.

თამარი და ღიზი მონუსხულები ისხდნენ და ხმას ვერ იღებდნენ.

ამასობაში ზინამ ვაშლის გათლა დაამთავრა და ახლა იგივე ვაშლი სამ ნაწილად გაყო, მერე ერთი ნაწილი ქოთნის მიწაში ჩაფლა, მეორე ნაწილი მაგიდის გადაპრიალებულ ზედაპირზე გაასრიალა, ხოლო მესამე ნაწილი საფერფლეში ჩააგდო, იქ, სადაც სიგარეტის ნამწვი, ნაგავი და ვაშლის ქერქი იყო.

- ეს რას ნიშნავს? - ამოიღულღულდა თამარმა.

- აკი გითხარით, კარგად დაიმახსოვრეთ, რასაც გეუბნებით; თქვენც ამ ვაშლივით დაგემართებათ.- მეთქი.

- მაინც ვერაფერს ვერ მივხვდი, რას ამბობთ, ისე, ჯობია, ცოტა გასაგები ქართულით მაინც ილაპარაკოთ, თორემ კაცი აზრს ვერ გამოიტანს თქვენს ნათქვამში. - აშკარად დაცინვაზე გადავიდა თამარი.

- ვიღაცა მოკვდება, ვიღაცა გაიქცევა, ვიღაცა გაბოზდება. ეს სამად გაყოფილი ვაშლიც ამას ნიშნავს. აი, ამის თქმა მინდოდა. - თვალები დააბრიალა ზინამ.

- რა ბრძანეთ? - ყურებს არ უჯერებდა თამარი, ღიზი კი ისე შებარბაცდა, ლამის სკამიდან გადავარდა.

- ვიღაცა მოკვდება, ვიღაცა გაიქცევა, ვიღაცა გაბოზდება, ახლა კი შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

- ქალბატონო ზინა, ცოტა ტაქტს რომ მოუხმოთ, ცუდი არ იქნება. შეურაცხყოფაზე კი ნუ გადახვალთ. - თქვა თამარმა და ნაძალადევად, ვითომ არხეინად ჩაიციინა.

- ვიღაცა მოკვდება, ვიღაცა გაიქცევა, ვიღაცა გაბოზდება. - არ ტყდებოდა ზინა.

- იცით, რას გეტყვით? ადამიანები ვართ და ერთ დროს ყველა მოკვდება, გაქცევით კი, ამ ქვეყნიდან გაქცეულები უკვე ვიყავით. თანაც ძალიან დიდი ხნით. რაც შეეხება გაბოზებას, ჩემი მეუღლე საქვეყნოდ ცნობილი ქირურგია და რამდენიმე წელიწადში, შეიძლება პოლიტიკაშიც მოვიდეს. ჰოდა, თქვენ თუ პატიოსანი კაცის პოლიტიკაში მოსვლას გაბოზებას ეძახით, მაშინ რაღა გელაპარაკოთ, ბნელი და უვიცი ქალი ყოფილხართ. - თავი ვეღარ შეიკავა წონასწორობიდან გამოსულმა თამარმა.

- ვიღაცა მოკვდება, ვიღაცა გაიქცევა, ვიღაცა გაბოზდება. - ზინას ამ სიტყვებმა უკვე რაღაც გამაღიზიანებელი სახე მიიღო.

- წამოდი, ლიზი. წავიდეთ, ამ სულელს რას ვუსმენთ? საერთოდ, წესია ასეთი, გიჟებს კი არ უნდა მოუსმინო, არამედ უნდა უმკურნალო. - სკამიდან ნერვიულად წამოდგა თამარი. წამოდგა ლიზიც.

- ქალბატონო, თქვენი სახელი მითხარით თუ შეიძლება, - მიმართა ზინამ თამარს.

- თამარი! - მკვახედ მიუგდო სიტყვა თამარმა, თან ისე, რომ მისკენ არც გაუხედავს.

- ქალბატონო თამარ, მე თქვენ აქ ძალით არ მომიყვანიხართ, თავად მობრძანდით. ხომ ასეა?

- დიახ, მერე რა გნებავთ?

- მაინტერესებს, თქვენ რისთვის მოხვედით აქ, გაიგოთ, რაც მომავალში იქნება, თუ გაიგოთ ის, რაც გესიამოვნებათ?

თამარს პასუხი აღარ გაუცია ზინასთვის, ლიზის ხელკავი გამოსდო და ორივენი კარისკენ დაიძრნენ.

- წავიდეთ, ლიზი, წავიდეთ, ფულს არა, შავ ჭირს მივცემ მე ამას. - გადაულაპარაკა მან ლიზის და გაბრაზებულმა კარები ისეთი ძალით გააღო, ლამის ჩარჩოდან ჩამოაგდო.

- სად არის დაჩი, მოგკლავ მაგას, უკვე ერთი კვირაა სახლში არ მოსულა, თან მობილურიც გამორთული აქვს, სად არის, სააააააააააად? - დაჭრილი ლომივით ღრიალებს ბესო შალიკაშვილი და სიმწრით ადგილს ვერ პოულობს, ხან ოთახის ერთ კედელს ასკდება, ხან მეორეს.

- ჩუმად, ლუკას სძინავს და არ გაადვიძო. - აფრთხილებს თამარი.

ერთადერთი შვილიშვილის ხსენებაზე ბესო თითქოს თვინიერი ხდება და ჯერ სავარძელში ეშვება, შემდეგ . რამდენიმე წუთით დუმდება, თუმცა, მალე ისევ ბორგვას იწყებს, - მერამდენედ უნდა გაგვიკეთოს ასეთი სისულელე, მერამდენედ?

ხმას არავინ იღებს და ბესო ისევ თავისას აგრძელებს. - თქვას მაინც სად არის და ვინ ოხერი დაუშლის, ინავარდოს სადაც უნდა, ოღონდ ვიცოდეთ, ვისთან და რა წრეში ათევს დამეებს?!

- კარგი ახლა, დაწყნარდი, ხვალ დილით ოპერაცია გაქვს გასაკეთებელი და ასეთ ფორმაში შენი იქ მისვლა არ შეიძლება. - ცდილობს მეუღლის დამშვიდებას თამარი, მაგრამ პირიქით, ბესო უფრო ღიზიანდება.

- რა ოპერაცია, რის ოპერაცია, მოუკვდა პატრონი იმ კლინიკასაც და ყველა პაციენტსაც. მე წელეებზე ფეხს იმიტომ ვიდგამ, რომ მინდა არაფერი მოგაკლოთ და ოჯახში სიმშვიდე მქონდეს, მაგრამ რა გამოდის, რისთვის ვშრომობ? მოვდივარ სახლში და დასვენების ნაცვლად იმაზე ნერვიულობა მიწევს, სად არის დაჩი, რამე უბედურებას ხომ არ გადააწყდა? არა, ასე გაძლება აღარ შეიძლება. - ისევ აფეთქდა ბესო.

- ღიზი, მიდი, აბა, პეტროს ან ლექსოს დაურეკე, იქნებ მაგათმა მაინც იციან, სად არის დაჩი? - ამბობს თამარი და ხატებთან მიდის, ცხადია, სალოცავად, უფრო იმისთვის, რომ ღვთისმშობელს შვილის სახლში დროულად და უვნებლად დაბრუნება შეევედროს.

- ლექსოს უკვე დაურეკე. - ნაღვლიანად ამბობს ღიზი.

- მერე რაო, რა გითხრა?

- არ ვიცი, სად არის, ერთი თვე იქნება, დაჩი არ მინახავსო.

- პეტროს არ დაურეკე? - ამჯერად უკვე ბესო ინტერესდება.

- ვურეკავდი, მაგრამ მიუწვდომელია, არ გადის.

- ალბათ ქალაქიდან არის გასული. - ასკენის ბესო.

- იქნებ ერთად არიან? - ხავსს ეჭიდება ღვთისმშობლის ხატის წინ მდგარი თამარი და „ახალ აღთქმას“ ფურცლავს, ეტყობა, რაღაც ადგილს ეძებს.

- რა მნიშვნელობა აქვს, ერთად არიან თუ არა? ფაქტია, ერთი კვირაა არ გამოჩენილა, გაქცეულია, დაკარგულია. - ბრაზმორეული ამბობს თავდახრილი ლიზი და აფაკლულ ლოყებზე ხელებს ისე ნაზად ისვამს, თითქოს სახეს იგრილებს და თავს ამით იმშვიდებსო.

ბესო მეტს აღარაფერს ამბობს, სავარძლიდან დგება და საძინებელი ოთახისკენ მილასლასებს. თამარი ლოცულობს, ლიზი კი ისევ თავდახრილი ზის, ოთახში მხოლოდ თამარის ჩურჩული ისმის.

გადის ერთი წუთი და დუმის, უფრო ზუსტად, თამარის ლოცვას ლიზის ხმა არღვევს. - იცი, რა მაინტერესებს?

თამარი ლოცვას თავს ანებებს, „ახალ აღთქმას“ ჯერ ტუნებით მსუბუქად ეხება, მერე მაგიდაზე მოწიწებით დებს და ლიზისკენ მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდება.

- რა გაინტერესებს? - ეკითხება რძალს.

- რუსეთშიც ასე იქცეოდა?

თამარს შეეძლო რძლისთვის ტყუილი ეთქვა და შვილის ყოვლად გაუმართლებელი გადაგვარება, რაც ადრეული წლებიდანვე შესამჩნევი იყო, დაემალა, მაგრამ ცხოვრებაში გამოცდილი ქალი კარგად ხვდებოდა, რომ ამას აზრი აღარ ჰქონდა და ჯობდა, ლიზის ყველაფერი სცოდნოდა.

- კი, რუსეთშიც ასე იქცეოდა, დაიკარგებოდა ხოლმე რამდენიმე კვირით და გვანერვიულებდა.

- რამდენიმე კვირით? - გაოცება ვერ დამალა ლიზიმ.

- დიახ, რამდენიმე კვირით.

- და თქვენ საერთოდ არ იცოდით, სად იყო?

- არა, არ ვიცოდით.

- ეტყობა, ქალებში დანავარდობდა. - თავი გააქნია უკმაყოფილო ლიზიმ.

- ლიზი, შვილო, რუსეთში მცხოვრები ქართველი კაცი, თანაც უცოლო, ქალებში რომ ინავარდებს, ამაში რა არის გასაკვირი?

- გასაკვირი არაფერია, მე მხოლოდ ის მაინტერესებს, თქვენ როგორ ცდილობდით მის მორჯულებას?

- ამ საქმეში მოსარჯულებელი წამალი არ არსებობს, მხოლოდ ასაკს უნდა დაეღვინებინა ჩემი დაჩი. - სინანულით თქვა და შემდეგ ამოიოხრა თამარმა.

- როგორც ჩანს, ვერ დაღვინდა, ვერ მორჯულდა. - გულდაწყვეტილი იყო ლიზი.

- ახლა, ჯობია დავიძინოთ, იმ იმედით, რომ იქნებ ხვალ დილით მაინც მობრძანდეს ვაჟკაცი. - თქვა თამარმა.

- ჰო, მობრძანდეს და გვითხრას, სად იყო, ვისთან იყო? - მკაცრი სახე მიიღო ლიზიმ.

- მთავარია მოვიდეს და დანარჩენს მერე გავარკვევთ. - ამ სიტყვებით დაასრულა თამარმა საუბარი და საძინებელი ოთახისკენ გაემართა. თავის ოთახში გავიდა ლიზიც.

იმ ღამით ბესო შალიკაშვილის ოჯახში არავის ეძინა, არც თამარს, არც ლიზის და არც თავად ბესოს. მათ თეთრად გაათენეს ის ღამე, ბესომ და თამარმა შვილზე ნერვიულობაში, ლიზიმ კი ქმრის მოლოდინში.

ეძინა მხოლოდ ლუკას, ტკბილი და ბავშვური ძილით, ისიც იმიტომ, რომ მას ჯერ არაფერი გაეგებოდა ამ ცხოვრებისა და ჯერ ნერვიულობაც არ შეეძლო. მძინარე ლუკა სიზმარში შოკოლადებსა და მონატრებულ მამიკოს ხედავდა.

* * *

როგორც იქნა, ირიურაჟა, გათენდა, უძილობითა და ნერვიულობით დამძიმებული ბესო ძლივს წამოიწია ლოგინიდან.

- ჯერ შვიდი საათია და უკვე მიდიხარ? - ჰკითხა თვალვებდასიებული თამარმა.

- ჰო, წავალ უკვე, სანამ ავდგები, სანამ დავიბან, სანამ მანქანასთან ჩავალ და სანამ კლინიკამდე მივალწევ, ცხრა საათიც გახდება. - უხალისოდ უპასუხა ბესომ.

- ჭამე რამე, თორემ დღეს მთელი დღე საჭმლისთვის ვერ მოიცილი და გამოიფიტები.

- არ მინდა, არ მშია.

- ჩაი მაინც დაგელია, მარტო ჩაი, ალუბლით. ახლავე ავდგები და მოგიმზადებ. - სკამზე გადაკიდებულ ხალათისკენ გადაიხარა თამარი, რათა ღამის პერანგზე გადაეცვა, მაგრამ ბესომ ხელით ანიშნა, არ გინდა, ნუ შეწუხდები.

- გამოიფიტები და წაიქცევი ასე, არ გესმის? - შეუტია თამარმა.

- ამაზე უარესად როგორღა წავიქცევი? - ჩაილაპარაკა ბესომ.

- მოვა, აი, შენ ნახავ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოვა. - დილის იმედს ებლაუჭებოდა თამარი.

- პოლიციაში გაცხადება მაინც შეგვეძლოს, გავაცხადებდით, მაგრამ ვიდაც აცვენის ხალხთან ერთად, საექვო ვითარებაში რომ იპოვონ, ხომ მოგვეჭრა საქვეყნოდ თავი? - ხელი ჩაიქნია ბესომ.

- რას ამბობ, დავიღუპებით და სამსახურში თავი აღარ გამოგეყოფა.

- ისედაც, რამდენი შურიანი მყავს გარშემო და იმათმა, ახლა რომ გაიგონ, ჩემი შვილი ვიდაც საექვო რეპუტაციის ხალხთან აღმა-დაღმა დაწანწალებს, ხომ გავახარებ და გავაბედნიერებ ჩემს მტრებს?

- ამიტომ, ბესო, არსად არ წამოგცდეს დაჩის ამბავი, ლიზისაც ვეცყვი, რომ არავისთან ეს ამბავი არ თქვას.

- ლიზიმ ლექსოსთან ხომ უკვე თქვა?

- არაუშავს, ლექსო ჩვენიანია, მასთან დასამალი არაფერი გვაქვს.

- დაამშვიდა თამარმა მეუღლე.

- პეტროს ვერ დაუკავშირდა, არა? - იკითხა ბესომ.

- ვერა, ვერ დაუკავშირდა. ისე, პეტროსთან რა გვაქვს დასამალი? პეტრო შვილივით მიყვარს, რადგან დაჩი და პეტრო ძმაკაცები არიან, თან პეტრო დაჩის მეჯვარე და ლუკას ნათლიაა, ანუ ნათელმძრონები ვართ და ჩვენ თუ არ ვენდეთ ერთმანეთს, აბა, სხვა ვიდას უნდა ვენდოთ? - ხელები გაშალა თამარმა და ლოგინიდან წამოდგომა დააპირა, მაგრამ ამ დროს, მობილურის ზარი გაისმა.

- შენი მობილურია, დაჩი ხომ არ რეკავს? - გამქრალი ხმით იკითხა თამარმა და სკამზე დადებულ მობილურისკენ გაიხედა.

- არ ვიცი, ახლა ვნახავ.

ბესო ელვისებურად მიიჭრა სკამთან, დახედა მობილურს და ელდანაცემს თვალები გაუფართოვდა.

- რა ხდება? ვინ არის? დაჩია? - მოუთმენლობით ლამის სული დაეღია თამარს.

- არა, დაჩი არ არის, საშაა.

- ჩვენი საშა? პეტროს მამა? ეტყობა, დაჩიზე რაღაც ამბავი გაიგო, თორემ, აბა, ამ დილაადრიან რატომ უნდა გირეკავდეს? ღმერთო ჩემო, შენ გვიშველე.

- გუშინაც დამირეკა სამსახურში ყოფნის დროს, მაგრამ დაჩი არც მას უხსენებია, არც მე მიხსენებია. - თქვა ბესომ და მობილური ჯერ ხელში აიღო, მერე მწვანე ღილაკს თითი დააჭირა, ყურთან მიიღო და...

- ჰო, საშა, გისმენ, ხომ მშვიდობაა?

- არაფერი განსაკუთრებული, ბესოს ვენაცვალე, გუშინ დილით კი გელაპარაკე ტელეფონზე, მაგრამ დღეს ნახვა მინდა შენი, რაღაც მაქვს სათქმელი. ვიცი, ძალიან დაკავებული ხარ, შენ რომ სახლიდან

გახვალ. მერე შენი ნახვა წარმოუდგენელია და ამ დილაადრიან ამიტომ დაგირეკე.

- რა მოხდა, რა გაქვს სათქმელი, ტელეფონში არ ითქმება?

- მაინც ნახვა ჯობია ბესარიონ და მითხარი, დღეს როგორ გნახო?

- ახლავე თუ შეგიძლია მოხვიდე ჩემთან სახლში, სანამ სამსახურში წავალ?

- რა თქმა უნდა, შემიძლია, ჩავჯდები მანქანაში და თხუთმეტ წუთში მანდ ვიქნები.

- კარგი, მაშინ გელოდები, საშა, ოღონდ არ დააგვიანო, 9 საათზე სამსახურში უნდა ვიყო, დღეს ურთულესი ოპერაცია მაქვს დილიდანვე გასაკეთებელი.

- მოვქრივარ, ბესო, ქარივით შენთან მოვქრივარ. - თქვა საშამ და მობილური გათიშა.

- ნეტავ, რა ხდება, რამ გადააწყვეტინა ამ დილაადრიან ჩემი ნახვა? ალბათ დაჩიზე გაიგო რაღაცა და ამიტომ მოდის. - ჩაილაპარაკა ბესომ და მერე თამარს გახედა.

- რა მოხდა? - იკითხა ამ უკანასკნელმა.

- საშა თხუთმეტ წუთში ჩვენთან იქნება, შენ მანამდე ღიზი გააღვიძე. - შარვალს ეცა ბესო.

9

ოთახში სამნი სხედან; ბესო, თამარი და ღიზი. ბესო ჟურნალების მაგიდასთან არის მიმჯდარი და წნევას იზომავს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მერე უკმაყოფილოდ თავს აქნევს და კეფაზე ხელს იდებს, თამარიც იქვე, იმავე მაგიდასთან ზის და ხან წნევის აპარატს უყურებს, ხანაც მეუღლეს. ფერმკრთალი ღიზი სავარძელში ჩამჯდარა და ჭერში ისე იყურება, გეგონებათ ბზარებს ეძებსო, მაგრამ ბესო შალიკაშვილის კეთილმოწყობილ სახლში ჭერზე ბზარს რა უნდა? ბზარი მხოლოდ მათ ცხოვრებაშია გაჩენილი, თანაც ძალიან დიდი და დამანგრეველი. ისედაც აწეწილ საქმეს ამ დილით კიდევ ერთი პრობლემა დაემატა, მოვიდა საშა, ოჯახის ძალიან ახლობელი, დაჩის ნათელმირონის, ანუ

პეტრო პეტროვის მამა და სამივეს მოწიწებით უთხრა, რომ თურმე დაახლოებით შვიდი-რვა დღის წინ დაჩი ბესოს კოლეგასთან, გიორგი ლიხელთან სახლში მისულა და უთხოვია, იქნებ ორი ათასი დოლარი გვასესხოთ, მამაჩემმა მანქანა დაამტვრია და მის გასაკეთებლად თანხა არ გვეყოფნისო. ბესო ხომ კარგად არისო? თვალები გაფართოვებია გიორგის. ბესოს არაფერი დაშავებია, უბრალოდ, მანქანაა ძალიან დამტვრეული და გაკეთებას საჭიროებს, მამაჩემს ერიდება თქვენთან ფულის სასესხებლად მოსვლა და მე მოვედი მის ჩუმადო. ცხადია, გიორგი ლიხელი ვერც წარმოიდგენდა, რომ ბესარიონ შალიკაშვილის ერთადერთი ვაჟი ცრუპენტელა იქნებოდა, ამიტომ დაუფიქრებლად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთქვამს, რას ამბობ, შვილო, მამაშენმა სული რომ მთხოვოს, იმაზე არ ვეცევი უარსო. მერე თავისივე მანქანით წაუყვანია დაჩი უახლოეს ბანკის ფილიალში, გამოუტანია ორი ათასი დოლარი, დაჩისთვის ჩაუთვლია და უთქვამს, თქვენს დიდებულ ოჯახს არაფერს დავამადლი და რისი საშუალებაც მექნება, ყოველთვის გვერდით დავუდგებიო. დაჩისაც თვალებიდან ბედნიერების ცრემლი წამოსვლია და გიორგი ლიხელს შეჰპირებია, ორ კვირაში მამაჩემი ამ ფულს უკან დაგიბრუნებთო. უჰ, რას ამბობ, შვილო, არ მეჩქარება, თუ გინდათ, ორი თვის შემდეგ იყოსო, დაუმშვიდებია გიორგის დაჩი, მაგრამ ამ უკანასკნელს ქვა აუგდია და თავი შეუშვერია, როგორ გეკადრებათ, ბატონო გიორგი, სიტყვა სიტყვაა, მამაჩემს დიდი ხნით გაწელილი ვალები არ უყვარს და ამიტომ, ღმერთს გეფიცებით, ორ კვირაში ამ თანხას ბესო უკან დაგიბრუნებთო. მოკლედ, გაღიმებულ-გახარებული წამოსულა დაჩი შალიკაშვილი მამამისის კოლეგა-მეგობრის, გიორგი ლიხელისგან იმ იმედით, რომ ვალს ყოვლისშემძლე მამიკო გადაუხდიდა, თვითონ კი ამ ფულით თავ-დავიწყებით ინავარდებდა, იკუნტრუშებდა და იცანცარებდა. რაც მთავარია, ამის შემდეგ დაჩის მამამისის კიდევ ერთი მეგობარი, სოსო მაღანია მოუნახულებია. მომხდარა ისე, რომ ბატონ სოსოს ოჯახის წევრები დასასვენებლად ჰყოლია გაგზავნილი, თავად კი მარტო ყოფილა სახლში. ჰოდა, მასპინძელსაც მეგობრის შვილისთვის სუფრა გაუშლია... დაულევიათ, უმხიარულიათ, მრავალი სადღეგრძელოც უთქვამათ, მაგალითად, ვაჟკაცობის, მეგობრობისა და მართლმადიდებლობის, მაგრამ, ჰოი, საოცრებაჲ, უკვე კარგად შეზარხოშებულები სუფრიდან რომ წამომდგარან და ბატონ სოსოს დაჩი გაუცილებია, უკან ამობრუნებულს მისაღები ოთახის უჯრაში ჩადებული თავისი იაპონური საათი და დაახლოებით სამას ლარამდე ფული ადგილზე აღარ დახვედრია. მთელი სახლის კუთხე-კუნჭული დაუვლია ოჯახის უფროსს, მაგრამ დაკარგული საათი და სამას ლარამდე თანხა ვერ უპოვნია. არადა, კარგად ახსოვდა, რომ დილით ზუსტად მაგ უჯრაში ჩადო საათი და თანხა, სახლში სტუმარიც

არავინ მოსვლია დაჩის გარდა. თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გახსენებია სოსო ბატონს, ქეიფის დროს, ღვინო შემოჰკლებიათ და ისიც თავისი კორპუსის პირველ სართულზე მდებარე მაღაზიაში ჩასულა ღვინის ამოსატანად, დაჩი კი მარტო დაუტოვებია სახლში, სულ რაღაც ათიოდე წუთით. ნუთუ ამ მომენტში იხელთა დაჩიმ დრო და ფულთან ერთად ძვირფასი საათიც მოიპარა? ძნელია ადამიანს (მით უმეტეს, მეგობრისა და პატივსაცემი ოჯახის შვილს) ქურდობა დააბრალო, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ დაჩის გარდა ოჯახში სხვა სტუმარი არ ყოფილა, თანაც დაჩის მოსვლამდე საათიცა და ფულიც უჯრაში იდო. ერთი კი შეუძინევია სოსოს. როცა ის მაღაზიიდან ამოსულა, დაჩი ფეხზე მდგარა და მისაღები ოთახის კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს ათვალიერებდა, თანაც ძალიან აფორიაქებული ყოფილა და მასპინძლისთვის უთქვამს, ბატონო სოსო, მე მალე უნდა წავიდე, რადგან დამირეკესო. წასვლით მალე წასულა, თუმცა რამდენიმე ჭიქის, განსაკუთრებით, მეგობრობის სადღეგრძელოს დალევა არ დავიწყნიათ. მოკლედ, დაჩის წასვლის შემდეგ, გაძარცვული სოსო ბატონი კედლებს ასკდებოდა და არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მისი გაძარცვის მოქმედი პირი, საქვეყნოდ ცნობილი ქირურგის, ბესო შალიკაშვილის ერთადერთი ვაჟი იყო.

ჰოდა, სწორედ ამიტომაც, სოსო მაღანია მისულა საშა პეტროვთან და ყველაფერი მოუყოლია, თან დაუმატებია, რომ არ ვიცი, რა ვქნა, ბესოს ვაჟს ხელი როგორ დავადო და ჩემს ოჯახში ქურდობა როგორ დავწამოო. რაც შეეხება გიორგი ლიჩელს, ის გუშინ სრულიად შემთხვევით, სადღაც ბაზრობაზე შეხვედრია საშას და უთქვამს, მე დიდი ხანია აღარ მინახავს, შენ კი უფრო ხშირად ნახულობ და როგორ არის ბესო, კარგია, რომ ავარიის დროს გადარჩენილაო. რა ავარიაო? უკითხავს გაოცებულ საშას. როგორ თუ რა ავარია, რამდენიმე დღის წინ ბესო ხომ მოჰყვა ავარიაში და მანქანა დაემტვრაო? კიდევ ერთხელ უკითხავს გიორგის. არა, ბატონო, რა ავარია, რის ავარია, რაღაცა გეშლება, ბესოს ამ დილით ველაპარაკე ტელეფონით და არანაირ ავარიაში არ არის მოყოლილიო. რა ვიცი, მისმა ბიჭმა ორი ათასი დოლარი ისესხა ჩემგან, ავარიის დროს დამტვრეული მანქანა უნდა შევაკეთოთო. გაოცებული ყოფილა გიორგი.

საშა პეტროვი რაღაცას კი მიმხვდარა, მაგრამ გიორგისთვის უთქვამს, რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის ისესხა ცანცარა დაჩიმ შენგან ფული, მთავარია, ბესო უეჭველი ჩაგასესხებს მაგ თანხასო.

- კაცო, თუ არ იცის ბესომ, რომ ჩემი ვალი აქვს, რანაირად ჩამასესხებს? - აღშფოთებულია გიორგი.

- მე ვნახავ ბესოს და მოვუყვები ყველაფერს, აბა, მაგის თავქარიანი ბიჭი, რისი ჩამსესხებელია? - აღშფოთებული იყო საშაც.

მოკლედ, ამ ორი ამბის მოსაყოლად მისულა საშა პეტროვი ბესი შალიკაშვილის ოჯახში და იქ რაც მოხდებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

- მარცხვენს, თავს მჭრის სახალხოდ, თანაც რა ხალხში? თავი რომ მომაქვს და მომწონს, ისეთ ხალხში. - სიმწრით ღრიალებდა ბესო.

- რა ვქნათ, საშა, როგორ მოვიქცეთ? გვირჩიე რამე, ბოლოს და ბოლოს, ნათელმირონები ვართ და ერთმანეთზე ახლობელი არავინ არ გვყავს. - ეკითხება თამარი საშას.

საშამ არ იცის, რა უნდა ქნას ნათელმირონის ოჯახმა და ამიტომაც, რაღაც არადამაჯერებლად ლულლულებს. - რა ვიცი, აბა, მე რა გირჩიოთ, ჩემი პეტრო დაჩისტოლაა, მაგრამ, მაინც სულ ჭკუას არიგებს ხოლმე.- მერე ლიზისკენ ბრუნდება და პირადად მას მიმართავს, - ლიზი, ასე არ არის? შენ, პეტრო და დაჩი, რომ მიდიხართ ხოლმე რესტორანში ან სადმე დასასვენებლად, პეტრო ხომ სულ არიგებს და ჭკუას ასწავლის დაჩის?

ლიზი თანხმობის ნიშნად თავს იქნევს.

- უნდა დაარიგოს ჭკუა და საჭიროების დროს, დაიცვას კიდევ, აბა, რაააააა, დაჩის დედამამიშვილი არ ჰყავს, პეტროს კი მხოლოდ და ჰყავს და ამიტომ, ძმებივით ერთად უნდა იყვნენ, ერთმანეთი უნდა გაიტანონ. ხომ იცი, რომ მე პეტრო შვილივით მიყვარს. ისე, საშა, კიდევ კარგი, რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლდით, თქვენი ოჯახი რომ არ გვედგეს გვერდით, რა გვეშველებოდა, არ ვიცი. - თქვა თამარმა და ისევ სალოცავ კუთხეს მიაშურა, იქ, სადაც ხატები და ბიბლია იყო დასვენებული, თუმცა, უცებ შეჩერდა და ლიზის გადახედა - ლიზი, ჩემი გოგო, შენც დედისერთა ხარ და პეტრო შენი ძმაც უნდა იყოს.

- რუსები და ქართველები საუკუნეებია ძმები ვართ, ერთად გვიცხოვრია, გვიომია და წარმატებებისთვისაც მიგვიღწევია. - რუსულ-ქართულ ურთიერთობას შეაშველა თავისი სიტყვა საშამაც.

- კი, საშა, ძვირფასო, ჩვენ ძმები და დები ვართ. ჩვენს დაძმობას კი ჩვენი რწმენა, მართლმადიდებლობა კიდევ უფრო მეტად ამყარებს. - საშას არც თამარი ჩამორჩა.

- ასე რომ, თამარ, დაჩი დღეს განერვიულებს, მაგრამ ეს პრობლემა დროებითია, რადგან პეტროს სახით, შენს შვილს ისეთი ძმაკაცი უდგას გვერდში, რომ ცხოვრებაში ყველა ტკივილსა და უბედურებას გადაატანინებს. - თქვა და ხელზე ეამბორა საშა თამარს

- დაჩი მართლა ბედნიერია, რომ პეტროს სახით, ასეთი დიდებული ძმაკაცი ჰყავს, ღრმად მართლმადიდებელი და ქართველთმოყვარული. თუ ჭკუას იხმარს და პეტროს დაუჯერებს, ის მას ჭეშმარიტ ძმობას გაუწევს და ცხოვრებაში არ წააგებინებს, ბევრს მოაგებინებს. - ეს უკვე ბესო იყო, რომელიც ვაჟის გამრუდებულ ცხოვრებას კი

დარდობდა, მაგრამ, ერთით მაინც კმაყოფილი იყო, რომ მის შვილს, პეტროს სახით ღირსეული ძმაცადი ჰყავდა.

- ჩემი პეტრო თქვენი ოჯახის წევრია, ნუ გეშინიათ, დაჩი ჭკუაში ჩავარდება და დაჭკვიანდება, პეტრო კი სულ მის გვერდით იდგება. - ამ სიტყვებით დაემშვიდობა საშა პეტროვი ბესო შალიკაშვილის ოჯახს.

- ეჰ, ერთი შენს ისტორიულ სამშობლოს გაუწია რუსმა ძმობა და მეორე, შენს ოჯახს გაუწევს კიდევ. - ეუბნება, აფროსილებს შინაგანი ხმა ბესო შალიკაშვილს, მაგრამ ის მას ყურადღებას არ აქცევს და აინუნშიც არ აგდებს.

- ინანებ! - ამოსძახა გულმა ბესოს.

- თამარ, ერთი კორაქსანი მომაწოდე, რაღაც გული მიჩმახებს. - ამბობს ბესო და დარწმუნებულია, რომ მისი პრობლემა მხოლოდ გულია... მხოლოდ გული, და არა რუსი.

10

პეტრო ძმობას გაგიწევსო, მუდამ ასე ეჩინებოდნენ დაჩის თამარი და ბესო, ისიც იჯერებდა ამას, თუმცა მას მეგობრობაში, მაინც და მაინც დიდი არჩევანი არც ჰქონია, რადგან რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ სულ სხვა ქვეყანაში, გარემოში და ადამიანებში აღმოჩნდა. ცხრამეტი წლის ბიჭისთვის მართლაც ძნელი იყო ახალი მეგობრებისა და თანამოაზრეების გამონახვა. რუსეთში სხვა საქმეა, იქ დაჩის ბავშვობა და სტუდენტობის საწყისი წლები ჰქონდა გატარებული, სადაც წარმატებული მამის წყალობით, პატარაობიდანვე ყველა ფეხქვეშ ეგებოდა და მუდამ ყურადღების ცენტრში ამყოფებდნენ. აი, საქართველოში ჩამოსულს კი ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო. ჯერ რიაზანის სამედიცინო უნივერსიტეტიდან თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში უნდა გადმოსულიყო, უფრო ზუსტად, ბესოს უნდა გადმოეყვანა, რაც ცხადია, წარმატებულ მამას არ გასჭირვებია, მერე

ეს უნივერსიტეტი უნდა დაემთავრებინა, რაც ასევე წარმატებული მამის წყალობით, უპრობლემოდ შესრულდა. როგორ? ძალიან მარტივად. მაგალითად, დაჩის მაგივრად ბესო ვერ დაჯდებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის ლექციებზე, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილი მამის სახელი, ავტორიტეტი და თუნდაც ერთი სატელეფონო ზარი, არაფრის მცოდნე და არაფრისმაქნის დაჩის ყველა პრობლემას უგვარებდა. გადადიოდა დაჩი კურსიდან კურსზე და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის მფლობელი გახდა. რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, დაჩის, ცხადია, სამეგობროც ახალი უნდა გაეჩინა, მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი პრობლემამ, რადგან დაჩის წარმატებულ მშობლებს, მით უმეტეს, თბილისის ელიტარულ უბანში დასახლებულებს, საკუთარი ვაჟისთვის სამეგობრო წრეც წარმატებული ოჯახებიდან გამოსული ემეტებოდათ. დაჩი კი, სამწუხაროდ, იმ ელიტარულ უბანში არაფრით გამოირჩეოდა სხვებისგან, რომ ვინმეს მასთან დამეგობრება გადაეწყვიტა. წარმატებული მშობლები? ფიქრის გორაზე ყველა წარმატებული ოჯახის შვილი იყო და ამიტომ დაჩის მხოლოდ საკუთარი ღირსებითა და განათლებით უნდა მოეხიბლა ადამიანები, რათა ვინმეს მასთან დამეგობრების სურვილი გასჩენოდა. ეჰ, დაჩი კი, საკუთარი ხასიათებიდან თუ ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, წარმატებული ოჯახის შვილებს ვერანაირად ვერ იზიდავდა. თუმცა, საქართველოში დაჩი უმეგობროდ ნამდვილად არ იყო დარჩენილი, მას ჰყავდა რამდენიმე ერთგული მეგობარი, აქედან ერთ-ერთი მათგანი ლექსო იყო, თბილისელი ბიჭი, პატიოსანი, განათლებული, დაოჯახებული და რაც მთავარია, სამი ვაჟის მამა. კარგი ბიჭი იყო ლექსო, მაგრამ, როგორც ამ უკუღმართ ქვეყანაში ხშირად ხდება ხოლმე, ყველაფერში ხელმოცარული. მიზეზი? უპატრონობა, ოღონდ უპატრონობაში აქ, ვინმე გამქაჩავის ან ცხოვრებაში ბიძგის მიმცემის არყოლა იგულისხმება.

აი, ახლაც სხედან დაჩი და ლექსო ღვინის ადმართზე მდებარე ერთ-ერთ დუქანში, კახური ღვინით შებუშბუშებულები. რაც მთავარია, დაჩის ერთკვირიანი გასვლა ჰქონდა სახლიდან და შინ დაბრუნებას ლექსოსთან ერთად აღნიშნავს.

- მაინც და მაინც, შენზე ნერვიულობით უნდა მოკვდნენ შენები? - ეკითხება ლექსო.

- არაუშავს, არაფერი მოუვათ, ცოტა ინერვიულეს და დაწყნარდებიან.

- პირუტყვივით იქცევი, ძმაო.

- შენ რუსეთში უნდა გენახა, ერთი კვირით კი არა, ხანდახან ერთი ან ორი თვითაც დაგკარგულვარ. - სიცილით ამბობს დაჩი და ჭიქებს ავსებს.

- ვისთან იყავი ხოლმე?

- აქ მიჭირს ჩემი ჭკუის ადამიანების მონახვა, თორემ ქალებსა და საძმაკაცოს რა დაღვედა რუსეთში, მოკლედ, ვგრიანებდი და თავზე ვიმხოვდი ყველაფერს.

- კაცურად, რუსეთის ხსენებაზე თვალები რატომ გეცრემლება? - სიცილით ეკითხება ლექსო.

- რუსეთში ჩემი სულის დიდი ნაწილი მაქვს დატოვებული და იმიტომ.

- შენა, ის მაინც თუ იცი, საქართველოში რუსის ტანკები რომ დგანან და ჩვენს ძირძველ მიწა-წყალს გვართმევენ?

- მე პოლიტიკა არ მაინტერესებს.

- შეიძლება პოლიტიკა არ გაინტერესებს, მაგრამ შენი სამშობლოს ინტერესები ხომ უნდა გაინტერესებდეს?

- ჩემი სამშობლო რუსეთია. - ძალიან სერიოზული სახით ამბობს დაჩი და გულის ჯიბიდან პასპორტს იღებს.

ლექსო დუმს, დაჩი კი პასპორტს გულში იხუტებს და სათქმელს აგრძელებს - ეს, ჩემო ძმაო, რუსეთის პასპორტია. არ მეთმობა და სულ თან დავატარებ.

- რატომ?

- გულში მყავს ეს ქვეყანა და იმიტომ.

- რუსეთისთვის თავს გაწირავ? - ინტერესდება ლექსო.

- თავის გაწირვაში რას გულისხმობ?

- დავუშვათ, რუსეთმა მობილიზაცია გამოაცხადა და საქართველოს წინააღმდეგ ომში გაგიწვია, წახვალ?

- ნუ იცი ხოლმე ეგეთი შეკითხვები. - საუბრის ხუმრობაში გადატანას ცდილობს დაჩი.

- მე გეტყვი პასუხს. - ამბობს ლექსო.

- თუ გცოდნია, რაღას მაწვალე?

- შენ რუსის ჯარში საქართველოს წინააღმდეგ არ წახვალ, და განა იმიტომ არ წახვალ, რომ რუსეთი არ გიყვარს ან საქართველო გეცოდება. არა და არა. შენ გეშინია ომში წასვლის, გეშინია სიკვდილის და იმიტომ. რუსეთი კი მხოლოდ დროის სატარებლად და აღვირახსნილი ცხოვრების მოსაწყობად გჭირდება. ისე, რომ იცოდე, შენ არც საქართველოს დასაცავად წახვალ რუსეთის და არა მარტო რუსეთის წინააღმდეგ საომრად, რადგან ამ შემთხვევაშიც სიკვდილის შიში გაჯობებს. ასე რომ, ჩემო ძმაო, უსამშობლოო კაცივით იქცევი. არადა, თუ ქვეყანას შენს სამშობლოდ თვლი, მისთვის თავის გაწირვაც უნდა შეგეძლოს, შენ კი სამშობლო მხოლოდ საგრილოდ და მაგარი ქალების სახმარად გჭირდება.

- მე მშვიდობის მოყვარული კაცი ვარ. - ამაყად ამბობს დაჩი და ჭიქას ბოლომდე სცლის.

- ამიტომ არ იყო, დღეს დილით, იმ საცოდავ იელოველებს, ქვებით რომ დასდევდი? რას იტყვი, მშვიდობის მოყვარულო?

- როგორ შეიძლება, ნაღდი ქართველი კაცი იელოველებს იტანდეს?
- კითხულობს დაჩი და ლექსოს ანიშნებს, დალიე სადღეგრძელო.

ლექსოც ძალიან მოკლედ, მშვიდობას გაუმარჯოსო, ამბობს და ჭიქას ისიც ბოლომდე სცლის. მერე მწვადის ნაჭერს იღებს, მაღიანად კბენს და დაჩის ეკითხება - ესე იგი, შენი აზრით, ნაღდი ქართველი მაშინ ხარ, თუ განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანებს დევნი და მათ მიმართ სიძულვილს გამოხატავ?

- ჩვენ, ისევე როგორც რუსებს, მართლმადიდებლობა მამა-პაპიდან მოგვდგამს და ვიცავთ იმ სიწმინდეებს, რაც მასთან კავშირშია.

- რას მელაპარაკები, კაცო, რუსებიც იცავენ? - განგებ გაკვირვებულ სახეს იღებს ლექსო.

- დიახ, რუსებიც იცავენ. საერთოდ, ჩვენ და მართლმადიდებელი რუსები ერთი ოჯახი ვართ.

- შენ როგორ იცავ მართლმადიდებლურ სიწმინდეებს? - ეკითხება ლექსო.

- მთელი ჩემი ოჯახი პატიოსანი, მართლმადიდებლური ცხოვრებით ცხოვრობს და იცავს ჩვენს სიწმინდეებს.

- დაჩი, იცი, რა არის? მიუხედავად იმისა, რომ მეც მართლმადიდებელი ვარ, რომ ვაკვირდები და ვადარებ, ჩვენგან განსხვავებით, იელოველი არ კლავს არავის, არ მრუშობს, არ ლოთობს, არ ქურდობს, არ ჭორაობს არავისზე, ბინძურ პოლიტიკურ პროცესებში არ ერევა, არ ინტერესდება კარიერული წინსვლით და საერთოდ, რაღაც არაამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვრობს. მეტსაც გეტყვი, დედამიწაზე, ყველა ადამიანი რომ იელოველივით ცხოვრობდეს, რატომღაც მგონია, პოლიცია და ჯარი საჭირო აღარ იქნებოდა.

- რა მაგალითებიც არ უნდა მომიყვანო, ალბათ დამეთანხმები, რომ ჩემს სუფთა ოჯახს, ვერც ერთი იელოველის ოჯახი ვერ შეედრება. - ამაყად ამბობს დაჩი და ოჯახის სადღეგრძელოს სვამს, ქართული ოჯახის, მართლმადიდებლური ოჯახის, იმ ოჯახის, სადაც კდემამოსილებით აღსავსე მანდილოსანი მხოლოდ სამზარეულოში ტრიალებს, ყოველ დილით „ახალ აღთქმას“ კითხულობს და სადამოობით ქმარ-შვილისთვის ხაჭაპურებს აცხობს. - მე ასეთ ოჯახში ვარ გაზრდილი და ვისურვებდი, ყველა ქართველიც ასეთი ოჯახიდან იყოს გამოსული. - ამატებს ბოლოს.

- წმინდანები ვყოფილვართ, ძმაო, ქართველები და რაღა გვიჭირს? - იცინის ლექსო.

- აბა, რააა... რუსეთში დედის გინებისთვის დავბრიდეთ მე და პავლემ ის ნაბიჭვარი.

- ?!

- დისკოთეკაზე მთვრალები ვიყავით, ისიც მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. ერთ მაგარ გოგოსკენ გავიქაჩე, მინდოდა შეძება და მერე ჩემთან ამეყვანა, ამ დროს, ვიღაც ტიპი მოდის და მეუბნება, აივანზე გავიდეთ, სალაპარაკოდო, მეც გავყევი. მერე თავისი ჭკუით მიხსნის, ის გოგო ჩემი საცოლელა და თავი დაანებეო. თან რაღაც ცხოველურ ხმებს გამოსცემს. მე ვუთხარი, ნაბიჭვარო, ცოტა ტონს დაუწიე - მეთქი, იმან იუკადრისა, ნაბიჭვარს რატომ მეძახიო და დედა შემაგინა, გესმის, დედა შემაგინა ვიღაც რუსმა. მე, ქართველს. ისე ამომასხა, იქვე მოვეკლავდი, მაგრამ აივანზე გამოსულმა პავლემ, შენ წადი, კონიაკი ჩამოასხმევინე და ამას მე მივხედავო. დავაპირე ბართან მისვლა, მაგრამ დავინახე, რომ პავლემ ის ნაბიჭვარი ტუალეტისკენ წაიყვანა და კართან მისულმა, უკვე ძალით შეათრია შიგნით. მეც იქით წავედი და შევედი ტუალეტში. ვხედავ, პავლეს ის ნაბიჭვარი თმებით ჰყავს დათრეული და თავით უნიტაზში ჩახრჩობას უპირებს, მაგრამ მე არ ვაცალე, შევედი თუ არა, იმ ძაღლის დაგდებულს უკნიდან წიხლი ჩავაზილე, შედეგად, პავლეს მხოლოდ მისი თმები შერჩა ხელში, ის კი წაბარბაცდა და ხელსაბანის ჩამომტვრეულ ნიჟარაზე საფეთქლით დაეცა. წამებში სისხლით შეიღება იატაკი, თუმცა, პავლემ არაუშავს, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო. მე კი, როგორც მომავალი ექიმი, მივხვდი, რომ ის უკვე მკვდარი იყო.

- ესე იგი, რა გამოდის, ჩვენს თანამოძმე, მართლმადიდებელ რუს ბიჭს საცოლელს ახევდი, იმან გაიბრძოლა, შეგაგინა და ამისთვის მოკალი? - გულახდილი იყო ლექსო.

- ეჰ, საცოლელს, თორემ, ახლა ისიც მეყოლებოდა ვინმე კაცის უნახავი.

- რა ვიცი, აბა, რუსეთი და რუსები კი გამოგყავს მართლმადიდებელ წმინდანებად. თანაც ჩვენს ძმებად, ჩვენ და ისინი ერთი ოჯახის წევრები ვართო, ამბობ, მაგრამ, თურმე რა ხდება, ვიღაც ქართველს თავისუფლად შეუძლია, ვინმე რუსს, ანუ ერთმორწმუნესა და ფაქტობრივად, საკუთარი ოჯახის წევრს, საცოლელე აახიოს, გაუბახოს და მერე შეურაცხყოფილი დაუბრუნოს უკან, ან საერთოდ, არც დაუბრუნოს. კაცო, ვერ მივხვდი ვერაფერს, ამიხსენი ერთი, თუ რუსები ჩვენი ერთმორწმუნე ძმები არიან, მაშინ, რატომ კადრულობ იმას, რომ ვიღაც ერთმორწმუნე რუსს საცოლელე წაართვა, გაუბახო და თავს ლაფი დაასხა?

მეგობრის ამ შეკითხვაზე დაჩის არანაირი პასუხი არ ჰქონდა, ან რა პასუხი უნდა ჰქონოდა, როცა საკუთარ გულისთქმას აყოლილს მიაჩნდა, რომ ყველა რუსი ბოზია და მათთან გრიალი შეიძლება. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, რუსები მაინც ჩვენი ერთმორწმუნეები არიან, და მეტიც, ჩვენი ოჯახის წევრებიც ყოფილან.

დრო ისე სწრაფად გადიოდა, რომ განვლილი ცხოვრების სრულფასოვან ანალიზს ვერ ასწრებდა კაცი. გაზაფხულს ზაფხული ცვლიდა, ზაფხულს შემოდგომა, შემოდგომას ზამთარი, ხოლო ზამთრს ისევ გაზაფხული. ჰოდა, მას შემდეგ, რაც ბესო შალიკაშვილი თავისი ოჯახით ისევ საქართველოში დასახლდა და რუსეთის სპეცსამსახურებისგან მიღებული წვრილ-წვრილი დავალებების შესრულებას მიჰყო ხელი, თოთხმეტი წელი გასულა, თანაც ძალიან სწრაფად, თვალსა და ხელს შუა. ერთხელაც, გაზაფხულის მშვენიერ დილას, ბესო შალიკაშვილს შეტყობინება მოუვიდა მოსკოვიდან, რომ ვითომდა საცხრამისო ზეიმზე დასასწრებად, სინამდვილეში კი მოსკოვში მდებარე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობაში გადაუდებელ საქმეზე იბარებდნენ, იმ უწყებაში, სადაც პირველი და უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ აღარ ყოფილა. ცხადია, მოსკოვიდან წამოსულ დავალებებს ბესარიონ კალისტრატოვიჩი ყოველთვის ასრულებდა, მაგრამ სხვადასხვა ინფორმაციებს ელექტრონული ფოსტით ან სოციალური ქსელების საშუალებით აგზავნიდა ხოლმე მოსკოვში. სულ ეს იყო და ეს, ამ წლების მანძილზე, სხვა არანაირი აქტივობა მისთვის არ მოუთხოვიათ. ახლა კი, მოსკოვშია ბესარიონ შალიკაშვილი დაბარებული, უფრო ზუსტად, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობაში.

ისევ იატაკმოკრიალებული კაბინეტი, კედელზე, ცხადია, ისევ პუტინის სურათი კიდია, მრგვალ მაგიდასთან კი ისევ სამნი სხედან - ისევ იმ შემადგენლობით: გენერალ-პოლკოვნიკი, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი და ბესარიონ კალისტრატოვიჩი. ოდნავ სახემოტეხილები და კიდევ უფრო გაჭაღარავებულები.

- თუ არ ვცდები, თოთხმეტი წლიწადი იქნება გასული ჩვენი მაშინდელი შეხვედრიდან. - ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი.

- დიას, თოთხმეტი წელიწადი გასულა, მე ისევ ქირურგი ვარ და ისევ თქვენს სამსახურში ვდგავარ. - ღიმილით ამბობს ბესარიონ კალისტრატოვიჩი.

- მეც ისევ სამოქალაქო ფორმაში ვარ და ისევ ძლევა მოსილი რუსეთის სამსახურში ვარ. - იღიმის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული.

- თქვენ მე მაშინ შვილი გადამირჩინეთ ციხესა და სამუდამოდ დაღუპვას. - გულახდილია ბესარიონ კალისტრატოვიჩი.

- თქვენ კიდევ დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები უნდა გადაგვირჩინოთ გაქრობასა და სამუდამოდ დაღუპვას. - ფეხზე დგება გენერალ-პოლკოვნიკი.

- სხვათა შორის, ჩვენი უწყება ძალიან კმაყოფილია ჩვენზე მომუშავე ქართველების უმეტესობით. - ეს უკვე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირია.

- ქართველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ რუსეთის სასარგებლოდ მუშაობაში. - ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი და ფეხზე მდგარი მაგიდას მუშტებით ეყრდნობა.

- მოკლედ და კონკრეტულად, ბესარიონ კალისტრატოვიჩ, უკვე დადგა დრო, რომ თქვენ პოლიტიკაში მოხვიდეთ. - საქმეზე გადადის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი.

- და ჩემი პროფესიით მუშაობას როგორ შევძლებ? - ინტერესდება ბესარიონ კალისტრატოვიჩი.

- თქვენს პროფესიაში დროებით პაუზის აღება მოგიწევთ, რადგან ძალიან შრომატევადი სამუშაო გექნებათ. - პასუხობს გენერალ-პოლკოვნიკი.

- მაშ, სად ვიქნები?

- თქვენ საქართველოს პარლამენტში უნდა შეხვიდეთ და თქვენი ქვეყნის კანონმდებელი გახდეთ. - ამას ისევ გენერალ-პოლკოვნიკი ამბობს.

- გასაგებია! - თავს ხრის ბესარიონ კალისტრატოვიჩი.

- თქვენ ძალიან გაფასებენ, როგორც წარმატებულ ექიმს და რუსეთში ნაცხოვრებ, ლეგენდარულ კაცს. - ამბობს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი და კოლოფიდან სიგარეტს იღებს, ოღონდ ჯერ არ უკიდებს, მხოლოდ თითებში ათამაშებს.

- რომელი პარტიის სიაში ვიქნები? - კითხულობს ბესარიონი.

- რომელ პარტიასთან მოგიწევთ შეკედლება, ამჯერად ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ამ საკითხზე ჯერ კიდევ ვმუშაობთ, ვეძებთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს, თუმცა, სადაც იქნებით, ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გეკავებათ. - ამბობს გენერალ პოლკოვნიკი და ისევ სკამზე ჯდება.

- დავაკვირდებით, გავაანალიზებთ სიტუაციას, შევხედავთ, ვინ ვისთან დაწყვილდება და გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ. მთავარია, რომ ჩვენი ხალხი გამსვლელ პოზიციებზე გვყავდეს ჩასმული და იქიდან უმეტესობა მოხვდეს პარლამენტში. - თქვა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირმა და როგორც იქნა, მოუკიდა სიგარეტს.

- გასაგებია! - წელში გაიმართა და სკამის საზურგეს მიეყრდნო ბესარიონ კალისტრატოვიჩი.

- დროა, რუსეთის ფედერაციამ სრულ კონტროლზე აიყვანოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და ეგ ლამაზი ქვეყანა ან სამუდამოდ ჯიბეში ჩაისვას, ან სულაც გააქროს, გადააშენოს. - ლამის დაისისინა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირმა და ჯერ კიდევ მთელი სიგარეტი ნერვიულად ჩააჭყლიტა საფერფლეში. როგორც ჩანს, ამ კაცს ჩვევა აქვს ასეთი, როცა ნერვიულობს, სიგარეტს ბოლომდე არ ეწევა და ახალმოკიდებულს საფერფლეში აჭყლეტს.

ბესარიონ კალისტრატოვიჩი მხოლოდ თავს იქნევდა და არაფერს ამბობდა. ან რაღა ჰქონდა სათქმელი, როცა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგებულ მახეში გაბმულს შეკამათების ან თუნდაც საკუთარი ქვეყნის, ანუ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ერთი უბრალო შეკითხვის დასმის უფლებაც არ გააჩნდა. იყიდეს ბესარიონი, არა მარტო ოცდაათ ვერცხლად, არამედ საკუთარი შვილის თავისუფლების სანაცვლოდაც. შესთავაზეს, გაურიგდნენ და ისიც დაჰყვა, ჩაჰყვა რუსთა ნებას, საბოლოოდ კი, ისე გაიყიდა, რომ იმ ხალხის მოკავშირე აღმოჩნდა, რომლებიც მის ისტორიულ სამშობლოს დაპყრობას, ან სულაც გადაშენებას უპირებდნენ.

- ბესარიონ კალისტრატოვიჩ, უნდა იცოდეთ, რომ საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების მოსაპოვებლად წინასაარჩევნო პერიოდისთვის სერიოზული სამუშაოების ჩატარებას ვგეგმავთ. მაგალითად, თბილისში და მთელს საქართველოში დაიწყება რუსთა მასიური შემოდინება, რასაც ხელს რუსეთ-უკრაინის ახლახან დაწყებული ომიც შეუწყობს. დიახ, ვითომ რუსეთ-უკრაინის ომს გამოქცეული, სინამდვილეში კი რუსული სპეცსამსახურების მიერ გამოგზავნილი რუსები დასახლდებიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და დაიწყებენ როგორც რუსული კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების, ისე რუსული ორგანიზაციების დაფუძნებას. ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნება რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფები, რომლის გახსნასაც ჩვენგან წაქეზებული საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მოითხოვენ. ქართული პოლიტიკური ელიტა დასავლეთის დასანახად თავიდან, რა თქმა უნდა, შეეწინააღმდეგება ყოველივე ამას, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი ნაბიჯი იქნება და საბოლოო ჯამში არანაირ წინააღმდეგობას არ გაუწევს მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარებას. ანუ საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ხუთი ოფისიდან თუ ორგანიზაციიდან, მინიმუმ სამი იქნება რუსული, თან ამას ისიც დაუმატოთ, რომ ადგილობრივი კონსერვატორული თუ მართლმადიდებლური ორგანიზაციები ღიად

დაუჭერენ მხარს თქვენს ქვეყანაში ყოველივე რუსულის დაფუძნებასა და განმტკიცებას. ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, რომ საქართველოში რეკორდულად გაიზრდება რუსეთიდან შემოსული ლტოლვილებისა თუ ტურისტების რაოდენობა, რაც ბუნებრივად გადააჭარბებს და შთანთქავს ევრო-ამერიკიდან შემოსულ ადამიანებს. ასევე, კიდევ ერთ დეტალს მიაქციეთ ყურადღება; თქვენ პირადად, სანამ პარლამენტის წევრი გახდებით, მანამდე თბილისში დაფუძნებულ რუსულ ორგანიზაციებთან უნდა ითანამშრომლოთ, ხოლო ამ ორგანიზაციების ნაყოფიერად მუშაობისთვის გამოიყოფა გარკვეული თანხები. მოკლედ, საქართველოს რუსულ გავლენაში დასაბრუნებლად სერიოზული ნაბიჯების გადადგმა იგეგმება და იმედია, ჩვენი შრომა წყალში არ ჩაიყრება. - გენერალ-პოლკოვნიკმა, თავისი სათქმელი რომ დაასრულა, ჯერ სამხედრო კიტელში ჩაიყო ხელი, იქიდან სავარცხელი ამოიღო, მერე კედელზე ჩამოკიდებულ სარკესთან მივიდა და თმების დავარცხნა დაიწყო. ამ საქმეს რომ მორჩა, სარკის თაროზე დაგდებულ ჯაგრისს დაავლო ხელი და სამხედრო ფორმიდან მტვრის ჩამობერტყვას შეუდგა.

- ვალერი პავლოვიჩ, ემზადებით? - ღიმილით ჰკითხა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირმა.

- ფაქტობრივად, მზად ვარ. - ღიმილითვე უპასუხა გენერალ-პოლკოვნიკმა.

ბესარიონ კალისტრატოვიჩი კი გაოცებული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რამეთუ ვერ მიძხვდარიყო, რისთვის ემზადებოდა გენერალ-პოლკოვნიკი, ასე გულმოდგინედ, რომ ივარცხნიდა თმებს და სამხედრო ფორმიდან მტვერს იბერტყავდა.

- ალბათ გაინტერესებთ, რისთვის ემზადება ვალერი პავლოვიჩი?! - ფეხზე წამომდგარმა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირმა ზემოდან დახედა ბესარიონ კალისტრატოვიჩს.

- თუ საჭიროდ ჩათვლით, მითხარით.

- თბილისში წასასვლელად და რუსული მმართველობის დასამყარებლად. - იცინოდა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პირი, ხარხარებდა გენერალ-პოლკოვნიკი და აშკარად გაურკვეველი სახით იჯდა ბესარიონ კალისტრატოვიჩი. ამ უკანასკნელს ვერ გაეგო, ხუმრობად მიეღო რუსეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ნათქვამი თუ სერიოზულად მოჰკიდებოდა მას?

თბილისში წასასვლელად და რუსული მმართველობის დასამყარებლად ემზადებოდა რუსი გენერალ-პოლკოვნიკი, და არა მარტო ის, მთელი რუსეთის მმართველი წრეები ემზადებოდნენ საქართველოში სალაშქროდ, ოღონდ ამჯერად ტყვია-წამლისა და ტანკების გარეშე სურდათ ქართული სახელმწიფოს ან ხელმეორედ დაპყრობა, ან სულაც გაქრობა-გადაშენება.

რუსი ყველა მხრიდან დაიძრა საქართველოსკენ, დაიძრა კოლონებით, ოღონდ არა ტანკზე შემომჯდარი, არამედ ზოგი ავტომანქანით, ზოგი მიკროავტობუსით, ზოგი თვითმფრინავით, ზოგი გემით და ზოგი კიდევ ფეხითაც შემოდის საქართველოს საზღვრებში.

- ე, ბიჭო, მგონი ავშენდით, - ეუბნება ბედნიერი ონისე დიტოს და თვალებიდან სიხარულის ცრემლს იწმენდს.

- ჩვენ რომ ჭკუით მოვქცეულიყავით, ესენი თბილისში ჯერ კიდევ 2008 - ში უნდა შემოსულიყვნენ ტანკებით, მერე ბოლომდე გასულიყვნენ და დამდგარიყვნენ ფეხისმოუცვლელად. - ბედნიერია დიტოც.

- აბა, შენ ეგა თქვი, რამდენი წელი დაგკარგეთ ამ მაიმუნობაში, შემოსულიყვნენ 2008 - ში და დღეს უკვე წელში გამართულები ვიქნებოდით.

- არც ახლათ გვიან, მთავარია, იმ გარყვნილმა ევრო-ამერიკელებმა არაფერი მოგვიწყონ და ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც რუსებს აქვთ დაგეგმილი.

- ქართველი კაცის ნებითა და ღვთის მადლით ყველაფერი კარგად იქნება.

ასეა საქმე ძმებო და დებო, ონისეც და დიტოც თბილისში დაარსებული რუსული კულტურის ცენტრის აქტიური თანამშრომლები არიან, თუმცა, ისინი რუსმადიდებლად არ დაბადებულან, მეტიც, ეს ადამიანები ამაყობენ კიდევ იმით, რომ თურმე 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე იდგნენ და რუსი ჯალათების მიერ გაშვებული მომწამვლელი ნივთიერებებით მოიწამლნენ, ხოლო იგივე რუსების ალესილ ნიხბებისგან სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ. ჰოდა, დღეს რომ ჰკითხოთ, ვის ებრძოდით მაშინ და საერთოდ, თქვენ იდეა რა იყო, ერთიც და მეორეც დაუფიქრებლად გიპასუხებს, რუსებს ვებრძოდით საქართველოს თავისუფლებისთვისო.

- კი, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, თუ 1989 წლის 9 აპრილს რუსთა ჯალათებს საქართველოს თავისუფლებისთვის ებრძოდით, დღეს, ანუ იქიდან სამ ათეულ წლებზე მეტის გასვლის შემდეგ, რა

დმერთი გაგიწყრათ, რა ჭირი დაგეტაკათ და დამოუკიდებელ საქართველოში რუსთა ტანკების შემოდინებაზე რაღაზე ოცნებობთ? - გაოცებული ეკითხება ორთავეს გოგა.

- ეჰ, ჩემო ძმაო, დავინახეთ, რომ ამ წლების მანძილზე ქვეყანა არასწორი გზით წავიდა, თანაც გარყვნილმა ევროპამ და ამერიკამ ფეხებზე დაგვიკიდა, ამიტომაც სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ისევ რუსების შემოსვლაზე ვიოცნებოთ, - პასუხობენ ონისე და დიტო, თანაც ორთავე ერთ ხმაში, ისე შეხმატკბილებულად, კაცს ეგონება, ვილაცამ დაარიგა, ვინც პოლიტიკურ ორიენტაციას დაგიწუნებთ, ასე უნდა უპასუხოთო.

- სიმართლე გითხრათ, ქვეყანაში ჩაბუდებული მავნებლებივით ლაპარაკობთ, მაგრამ რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ხელი რომ დაგაკაროთ ან წინააღმდეგობა გაგიგდოთ ორთავე, ვიცი, ახლა თქვენი დროა და შეიძლება დააჭერინოთ კიდევ ჩემი თავი. - ბრაზობს გოგა და ბეტონის კედელს თავით ეხეთქება.

- დაწინარდით, მოქალაქევ, თქვენ სად გგონიათ თქვენი თავი? თქვენ ახლა თბილისში დაარსებულ რუსული კულტურის ცენტრში იმყოფებით და ცოტა მეტი თავშეკავება მოგეთხოვებათ. - გამოექომმაგა ონისეს და დიტოს, ასე ოცდათორმეტ-ოცდაცამეტი წლის, მოკლედ თმაშეჭრილი და მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალბატონი.

- თქვენ ვინ ბრძანდებით? - დაინტერესდა გოგა.

- მე ამ ცენტრის დირექტორი, ლიზი კალანდია გახლავართ.

- ხოს, ქართველი ქალბატონი რუსული კულტურის ცენტრის დირექტორია?! - თავის გაოცებაში ირონია გაურია გოგამ.

- მოქალაქევ, ბესარიონ შალიკაშვილი, ალბათ გეცოდინებათ ვინც არის. - ძალიან თავდაჯერებული იყო ლიზი.

- ვიცი, გამიგია.

- ჰოდა, რომ იცოდეთ, ბესარიონი ჩემი მამამთილია, რომელიც მთელი ათწლეულები ცხოვრობდა რუსეთში, მაგრამ საქართველოს სიყვარულში ნებისმიერ ურაპატრიოტს გაჯობებთ.

- მე ვარ ურაპატრიოტი და საქართველოში რუსული საქმის მკეთებელი თქვენი მამამთილი პატრიოტია?

- დიახ, პატრიოტია და საქართველოში ქართულ საქმეს აკეთებს.

- იცით, რას გეტყვით? თქვენთვის საქართველოში რუსული კულტურის ცენტრის დაარსება არც ერთ ქართველს არ უთხოვია... და თუ ქართველი ხალხის სურვილების ასრულება გსურთ, მაშინ, გაიყვანონ რუსებმა თავისი ტანკები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და მერე, რამდენიც ენებოთ, იმდენი ცენტრი გახსნან თბილისში და არა მარტო თბილისში. გესმით?

- ქართველი ხალხის ნება რუს ხალხთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაა. - დაბეჭდილი სიტყვების სროლა დაიწყო რუსული კულტურის ცენტრის დირექტორმა, ლიზი კალანდიამ.

- დიას, მეგობრობა, და არა ერთი ოჯახის წევრობა, თქვენი მამამთილი და მისთანები კი სწორედ იმაზე ზრუნავენ, რომ ჩვენ და რუსებმა ისევ ერთ ოჯახში, ერთ გაერთიანებაში ვიცხოვროთ, ისე, როგორც უწინ იყო. - კვლავ ნერვიულად აუწია ხმას გოგამ და მაგიდაზე მუშტი დაარტყა, რასაც იმავე მაგიდიდან წყლით სავსე გრაფინის გადმოვარდნა და იატაკზე ნამსხვრევებად ქცევა მოჰყვა.

- ნუ დაგვამსხვრიეთ თავზე ყველაფერი, რას ჰგავს თქვენი საქციელი, რას? საერთოდ, რატომ შემოგვივარდით ოფისში, რა, ვინმემ დაგპატიჟათ? რა გესაქმებათ აქ? ჩვენთან თქვენი ადგილი არ არის, არა. დაცვა სად არის? დაცვა, დაცვაააა, აქ ხართ? ახლავე პოლიციას გამოუძახეთ და წაათრიონ ეს არამზადა იქ, სადაც საჭიროა. - დაცვასა და პოლიციას უხმობდა ლიზი კალანდია, წარმატებული მამამთილისგან უკვე დირექტორად გაქაჩული რძალი.

ჯერ სად ხართ? ცოტა ხანი მოიცადეთ, კარგად დამკვიდრდნენ საქართველოში რუსები და თქვენ მერე ნახავთ, როგორ გაქაჩავს წარმატებული მამამთილი თავის საამაყო რძალსა. ხომ ხედავთ, ჯერ რაღაც რუსული ოფისის დირექტორობიდან დააწყებინა, მერე უკვე, ნელ-ნელა წინაც წასწევს და უფრო მნიშვნელოვან სამსახურშიც დააწინაურებინებს. მაგალითად, რომელიმე სამინისტროში გადაიყვანს, ოღონდ არა მინისტრისთვის ყავის მომდუღებელ მდივნად, არამედ რომელიმე ძმაკაცი ჩინოვნიკის მოადგილედ ან მრჩეველად მაინც. კარგად ესმის ბესარიონ შალიკაშვილს, რომ მისი რძლისგან, ისევე, როგორ მისი ერთადერთი ვაჟისგან, ისევე გამოვა ექიმი, როგორც ქვეწარმავლისგან ჟირაფი ან მარტორქა, ამიტომაცაა, საქვეყნოდ ცნობილი და სხვადასხვა დინებებში შესული ბესარიონ შალიკაშვილი ნემსის ყუნწში ძვრება, რათა საკუთარ რძალსა და ვაჟს მეუღრო სამსახური მოუნახოს, ისეთი, რომ ორივე მათგანს, თანამდებობაც ჰქონდეს და თან ძალიან დამღლევი სამუშაოთიც არ გადაიტვირთონ. თავისთავად ცხადია, ამ მხრივ ლიზის, მაინც და მაინც დიდი პრობლემა არა აქვს, რადგან, ჯერ ერთი, სატვირთო გადაზიდვების რაღაც ოფისში (ცხადია, მამამთილის დამსახურებით) მენეჯერად თუ ამის მსგავს თანამდებობაზე უკვე ნამუშევარია, და მეორეც, დიდი გონებრივი შესაძლებლობების არქონის მიუხედავად, ლიზი ქალია და უფრო იოლად შეუძლია საკუთარი თავის ხელში აყვანა, ვიდრე მამაკაცს. რა თქმა უნდა, თავისი მეუღლისგან განსხვავებით ლიზი ადვირახსნილ ცხოვრებას არ ეწევა და ბუნებრივია, მისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევაც ძალიან ადვილი

საქმეა. აი, დაჩი კი, სულ სხვაა, დაჩი კაცია, თანაც უმდაბლესი გონებრივი შესაძლებლობების და თან თავქარიანი. ჰოდა, აბა, როგორი საქმეა, ასეთ კაცს რამე თანამდებობა მისცე და რაღაც ორგანიზაციის მუშაობა ჩააბარო? შეუძლებელია, წარმოუდგენელია, თავის მოჭრაა, თუმცა, აქ არის ერთი „თუმცა“, კერძოდ, უვიცისა და თავქარიანის რამე სერიოზულ საქმიანობაში ჩართვა, მიუღებელი და სირცხვილი მაღალგანვითარებულ ქვეყნებშია, იქ, სადაც ადამიანის დასაწინაურებლად მხოლოდ მის განათლებას ექცევა ყურადღება და არა მის ოჯახსა თუ გვარიშვილობას. ეჰ, ჩვენთან კი, ამ მხრივ ენითაუწერელი საშინელება ტრიალებს. ყველგან უხილავი თუ ხილული მფარველი სჭირდება კაცს, თორემ სხვაგვარად დაღუპულია და არათუ რამე სერიოზულ საქმეს არ ჩააბარებენ, ახლოსაც არ გაიკარებენ. თუმცა, ახლა ისევ ღიზისა და დაჩის დაგუბრუნდეთ.

მაშ ასე, გადაზიდვების ოფისში მუშაობის შემდეგ, ღიზის კარიერული წინსვლისთვის ერთი სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვს და რუსული კულტურის ცენტრის დირექტორად დაინიშნა, არადა, სიმართლე რომ ითქვას, ქალბატონი ღიზი ისევე ერკვეოდა რუსულ კულტურაში, როგორც მისი მეუღლე ბერბერული ენის გრამატიკაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ღიზი, ფაქტობრივად, უკვე გზაზეა დაყენებული და რაც უფრო ღრმად შემოვლენ რუსები საქართველოში, მით უფრო მეტი და მეტი პერსპექტივა გაუჩნდება მას.

დაჩისა და თამარს რაც შეეხება, რუსთა მასიურმა შემოდინებამ და ბესო შალიკაშვილის პოლიტიკაში მოსვლამ, ცხადია, ხელმოცარული არც ისინი დატოვა, ან რატომ უნდა დაეტოვა, როცა პოლიტიკურ მარათონში ჩართულ ბესოს სანდო ხალხი სჭირდებოდა. ასეთ დროს კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უპირატესობას ოჯახის წევრებს ანიჭებენ და რა გასაკვირია, რომ ბესომაც არჩევანი საკუთარ ოჯახზე შეაჩერა და ახლადდაფუძნებული პრორუსული პარტიის აღმასრულებელ მდივნად საკუთარი მეუღლე, თამარი დაანიშნინა, დაჩისთვის კი აღმასრულებელი მდივნის თანაშემწისთვის განკუთვნილი პაპკა გადააცემინა. ჰოდა, დადიოდა დაჩიც ხან დედამისის, ხანაც მამამისის გვერდით, ხელში ქაღალდებით სავსე პაპკა ეჭირა და თავს მედიდურად იწონებდა. თუმცა, ქაღალდებით სავსე პაპკას, ცოდნით სავსე თავი რომ ჯობია, ეს ბესოსაც კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ძლივს, საკუთარი ვაჟის წარმოსაჩენად, რაღაც შანსი მიეცა და ბუნების ამ საჩუქარზე უარს ხომ ვერ იტყოდა?

დაჩი ჯერ ახალგაზრდა კაცია. რა, ლაპარაკი არ იცის? ვიღაცა მანერებსა და ერუდიციას უწუნებს? ჯერ დასადვინებელია? თავქარიანია? მსუბუქ ნარკოტიკზე დამოკიდებულია? მკვლეელია?

შიგადაშიგ ჩუმი მომპარავია? ოჰ, მერე რა მოხდა, ასაკი მოემატება, ჭკუაში ჩავარდება და წარმატებული მამიკო, მაინც გზაზე დააყენებს. ვინ მოსთვლის, ამ უკუღმართ ქვეყანაში რამდენი დაჩისნაირი გამოუთლიათ და გზაზე დაუყენებიათ? ბევრი, ძალიან ბევრი. ასე რომ, სანერვიულო არაფერია, სრულებით არაფერი, აი, ნახავთ, დაჩის დაბანენ, ჩააცმევენ, დაახურავენ, მეთადონის პროგრამაზე აიყვანენ, რაც ჰყავს, იმაზე უფრო ძვირადღირებულ მანქანას უყიდიან, საქმიანი კაცის იერს მიაღებინებენ, ელემენტარულ ქცევის წესებს შეასწავლიან, მაღალი რანგის ხალხში ბილწსიტყვაობას გადააჩვენებენ, ხელში საქაღალდეს დააჭერინებენ, ერთი-ორჯერ ტელეკამერების წინ დააყენებენ, წინასწარ დაწერილ რაღაც მარტივ ტექსტს დააზეპირებინებენ, დიდ კაცად გამოთლიან და მასზე ლეგენდებს შექმნიან. ეჰ, დაჩი ვინ არის, ამ ქვეყანაში ისეთი ხისტავიანები გამოუთლიათ და ზედა ემელონებში დაუსვამთ, შეიძლება ჭკუიდან გადავიდეს ნორმალურად მოაზროვნე კაცი.

მოკლედ, დაჩი უკვე კარგი ბიჭი გახდა, დასაქმებულია, რეალიზებულია და სულ ოჯახის წევრებთანაა - ხან დედამისთან პარტიულ ოფისში, ხან მამამისთან მაღალი რანგის ადამიანებთან შეხვედრებზე, ხანაც მეუღლესთან რუსულ კულტურის ცენტრში. ერთი კია, რაც ბესომ პოლიტიკაში მოსვლა და პარლამენტარობა დააპირა, დაჩი სულ მცირე დოზით, მაგრამ, მაინც შეიცვალა. ადრე რომ სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი, ახლა, რაღაც თვინიერი გახდა და ოჯახის წევრებს სულ კუდში დაჰყვება. რატომ? ალბათ ასეთი საინტერესო, დიდკაცური ცხოვრება ხიბლავს და იმიტომ.

აი, ახლაც, დაჩი დედასთან არის პარტიის ოფისში და იქ მყოფ საზოგადოებას, შინაურებს თუ გარეულებს იმ უბნის კოორდინატებს აცნობს, სადაც ზეგ ბესომ პარტიის სახელით შეხვედრა უნდა ჩაატაროს, შეხვედრა ხალხთან, ანუ ამომრჩეველთან.

- მაშ, ზეგ მოვიდეთ შეხვედრაზე? - ინტერესდება კაცი, რომელსაც ყველა იმით იცნობს, რომ პარტიულ შეხვედრებზე სულ მუდამ დროშით დადის, ოღონდ არა საქართველოს დროშით, არამედ იმ პარტიის დროშით, რომლის წევრიც კონკრეტულ მომენტშია. დღეს კი ეს კაცი ამ პარტიის წევრია... ხოლო ხვალ სად იქნება, არავინ იცის.

- აუცილებლად უნდა მოხვიდეთ. არ დაგვაღალატოთ. - ეუბნება დაჩი.

- ოჯახის წევრების წამოყვანაც სავალდებულოა? - კითხულობს ვიღაც ლურჯპულოვერიანი შუახნის მამაკაცი.

- აბა, რა, ოჯახიც უნდა წამოიყვანოთ. - ამასაც ისევ დაჩი პასუხობს.

- მარტო ოჯახის წევრები კი არა, თუ შეგიძლიათ, ნათესავებიცა და უბრალოდ, ნაცნობებიც წამოიყვანეთ. - აქ უკვე თამარი ერთგება ლაპარაკში.

- თუ პოლიტიკა არ აინტერესებთ, მაინც წამოვიყვანო?

- წამოიყვანეთ, წამოიყვანეთ. - არაფერი ანადვლებს დაჩის.

- მაგათი წამოყვანა რაღა საჭიროა? - ძალიან აღელვებული სახით ამბობს ის ვიღაცა.

- დამშვიდდით და მაგას მერე გაიგებთ. - ლურჯპულოვერიანი შუახნის მამაკაცის დამშვიდებას ცდილობს თამარი.

- როდის მერე?

- არჩევნების შემდეგ, - ეუბნება დაჩი.

- არა, ახლა მითხარით, თუ ადამიანს პოლიტიკა არ აინტერესებს, პარტიულ შეხვედრაზე, რატომ უნდა მოვიდეს? - არ ნებდება ლურჯპულოვერიანი შუახნის მამაკაცი.

- ტერიტორია რომ შეავსოს, მეგობარო, ტერიტორია. - ფეხზე დგება, მერე ლურჯპულოვერიან შუახნის მამაკაცთან ძალიან ახლოს მიდის და ყურში ჩურჩულით ეუბნება თამარი.

- აჰა, ახლა უკვე გასაგებია. ამიტომ მთელი ჩემი საახლობლო მომყავს ზეგინდელ შეხვედრაზე.

- ფულს როდის მოგვცემენ? - ფეხზე დგება ახლადშექმნილი პარტიის უკვე ერთ-ერთი აქტიური წევრი.

- ლევან, ახლა ნუ დაგვახრჩობ და რომ გავიმარჯვებთ, იმდენ თანხას მიიღებ, მის დასათვლელად კალკულატორი გადაგეწვება. - ღიმილით ამშვიდებას ლევანს თამარი.

- ფულს ჩვენ არ მოგვცემთ? - სკამიდან თავი წამოყო კიდევ ერთმა აქტივისტმა, ოღონდ ფეხზე არ ამდგარა.

- ვინც ამ პარტიის აქტიური წევრები ხართ, ფულს ყველა მიიღებთ, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, არჩევნების შემდეგ, როცა გავიმარჯვებთ. - აშკარად ბოლშევიკურ დაპირებას იძლევა თამარი.

- მოკლედ, ყველაფერი არჩევნების შემდეგ იქნება, მთავარია, მანამდე გავატანოთ და სული არ გაგვიძვრეს. - სიცილით ამბობს კიდევ ერთი აქტივისტი, ოღონდ ქალბატონი.

- ისე, როგორც ჩანს, ყველა სიკეთე არჩევნების შემდეგ იქნება და მაინტერესებს, არჩევნებამდე რაღას გვპირდებით? - კითხულობს აქტივისტ ქალბატონთან ერთად მეოფი მამაკაცი, რომელიც, სავარაუდოდ, აქტივისტი ქალბატონის მეუღლე ან ვინმე ძალიან ახლობელი უნდა იყოს.

- არჩევნებამდე იქნება ერთი დიდი ბანკეტი, რათა ჩვენ, პოლიტიკურმა თანამოაზრეებმა კიდევ უფრო კარგად გავიცნოთ ერთმანეთი. - საარჩევნო კამპანიაში სასიამოვნო მუხტის აწევა სცადა თამარმა.

- ბატონო დაჩი, - ფეხზე დგება დაახლოებით ორმოც წლამდე ასაკის, ახალი აქტივისტი მამაკაცი, რომელიც მხოლოდ გუშინ შემოუერთდა ამ პარტიას, თუმცა, თავისი ნებით შემოუერთდა თუ რაღაც ძალებმა ძალით შემოაგდეს ან შემოუერთეს, ძნელი სათქმელია. მოკლედ, ორმოც წლამდე ასაკის მამაკაცი ინტერესდება, - მე, როგორც თქვენს პარტიაში ახლახან გაწევრიანებულს ძალიან მაინტერესებს იმ პარტიის იდეოლოგია, რომლის მანდატსაც მაღე მომცემენ და რომელსაც არჩევნებზე საკუთარი ხმა უნდა მივცე.

- იცით, რა არის? იდეოლოგიებზე დღეს არ გვაქვს გეგმაში ლაპარაკი, სხვა დროს მობრძანდით და მერე ვილაპარაკოთ. - რაღაც ენის ბორძიკით, წამოწითლებული ამბობს დაჩი.

- პირველად მესმის, რომ თურმე პარტიის ოფისში იდეოლოგიებზე სალაპარაკოდ, რაღაც დღეები ყოფილა განკუთვნილი... თქვენ რა, ხუმრობთ თუ რაშია საქმე? არადა, მაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ, კერძოდ, თქვენი პარტია რომელი მიმდინარეობისაა, მემარჯვენე, მემარცხენე თუ ლიბერალური?

აქ დაჩი უკვე ჭარხალივით წითლდება და მხსნელად დედისკენ იხედება, მაგრამ რა ქნას თამარმა, როცა არც მან იცის, რას ნიშნავს პოლიტიკაში მემარჯვენეობა, მემარცხენეობა ან ლიბერალობა? არადა, ქალი ასეთი უდიდესი პერსპექტივის მქონე პარტიის აღმასრულებელი მდივანია, მაგრამ პოლიტიკაში ძალიან ელემენტარული რამ, მემარჯვენეობა, მემარცხენეობა და ლიბერალობა რას ნიშნავს, არ იცის, არა.

და მაშინ, როცა უკვე თამარსაც სირცხვილით სახის აწითლება ეწყებოდა, მას და მის ვაჟს მხსნელად პეტრო მოეწვინა, - ისა, თქვენ, მეგობარო, რა ბრძანეთ? - მიმართა მან ორმოც წლამდე ასაკის აქტივისტს.

- მემარჯვენეები ხართ, მემარცხენეები თუ ლიბერალები? დღეს მხოლოდ ეს მაინტერესებს, სხვა არაფერი.

- ჩვენ საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ადამიანები ვართ. ასე რომ, მემარცხენეებად შეგიძლიათ ჩაგვთვალოთ და არავითარ შემთხვევაში მემარჯვენეებად, ლიბერალიზმზე ხომ საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია, გარყვნილები და გადაგვარებულები, ეგენი. - ძალიან მშვიდი იყო პეტრო.

- მოკლედ, დღევანდელი ჩვენი შეხვედრა დამთავრებულია, ახლა უნდა დაგემშვიდობოთ. - ღიმილით ფეხზე წამოდგა თამარი.

- ხვალ დილით, რა გვაქვს გეგმაში? - იკითხა ახალგაზრდა აქტივისტმა.

- მე დილის ლოცვა მაქვს გეგმაში, თქვენ რაღა გაქვთ, ეს არ ვიცი, - პაპკა დაკეცა თამარმა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ოფისი ყველას უნდა დაეტოვა.

- დაჩი, თუ ძმა ხარ, ბესოს რომ პარტიული შეხვედრა აქვს ამომრჩეველთან, მეც წამიყვანე, რა. - მოკრძალებით ითხოვს თაზო, დაჩის ბავშვობის მეგობარი.

- იქ არაფერი ისეთი არ იქნება, რომ დაგაინტერესოს. - ცალებად პასუხობს დაჩი.

- როგორ არ იქნება, შე კაცო, მთელი პარტიული და არა მარტო პარტიული ელიტა მოვა მაგ შეხვედრაზე, მე კიდევ, ხომ იცი, პოლიტიკა ძალიან მაინტერესებს. მერე იქნებ, ვინმე პოლიტიკოსი გამაცნო და ბესოს სახელით დამაახლოვო კიდევ მასთან. გამომადგება, დამიჯერე.

- კარგი, რა, პოლიტიკოსებთან დაახლოება შენ რაღაში გჭირდება?

- პოლიტიკოსებთან დაახლოება მეც იმაში მჭირდება, რაშიც შენ გჭირდება.

- მაინც რაში გჭირდება?

- ხომ ხედავ, ამ წაბილწულ ქვეყანაში, თუ რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ეკუთვნი, ისე არავინ გაღიარებს.

- არ არის მასე და საერთოდ, ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს რა გაძლევს? - ძალიან გულუბრყვილო ადამიანის სახეს იღებს დაჩი.

- ჩემი განვლილი ცხოვრება. - პასუხობს თაზო.

- ჰო, რა ვიცი, ვნახოთ, მანქანაში თუ იქნა ადგილი, წაგიყვან და გაგაცნობ პოლიტიკოსებს. - არც თუ დიდ იმედს აძლევს დაჩი.

- მე შენს ადგილზე ეგრე არ მოვიქცეოდი.

- რა გინდა, კაცო, რა? - ბურღუნებს დაჩი.

- უკვე აღარაფერი! - ძალიან მოკლედ პასუხობს თაზო.

- იცი, რა არის? პოლიტიკა პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ, ბესო უკვე პოლიტიკოსია და ამიტომაც უნდა პარლამენტში შესვლა. შენ კი, ჯობია, სხვა ხალხი მონახო და იმ წრეში იტრიალო. - ამას იმგვარად ამბობს დაჩი, რომ ნამუსის ძარღვი საერთოდ არ უტოკდება.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, დაჩის ნამუსის ძარღვი არ უტოკდება კი არა, საერთოდ არა აქვს ეგ ნამუსის ძარღვი და, რაც არა აქვს, ის როგორ აუტოკდება? არადა, დაჩი რომ ნამუსიანი კაცი იყოს,

გაახსენდებოდა, რომ არც თავად არის პოლიტიკოსი, არც დედამისია პოლიტიკოსი და არც მეუღლე, ლიზი ჰყავს პოლიტიკურ საკითხებში გათვითცნობიერებული ვინმე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბესო შალიკაშვილის დამსახურებით მშვენივრად მოერგნენ პოლიტიკურ გარემოს და მსუყე ადგილებიც დაიკავეს, თანაც მომავალში კიდევ უფრო დაწინაურების პერსპექტივით. მაგრამ, რას იზამ, ასეთ უკუღმართ ქვეყანაში და საზოგადოებაში, უკეთესს, რას უნდა ელოდოს ადამიანი? ალბათ, არც არაფერს.

- ადამიანი ერთხელ იბადები და ერთხელ კვდები, ამიტომ, სანამ ხარ, დედამიწას შენი კვალი უნდა დაამჩნიო. - საკუთარი მოძღვრების ჩამოყალიბებას იწყებს დაჩი.

- არა, მეგობარო, ადამიანი ყოველ დღე იბადები, როცა დილით იღვიძებ და ყოველ ღამით კვდები, როცა იძინებს. ასე რომ, ჩვენი ასაკიდან გამომდინარე, აბა, დაიანგარიშე, მე და შენ რამდენჯერ დავბადებულვართ და მოვმკვდარვართ? - ღიმილით ამბობს თაზო.

დაჩი, ცხადია, ვერ წვდება თაზოს ნათქვამს და აშკარად აგდებით ეკითხება, - კარგი ახლა, თავი დავანებოთ მაგ სიკვდილ-სიცოცხლის თემას და შენ ეს მითხარი, რას შვრები, ისევ წერ რამეს?

- კი, ვწერ.

- ის თუ კითხულობს შენს წიგნებს?

- ვინ ის?

- ვინ და ის, გულში რომ გყავს.

- მე მივუტანე და წაიკითხავდა, აბა, რას იზამდა?

- არასწორად იქცევი, ძმაო, ქალს რა ფეხებად უნდა შენი წიგნები, მწერლობა ან პოეზია?

- აბა, რა უნდა?

- ქალს კაი ბიჭი უნდა, კაი წიგნი კი არა.

- მერე?

- რა მერე? ჩალიჩა უნდა იყო, უნდა მიდგე, მოდგე, ქალს ცხოვრების პერსპექტივა უნდა დაანახო, მაყუთი დაახარჯო, აგრიალო, იგრიალო მასთან ერთად, მანქანებით, პრესტიჟული სახლებით და სხვადასხვა ბრჭყვრილა ნივთებით თავბრუ უნდა დაახვიო. შენ კიდევ შენი დაწერილი წიგნები მიგიცია იმ ქალისთვის, ვინც გიყვარს. არ გეწყინოს და სულელივით იქცევი, ძმაო, სულელივით.

- რათა, კაცო, რათა?

- იმათა, რომ ქალთან წიგნებზე როგორ უნდა ილაპარაკო, ან რატომ უნდა ილაპარაკო, საერთოდ არ მესმის. დალოცვილო, სალაპარაკოს მეტი რა არის ამ ქვეყანაზე.

- კაცურად, ერთი ეს მითხარი, სანამ ლიზი შენ ცოლი გახდებოდა, რომ ნახულობდი, რაზე ლაპარაკობდით ხოლმე? - ღიმილით ეკითხება თაზო.

- რაზე ვლაპარაკობდით და მანქანებზე, სასახლეებზე, გემრიელ საჭმელებზე, პარიზში, ამსტერდამში, ბრიუსელში და ბერლინში მიღებულ შთაბეჭდილებებზე, რუსეთზე, კაი ბიჭებზე, ქურდული სამყაროს ავტორიტეტებზე, ჩემს ოჯახზე, მამაჩემზე და დედაჩემზე... - აქ დაჩი გაჩერდა და იხსენებდა, იმ პერიოდს, როცა ლიზი ჯერ კიდევ მისი შეყვარებული იყო, რაზე საუბრობდნენ და საერთოდ, რა საერთო ინტერესები ჰქონდათ.

- ახლაც მაგაზე ლაპარაკობთ ხოლმე?

- ახლა ლაპარაკი აღარ გვჭირდება, რადგან მე და ლიზი უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს.

ღიახ, ცოლ-ქმარი უსიტყვოდ უგებს ერთმანეთს და როგორ ან რატომ უნდა შეეკამათო გამარჯვების გზაზე შემდგარ კაცს? ნურავინ შეეცდება მასთან შეკამათებას ან რამის დამტკიცებას, რადგან ცხოვრება ისეთი ოხერი რამეა, ის თავად შეეკამათება მას და დაუმტკიცებს კიდევ, რომ ერთი არარაობათაგანია. მანამდე კი, ეს არარაობათაგანი მუდამ გამარჯვებულია და კიდევ უფრო ღიადი გამარჯვების მოლოდინით ცხოვრობს. რატომ? წაბილწულ ქვეყანაში, არამზადები უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს და იმიტომ. ასეა, არამზადა უკეთ ეწყობა გარემოს, თორემ იქ, სადაც არც ნიჭი, არც შრომისმოყვარეობა და არც პატიოსნება არ ფასდება, რა ხეირს უნდა ნახულობდეს თაზო? ცხადია, არანაირს.

პოლიტიკა, თურმე პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ, თაზომ კი წიგნების წერას თავი უნდა დაანებოს და დროა სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ასეთ რჩევას იძლევა ამ უკუდმართი ცხოვრებისგან განებივრებული არამზადა, მაგრამ თაზო ყურს არ უგდებს. აი, ახლაც ზის საწერ მაგიდასთან, წინ ფურცლები აქვს დაყრილი, ხელში საწერი კალამი უჭირავს და სანამ რამეს დაწერს, ფიქრობს: - ღმერთო, თუ მართლა არსებობ, ჩამოდი დაბლა, დააღაგე ეს ქვეყანა და დაამყარე წესრიგი, თორემ ისეთი უსამართლობები ხდება ამ ცოდვილ ცისქვეშეთში, რომ ადამიანს სიცოცხლის ხალისი დაეკარგება. ღმერთო, თუ არსებობ და დედამიწაზე რამე ძალაუფლებას ფლობ, დაეხმარე პატიოსან ადამიანებს, ნუ გარიყავ, ნუ გასწირავ და არამზადების საჯიჯგნად ნუ გაიმეტებ. ღიახ, პატიოსან ადამიანებს დაეხმარე, თორემ არამზადებს შენი დახმარება არ სჭირდებათ, რამეთუ ეს ცოდვილი დედამიწა სწორედ მათნაირებისთვისაა შექმნილი და ისინიც ისე გრძნობენ აქ თავს, როგორც თევზი წყალში.

გესმის, ღმერთო, გესმით?

ეჰ, მე კი გეუბნები, გთხოვ, მაგრამ, როდის იყო, შენ კაცისა გესმოდა.

შექმენი ადამიანი, შექმენი სამყარო და მიატოვე შენი ყველა ქმნილება.

ჰო, მიატოვე პატიოსანი ადამიანი და ეშმაკის მოციქულებს ჩაუბდე ხელში.

მე არ ვიცი, დედამიწის სხვა წერტილიდან როგორ ჩანს, მაგრამ ასე ჩანს აქედან, ჩემგან; შენ, ღმერთო ან არ ხარ, ან თუ ხარ, მიტოვებული გყავს ყველა და მხოლოდ შორიდან აკვირდები სამყაროს.

ამას ფიქრობს თაზო, ფიქრობს და შემდეგ წერს.

14

მართლაც, რა დაუნდობელია ცხოვრება. რომ გგონია, გაჭენებულ ცხენზე ზიხარ და ქვეყნიერება შენია, ისეთ დროს დაუცდება ფეხი შენს ბედაურს და ისეთ ბარიერს ვერ გადალახავს, რომ რბილად ვარდნისთვის შემზადებასაც ვერ მოასწრებ. განდიდებული კაცისთვის კი მიწაზე დაცემა-დანარცხება ძალიან მტკივნეულია, იმაზე უფრო მტკივნეული და აუტანელი, ვიდრე ცხოვრებაში უკვე მრავალჯერ დაცემულ-დანარცხებული ადამიანისთვის.

ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა ბესარიონ შალიკაშვილი თავის ოჯახთან ერთად ფრთების გასაშლელად ემზადებოდა, მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა, ანუ ძალიან დიდი უბედურება დაატყდათ თავს შალიკაშვილებს. თუმცა, ეს უბედურება თავისით, ბუნებრივი გზებით არ მოსულა მათთან, რადგან ყოველივე ამას ჰყავდა შემსრულებელი და ხელის შემწყობი.

ყველაფერი კი, ძველი მეგობრების ერთი ჩვეულებრივი შეხვედრით დაიწყო.

მაისის ერთ მშვენიერ დღეს, ბესო შალიკაშვილს იმ ახლადჩამოყალიბებული პარტიის ოფისში სიყრმის მეგობარი, დიმიტრი ბენდელიანი ესტუმრა. ისინი ათეული წლების წინ დაახლოებულან ერთმანეთს და დამეგობრებულან კიდევ.

მოკლედ, მისულა დიმიტრი ბესოსთან და უთქვამს, ბესოს ვენაცვალე, რამდენი ხანია არ მინახისხარ და წამო ერთი სდამე დავსხდეთ,

ახალგაზრდობა გავიხსენოთ, თან შენთან ერთი კარგი შეთავაზება მაქვსო.

საქმეებით დაკავებულ ბესოს, ცხადია, უთქვამს, ჩემო ძმაო, შენთან სადმე დაჯდომას და ქეიფს რა ჯობია, მაგრამ დღეს ნამდვილად არ მცალია, ამ პოლიტიკის გადამკიდეს თავის მოსაფხანი დრო აღარ დამრჩენიაო.

დღეს თუ არა, მაშ, როდის იყოსო? უკითხავს დიმიტრის და თან დაუმატებია, შაბათს მიუნხენში მივფრინავ და თუ მანამდე მოვახერხებთ შეხვედრას, ძალიან გამახარებო.

ამის შემდეგ ბესოს დიდი თავპატიჟი აღარ დაუწყია და უთქვამს, დღეს ორშაბათია, მოდი, ზეგ, ოთხშაბათს შევხვდეთ და დავსხდეთ სადმეო.

ძალიან კარგიო, გახარებია დიმიტრისაც და უზომოდ კმაყოფილს დაუტოვებია ბესარიონ შალიკაშვილი.

აჰა, მოვიდა ოთხშაბათიც, საღამოს საათებია, დიმიტრი და ბესო რესტორან „შარბათში“ სხედან. დიმიტრი იდიმის, ბესო კი, ცოტა არ იყოს გაოცებულია და ღვინით სავსე ჭიქას ზემოდან დაჰყურებს.

- მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, შენთვისაც, შენი ოჯახისთვისაც და ჩვენი ქვეყნისთვისაც, ასე აჯობებს ჩემო ბესარიონ. - ღმილით ამბობს დიმიტრი და თავის ჭიქაში ღიმონათს ისხამს.

- მართალი ხარ, ჩემო დიმიტრი, მე მგონი, მართლა ასე აჯობებს, დროა, გავეცალო ამ საშინელებას, თორემ, დავიღალე კაცი და სიმართლე გითხრა, საკუთარი თავი, ვიღაც ნაბიჭვარი რუსებისგან მართული თოჯინა-მარიონეტი მგონია. - გულახდილად ამბობს ბესო.

- და საერთოდ, რატომ დათანხმდი მაგ საქმეს, ძმაო, რატომ?

- ჩამითრიეს, ძმაო, ჩამითრიეს, თუმცა, სხვა არჩევანი არც მქონია.

- ?!

- იმიტომ დაუთანხმდი, რომ, ჯერ ერთი, უფრო მეტი პერსპექტივა გამჩენოდა, მინდოდა, და მეორეც, შენ დაჩის ამბავი ხომ იცი, რიაზანში რაც შეემთხვა?

- რა, ისეთი რა შეემთხვა? - გაოცებისგან ყბა აუკანკალდა დიმიტრის.

- უკვე დიდი ხნის ამბავია. დაჩი მაშინ ცხრამეტი წლის იყო. მოკლედ, დაჩის და მის რიაზანელმა ძმაკაცს, პავლე ვარლამოვს, ვიღაც რუსის ბიჭი შემოაკვდათ დისკოთეკაზე და ამისთვის იჭერდნენ. ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ვიქნებოდი. თამარი გაგიჟებას იყო, თავს იკლავდა. როგორია, ვიღუპებოდი კაცი, შეიღსა და ცოლს ვკარგავდი.

- მერე?

- მერე მოხდა ისე, რომ ჩემმა ძმაკაცმა, საშა პეტროვმა, რომელსაც შენც კარგად იცნობ, დამაკავშირა რუსეთის სპეცსამსახურებთან, იმათმა კი თავის მხრივ დახმარება აღმითქვეს, ოღონდ, ერთი პირობით...

აქ ბესო ჩერდება, ჭიქას იღებს და ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს თავისი ხალხით, სიმდიდრით, ჭუჭყითა და ტალახითო, ამბობს, თუმცა, დალევას ჯერ არ ჩქარობს.

- გაუმარჯოს, ჩემო ბესარიონ, ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას გაუმარჯოს, თუმცა, ჯერ იმის მოყოლა არ დაგიმთავრებია, დაჩიზე რომ ლაპარაკობდი.

- გეტყვი, აბა, რას ვიზამ, უბრალოდ, ახლა რაღაც მომაწვა გულზე და ამ სადღეგრძელოს დალევა მომინდა. - თქვა ბესომ და ჯერ ჭიქა გამოსცალა ბოლომდე, შემდეგ კი სიგარეტს ისე ხარბად მოუკიდა, კაცს ეგონებოდა, რამდენიმე დღეა არ მოუწევია და დანატრულებულიაო.

თავისი ჭიქა დიმიტრიმაც გამოსცალა და ბესოს ხელით ანიშნა, გააგრძელე მოყოლა, გისმენო.

- როგორც უკვე გითხარი, რუსეთის სპეცსამსახურები დამეხმარნენ დაჩის იმ საქმიდან სუფთად გამოყვანაში, ოღონდ გარკვეული პირობით, რომ მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება მათზე უნდა მემუშავა.

- ანუ პოლიტიკაში უნდა მოსულიყავი?

- ცხადია, პოლიტიკაში უნდა მოვსულიყავი, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლამდეც მათიანი უნდა ვყოფილიყავი, მათზე უნდა მემუშავა. მაძლევდნენ პატარა-პატარა დავალებებს და მეც ვასრულებდი, საქართველოდან ვაწვდიდი მათთვის საჭირო ინფორმაციებს.

- ჰოდა, მით უმეტეს, ჩემო ბესარიონ, დროა გამოტოპო მაგ ჭაობიდან და ადამიანურ ცხოვრებას დაუბრუნდე. ისე, ბედი მქონიაო, შენ უნდა თქვა, რადგან მოვედი შენთან იმიტომ, რომ ევროპაში გადმოსვლა, შენი პროფესიით მუშაობა და იქ დასახლება შემომეთავაზებინა, შენ კი, ისეთი რაღაცები მითხარი, რომ მართლა მიზეზი გქონია, მოშორდე ამ დაწყევლილ რუსულ პოლიტიკას და ისევ მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდე.

- ჰო, რა ვიცი, ვეცდები გამოვტოპო და თავი დავაღწიო ამ რუსულ ჭაობს, მაგრამ რა გამოვა, წინასწარ არ ვიცი, ვერ გეტყვი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ყველაფერი ძვირად დამიჯდეს.- თავი ჩაღუნა ბესომ.

- ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, შენ არ შედრკე და რაღაც დავალებებს რომ მოგცემენ, ნელ-ნელა ფეხი აითრიე, ისეთი სიბეჯითით და პატიოსნებით ნუღარ შეასრულებ იმ დავალებებს, რასაც იმ დასაწვავე რუსეთიდან მოგცემენ... ხომ გესმის, ბესო, გესმის, რასაც გეუბნები?

ესმის ბესოს, რომ რუსულ ყაიდაზე მოწყობილ ცხოვრებასა და სამშობლოს დალატს თავი უნდა დაანებოს, როგორ არ ესმის, მაგრამ იგივე ბესოს, ისიც კარგად ესმის, რომ რუსთა კლანჭებში მოხვედრილს, ძალიან გაუჭირდება უკან დახევა, თავის სუფთად შენახვა და საერთოდ, გადარჩენა. თუმცა, ბესო მაინც ეცდებოდა, ყველაფერს გააკეთებინა იმისთვის, რომ მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდეს, ისეთ ცხოვრებას, როცა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი თავადვე იქნება და არა რუსეთის

სპეცსამსახურების მიერ მოვლენილი ვიღაც ინსტრუქტორი. მით უმეტეს, ღმერთმა ოქროს კაცი, უფრო ზუსტად, სიყრმის მეგობარი დიმიტრი მოუვლინა, რომელმაც წლის ბოლოს, მიუნხენში სამუშაოდ გადასვლა და ოჯახიანად იქვე დასახლება შესთავაზა.

- ასეა, ჩემო ბესარიონ, მიმიფურთხებია რუსების მიერ დაკომპლექტებული, მაგ ვითომ ქართული პარლამენტისთვის და საერთოდ, მაგათი პოლიტიკისთვის. ამ წლის ბოლოს ჩამოხვალ შენს ლამაზ ოჯახთან ერთად ჩემთან, მიუნხენში, იქვე დაგაწყებინებ მუშაობას ყველაზე პრესტიჟულ კლინიკაში, თან შეგეძლება პარალელურად ლექციებიც იკითხო სტუდენტებისთვის. ჰოდა, შენც მეტი რაღა გინდა, იცხოვრე, იხარე და იბედნიერე შენს ლამაზ ცოლ-შვილთან, რძალთან და შვილიშვილთან ერთად.

- ოღონდ, მანამდე, რუსეთის სპეცსამსახურიდან წამოსულ ყველა დავალებაზე ფეხი უნდა ავითრიო. საარჩევნო კამპანიას კი თავის ნებაზე მივუშვებ და დიდად არც დავიტვირთავ თავს ან საერთოდ, შეიძლება მივიდე კიდევაც ცენტრში და ვუთხრა, რომ აღარ მინდა თქვენი პოლიტიკოს-პარლამენტარობა, დავიღალე, დავბერდი, ჯანმრთელობა გამიუარესდა, ვატყობ, უკვე ჯანი აღარ მაქვს და სხეული აღარ მემორჩილება - მეთქი. - თითქოს რიხიანად ამბობს ბესო, მაგრამ ხვდება, რომ ასეთი ქმედებით ძალიან გაუჭირდება თავის გადარჩენა.

ამგვარ ნოტაზე დაასრულეს სუფრა; დიმიტრიმ იმედიანად, ბესომ კი, ცოტა არ იყოს ნირწამხდარმა, თუმცა, საკუთარი ცხოვრების უკეთესობისკენ შებრუნების სურვილით ანთებულმა.

ისევ მოსკოვი, ისევ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობა, ისევ იატაკმოკრიალებული კაბინეტი და კედელზე ისევ პუტინის სურათი. მაგიდას ისევ სამნი უსხედან; კარგად ნაცნობი გენერალ-პოლკოვნიკი და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი პირი.

სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულებიდან ერთ-ერთი ის არის, ბესო შალიკაშვილთან და გენერალ-პოლკოვნიკთან ერთად რომ უჯდა ხოლმე ამ მრგვალ მაგიდას, მეორე კი, ამათთან შედარებით სრულიად ახალგაზრდაა, იქნება ასე ოცდაათ წლამდე.

- მაშ ასე, რაღაც ძალიან ცუდი ინფორმაციები მოგვდის თბილისიდან და ამიტომ გადავწყვიტეთ შევკრებილიყავით, - ნერვიული სახით ამბობს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი და ფეხზე დგება.

- ჰოდა, სანამ სიტუაცია სულ მთლად კონტროლიდან გამოვა, უნდა ვიმოქმედოთ, თორემ არჩევნებზე გვერდზე დაგვრჩება და მთლიანად საქართველოც. გასაგებია? - ამას გენერალ-პოლკოვნიკი ამბობს, მერე შუშის ბოთლიდან ბორჯომს ისხამს, ხარბად, სულმოუთქმელად სვამს და ახალგაზრდას ანიშნებს, შენც ხომ არ დაღევო?

- არა, არ მინდა, გმადლობთ, - ამბობს ახალგაზრდა და ჯიბიდან ჯერ სიგარეტის კოლოფს იღებს, შემდეგ იქიდან ერთ ღერს აძრობს და უკიდებს.

- სიმართლე გითხრათ, მაგ ქართველის გადმობირებას თავიდანვე ეჭვის თვალით ვუყურებდი, რაღაც ვგრძნობდი, რომ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, მაინც გვიღალატებდა. - ახლა უკვე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული იღებს სიგარეტს კოლოფიდან და ტრადიციულად, ისევ არ ჩქარობს მოკიდებას.

- უფრო კონკრეტულადაც შეგიძლია თქვა. - ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი და ბორჯომს კიდევ ერთხელ, ოღონდ ამჯერად ხელის კანკალით ისხამს და სვამს.

- მოგვივიდა ინფორმაცია, რომ ბესარიონ შალიკაშვილი რაღაც ძველებური შემართებით აღარ მუშაობს ჩვენზე, ინფორმაციებს ისე დეტალურად აღარ გვაწვდის, როგორც ადრე გვაწვდიდა. ღიად ჯერ არც ოჯახში ამბობს და არც საახლოებლო წრეში, თუმცა, ერთი-ორ ადგილას, მაინც დაუწუწუნია, აღარც პოლიტიკა მინდა და აღარც პარლამენტი, ევროპაში უნდა წავიდე და იქ დავსახლდეო. არადა, ჩვენი ძალიან ბევრი საიდუმლო იცის მაგ არამზადამ. ამიტომ ევროპაში მაგის გაშვება არანაირად არ შეიძლება. - კბილებიდან გამოსცრა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირმა.

- მაინც სად აპირებს წასვლას? - თვალები მოჭუტა გენერალ-პოლკოვნიკმა.

- გერმანიაში. - იყო სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირის პასუხი.

- როგორც ვატყობ, არა მარტო გერმანიაში, საერთოდ, მაგის თავისუფლად გაშვებაც არ შეიძლება. - ამას უკვე ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდა ამბობს.

- გასაგებია. აქედან დასკვნა; რაც მოხდა, იმას ვედარ შევცვლით, მთავარია მომავალში აღარ დაგუშვათ მსგავსი ლაფსუსები. - სკამიდან

ფეხზე დგება გენერალ-პოლკოვნიკი და მარჯვენა მუშტით მრგვალ მაგიდას ეყრდნობა, მარცხენა ხელს კი კიტელის ჯიბეში იდებს.

- უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მოხდა ის, რომ ბესარიონ შალიკაშვილი ნელ-ნელა ხელიდან გვეცლება. - სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ამჯერად უკვე უკიდებს სიგარეტს და სიამოვნებისგან თვალებდახუჭული აბოლებს.

- ბესარიონ შალიკაშვილი უკვე წარსულია, ჩვენ კი მომავალზე ფიქრი გვმართებს, თან მათემატიკური სიზუსტით უნდა ვიმოქმედოთ. - კიტელის ჯიბიდან მობილურს იღებს გენერალ-პოლკოვნიკი, საათს ნახულობს და მობილურს ისევ უკან, ჯიბეში აბრუნებს.

- მოქმედების დროა. - ამბობს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი და ჯერ თვალებს ახელს, შემდეგ ფეხზე დგება და ფანჯარასთან მიდის.

- თუ არ ვცდები, ბესარიონ შალიკაშვილი ხანდახან გულს უჩივის ხოლმე. - ინტერესდება გენერალ-პოლკოვნიკი.

- დიახ, ხანდახან გულს უჩივის, მაგრამ ექიმია, უვლის საკუთარ თავს და ჯერჯერობით სიკვდილი არ ემუქრება. - ამბობს ფანჯარასთან სახით მდგარი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი, და შემდეგ მაგიდასთან ბრუნდება.

- აჰა, ესე იგი, ჯერჯერობით სიკვდილი არ ემუქრება?! ჰოდა, ჩვენ შეგვიძლია დავაჩქაროთ მისი სიკვდილი. მე მგონი, ამის დრო დადგა. - რაღაც ზეციური სიმშვიდით ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი და ჭერში იყურება. მერე კიტელიდან ისევ მობილურს იღებს და ისევ საათს ნახულობს.

- თან, არ დაგვავიწყდეს, რომ ბესარიონ შალიკაშვილს ძალიან უყვარს ქეიფი და დროსტარება, რაც გაგვიადვილებს ჩვენი ჩანაფიქრის შესრულებას. - ისევ თავის სკამზე ჯდება სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი.

- ამიტომ, ბესარიონ შალიკაშვილის ღვინოში, ჩაიში, ყავაში, ლიმონათში, მინერალურ წყალში თუ უბრალოდ წყალში უნდა შეერიოს ის სითხე, რაც მის გულით სიკვდილს დააჩქარებს. - ამასაც ზეციური სიმშვიდით ამბობს მრავლისმნახველი გენერალ-პოლკოვნიკი.

- ბრძანება მიღებულია. დღესვე დაუუკავშირდებით იქაურ ცენტრს ან თუ საჭირო გახდა, თავადვე ჩავფრინდები თბილისში და მაქსიმუმ ერთ კვირაში ჩვენი სამოქმედო გეგმა შესრულებული იქნება. - ისევ ფეხზე დგება სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირი.

- ჰო, რაც მთავარია, თუ თბილისში ჩასვლა გახდა საჭირო, შენც წაჰყვები. - ოცდაათ წლამდე ასაკის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ პირს დავალებას აძლევს გენერალ-პოლკოვნიკი და ჯიბიდან ისევ მობილურს იღებს, ისევ საათს ნახულობს და ისევ, რაღაც ზეციური სიმშვიდით ამბობს, - როგორც ვატყობ, ძალიან მცირე დრო დარჩა

ბესარიონ შალიკაშვილს ამ ცხოვრებისგან სიამოვნების მისაღებად, ძალიან ცოტა. დღეს არის კაცი, მაგრამ მალე აღარ იქნება, თუმცა, ღმერთო ჩემო, ჩვენი რა ბრალია, თავად ისურვა ამ გზაზე დადგომა, გვიღალატა და ამიტომ, მიიღებს კიდევ საკადრის პასუხს.

16

- დაჩი, შვილო, მალე ბესო პარლამენტის წევრი გახდება, მერე შენც რამე თანამდებობაზე გაგქაჩავს და დიდი კაცი იქნები, ცოტა ხანში ლიზისაც დააწინაურებინებს, მეც სადმე, კარგ ადგილას მომაწყობს და ამიტომ, აღარ შეგშვენის თაზოსნაირებთან ურთიერთობა, თავს ნულარ გაუყადრებ და მასთან მეგობრობიდან ნელ-ნელა გამოტოპე. - დედაშვილურ რჩევა-დარიგებას აძლევს შვილს მორწმუნე თამარი.

- არა, აღარც ვნახულობ, უკვე ორი თვე იქნება, თაზო არ მინახავს. - თვალეგაბრწყინებული ამბობს დაჩი და დიდი კაცის იერს იღებს.

- კარგადაც მოქცეულხარ, რა შენი დონის ეგ არის. ხომ ხედავ, ერთი ხელმოცარული ბიჭია. წეროს, ჯღაბნოს რაც უნდა, ოღონდ შენ მაგასთან ურთიერთობა გაწყვიტე. შენ ახლა უკვე სხვა, უფრო წარმატებული სამეგობრო შეგეფერება, ძლიერი ოჯახებითა და თავბრუდამხვევი კარიერის მქონე ადამიანებით.

- პეტრო?

- იცი, რა არის? პეტრო კი არის ჩვენიანი, შენი ძმაკაცია, ლუკას ნათლიაა, მართლმადიდებელია, შვილივით მიყვარს და მის ოჯახთან ვახლობლობთ კიდევ, მაგრამ, მაინც აღარ გვიღირს მასთან ძალიან ჩახუტებული ურთიერთობა.

- რატომ? - დედის ნათქვამით გაოცებულია დაჩი.

- პეტრო ძალიან ჭკვიანი და განათლებული ბიჭია, თან ამავე დროს, ცოტა ეშმაკიც. ჰოდა, პარტიაში, სადაც შენ წამყვანი პოზიციისთვის უნდა შეგამზადოს ბესომ, ეგეც აქტიურობს, ამიტომ, კარგად დაფიქრდი, შვილო, პეტრო, შეიძლება შენი კონკურენტი გახდეს, თანაც ძალიან მაღე. გესმის, რას გეუბნები? მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ, როცა საქმე პირად ცხოვრებასა და კარიერას ეხება, აქ უკვე ძმაკაცობა მეთასე ხარისხოვანი ხდება და ყველა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იბრძვის. ასე რომ, ფხიზლად უნდა ვიყოთ.

პეტრო დაჩისთვის, მეგობრის გარდა, მეჯვარეც რომ არის, თამარს ყოველივე ეს განა არ ახსოვს, მშვენივრად ახსოვს, მაგრამ ამის გახსენება უკვე აღარ აწყობს. მართლმადიდებელს, მაგრამ აშკარად ამქვეყნიურ თამარს, ცხოვრებამ უკარნახა, რომ ახლა, ამ ეტაპზე მეჯვარეობა აღარ უნდა ახსოვდეს.

* * *

ზაფხულის მეორე თვეს სიცხე თბილისში რა გასაკვირია? ივლისის დაუნდობელი მზე სხივებად იღვრება და იწვის, დუღს საქართველოს დედაქალაქი, თუმცა, ოდითგანვე, ქართველი კაცისთვის ამინდს ხელი არაფერში შეუშლია და ქვიფში, მით უმეტეს, როგორ შეუშლის?

თუ გული გულობს და მიზეზიც არის, ამინდი ვერანაირად ხელს ვერ შეუშლის ქართველ კაცს დროის გასატარებლად.

აი, ახლაც, თბილისთან ახლოს ტირიფებში ჩადგმულ რესტორან „ფაცხაში“ სხედან წარმატებული ქართველები და ერთ-ერთი თანამეინახის შვილის გაქრისტიანებას აღნიშნავენ. სუფრასთან დაახლოებით ორმოცდაათი კაცი ზის, მათ შორის, არიან რუსეთიდან მოწვეული სტუმრებიც, უფრო ზუსტად, ნათლულის მამის მეგობრები. რა პროფესიის ხალხია? ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, უბრალოდ, ჩვენი დროის წარმატებული რუსები არიან, ისეთი რუსები, ქართველები პირადი გამორჩენის მიზნით მეგობრებად, შვილების ნათლიებად ან უბრალოდ, ოჯახის ახლობლებად რომ ირჩევენ ხოლმე.

ამჯერად, რუსეთიდან ჩამოსული ერთ-ერთი სტუმარი ჩვენებური ბავშვის ნათლია ხდება, ანუ საფუძველი ეყრება რუსი და ქართველი ხალხის კიდევ ერთ ნათელ-მირონობას, დაახლოებას, ფაქტობრივად, ერთ ოჯახად გადაქცევას. სუფრასთან მსხდომთაგან პოლიტიკურად თანამოაზრენი სჭარბობენ, ისეთები, რომელთაც საქართველოს ნათელი მომავალი მხოლოდ მისი ერთმორწმუნე ძმის, რუსეთის ფრთებქვეშ წარმოუდგენიათ. თამადა ბესარიონ შალიკაშვილია, რუსეთში დიდი ხნით ნაცხოვრები და რუსებთან ოჯახით დაახლოებულ-გათქვეფილი კაცი.

რაც მთავარია, უკვე ის დროა, ბესარიონ შალიკაშვილი რუსული მარწუხებიდან გამოსვლას და ევროპისკენ გზის გაჭრას რომ ლამობს. თუმცა, საჯაროდ ამას ჯერ არ ამუღავნებს, ის კი არა, ოჯახშიც არავის ეუბნება. ახლობლებიდან მხოლოდ რამდენიმე სანდო კაცთან აქვს ნათქვამი, რომ დაიდალა რუსებზე დამოკიდებულებით და სურს, საკუთარი თავი უფრო განვითარებულ ევროპაში გამოსცადოს.

თუმცა, პოლიტიკურად რუსული მარწუხებიდან გამოსვლა, მაინც მომავლის საქმეა, დღეს კი ბესარიონ შალიკაშვილი თამადაა, იმ სუფრის თამადა, სადაც ერთი პატარა ქართველი ინათლება, ნათლია რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოსული წარმატებული რუსია. ბესოს გვერდს ვარსკვლავით მოკაშკაშე თამარი უმშვენებს.

- ბესარიონ, ხომ იცი, რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები მეყოლება და ამიტომ, რუსულად უნდა ითამადაო. აბა, შენ იცი, ძმაო. იმედია, მასახელებ. - ქეიფის წინა დღეს ეუბნება ბესოს, მოსანათლად გამზადებული ოთიკოს მამა.

- დარდი ნუ გექნება, კახაბერ, ძმაო, ისეთ ამბებს დავატრიალებ სუფრასთან, რომ მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდება და არასოდეს დაგავიწყდება. - ამშვიდებს ოთიკოს მამას ბესარიონი.

მოკლედ, საქმე გაჩარხულია, საუცხოო რუსულით მოლაპარაკე და რუსულადვე მოაზროვნე თამადა მონახულია.

... და რაღა დარჩა? მეტი არაფერი, იხარეთ და იბედნიერეთ სტუმარ-მასპინძლებო, მოინათლეთ, ჭამეთ, სვით, იცინეთ, იმხიარულეთ, იმღერეთ, იცეკვეთ, მოეფერეთ ერთმანეთს... ეჰ, სხვა რა დაგრჩენიათ, წამია წუთისოფელი, კაცი ცოცხალი ხარ და წამში, შეიძლება აღარ იყო.

მიზეზი? კაცი ხან ბუნებრივი სიკვდილით კვდება, ხან მის სიკვდილში ვინმეა დამნაშავე.

მაგალითად, ბესარიონ შალიკაშვილი ფეხზე იდგა, როცა რუსი და ქართველი ხალხის ძმობის სადღეგრძელოს ამბობდა... ამბობდა განსხვავებული სასმისით ხელში, მოზრდილი გოგრისხელა ვაზით... და ამ დროს, წამით შეჩერდა, თითქოს ხმა ჩაუწყდა, მარჯვნივ გადაქანდა, მაგრამ თავი შეიკავა, რომ არ წაქცეულიყო... ცივი

ოფლით სახედაცვარულმა მოზრდილი გოგრისხელა ვაზა მაგიდაზე დადგა და აკანკალებული მარჯვენა ხელი შუბლამდე ძლივს აიტანა, ოფლი ჩამოიწმინდა, მარცხენა ხელი კი გულის მხარეს მკერდზე მიიღო.

გაირინდა ბესო, უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ხმას ვეღარ იღებდა... მერე, როგორღაც ჩაის ჭიქა აიღო, ტუჩებთან მიიტანა და მოსვა, მაგრამ ერთი ყლუპის მეტი აღარ იყო იქ დარჩენილი.

- რა არის, ბესო, რა ხდება, ცუდად ხომ არ ხარ? - ამის თქმა მოასწრო თამარმა, რომელიც ბესოს გვერდით იჯდა.

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც ბესომ თავისი ღამაში მეუღლისგან გაიგო... გაიგო, მაგრამ ხმა ვეღარ ამოიღო, პასუხი ვერ გასცა. მერე ბესომ თამარს თავი დაუქნია, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა ან ანიშნებდა, ცუდად ვარო, ოდნავ გაიღიმა, შებარბაცდა და მაგიდაზე პირქვე დაემხო.

ბესარიონ შალიკაშვილი ისე გულმხურვალედ დაიტირეს, როგორ გულმხურვალედაც მხოლოდ საქართველოში ტირიან ხოლმე, მერე ისეთი პატივით დაასაფლავეს, როგორი პატივითაც მხოლოდ საქართველოში ასაფლავენ ხოლმე, ბოლოს კი, ისე სწრაფად დაივიწყეს მისი სახელი, როგორ სწრაფადაც მხოლოდ საქართველოში ივიწყებენ ხოლმე.

აჰა, ჯერ ორი თვეც არ არის გასული კაცის გარდაცვალებიდან და საქვეყნოდ ცნობილი ქირურგის სახელი საკუთარი ოჯახის წევრების გარდა აღარავის ახსოვს, თითქმის აღარავის. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ აღარავის სჭირდება ბესარიონ შალიკაშვილი. როცა სჭირდებოდათ, კი, ბატონო, მაშინ სულ თავს ევლებოდნენ მას და მის

ოჯახს. ახლა კი, შეირყა, გაცივდა, გაცვდა ყველანაირი ურთიერთობები, რაც მეგობრებსა თუ უბრალოდ, ნაცნობებს ბესარიონ შალიკაშვილის ოჯახთან აკავშირებდათ.

წავიდა ამ ქვეყნიდან ბესარიონ შალიკაშვილი, მის ადგილზე დარჩა მხოლოდ საფლავის ქვა და ლამის ხევში გადასახეხად გამზადებული მისი ოჯახი.

საერთოდ, ძნელია, როცა ოჯახის უფროსი მიდის ამ ქვეყნიდან, მაგრამ ტრაგედიაა, როცა ოჯახის მარჩენალი და დიდი ადამიანი ტოვებს წუთისოფელს.

ბესარიონ შალიკაშვილის ოჯახის წევრებსაც ცხოვრებისეული ტრაგედია ზუსტად მაშინ დაატყდათ თავს, როცა მარჩენალი მოაკლდათ. კარგ ცხოვრებას შეჩვეულებმა თავიდან ვერ აუღეს აღლო მწარე რეალობას, მაგრამ დაუნდობელმა ცხოვრებამ სულ მალე, ერთი კუდის მოქნევით დაანახა მათ, რომ ადამიანი აღმართზე დიდ ღოდს კი არა, პატარა კენჭსაც ვერ აიტანს, თუ ამ საქმეში გამოცდილი და დაოსტატებული არ არის. ბესარიონ შალიკაშვილის ოჯახს კი მართლაც უდიდესი ღოდი ჰქონდა ციცაბო კლდეზე ასატანი.

ჯერ რაც გააჩნდათ, ყველაფრის გაყიდვა დაიწყო, რათა საარსებო საშუალება ჰქონოდათ, მაგრამ ულავი ამ ქვეყანაზე არაფერია და ცხადია, არც ბესარიონ შალიკაშვილს ჰქონია იმდენი ქონება დაგროვილი, რომ მის ოჯახს უზრუნველი ცხოვრება მოეწყო.

გათავდა ყველაფერი, გასაყიდიც აღარაფერი დარჩა, თითქმის აღარაფერი, შემოსავალი კი საჭიროა.

რა ქნან? როგორ მოიქცნენ?

ლიზის ის ოხერი რუსული კულტურის ცენტრიც სასწრაფოდ დაატოვებინეს, თან მოურიდებლად განუცხადეს კიდევ, ჩვენ აქ ბესარიონ შალიკაშვილის გამო გაჩერებით, თორემ ახლა, როცა ის კაცი ცოცხალი აღარ არის, თქვენს ადგილს ჩვენს წარმატებულ კოლექტივში ნამდვილად ვეღარ ვხედავთო.

კი, მაგრამ, რატომ ვეღარ ხედავთ თქვენს კოლექტივში ჩემს ადგილსო? დაინტერესებულა ლიზი და საკმაოდ დამამცირებელი პასუხიც მიუღია. უმადლესი სასწავლებლის დიპლომი კი გაქვთ, ქალბატონო ლიზი, მაგრამ, ამ ქვეყანაზე მარტო დიპლომი არაფერს ნიშნავს, რადგან თქვენი განათლების დონე აშკარად არ გვაკმაყოფილებსო.

გასაგებია, ყველაფერი გასაგებია, ესე იგი, გამოდის, რომ ბესარიონ შალიკაშვილის სიცოცხლეში, რუსული კულტურის ცენტრის დამფუძნებლებს ლიზის განათლება კი არა, ლიზის მამამთილის ავტორიტეტი აკმაყოფილებდათ და ამიტომაც აჩერებდნენ თავისთან მის რძალს. მაგრამ მოკვდა ბესო და ლიზის განათლებაც ეჭვქვეშ დადგა.

ტიპიური რუსულ-ქართული სურათია, ღმერთმანი.

ახლა სად წავიდეს ლიზი? თავის ძველ ადგილას დაბრუნდეს, იმ სატვირთო გადაზიდვების ოფისში? თუ სხვა გამოსავალი არ არის, ცხადია, უნდა დაბრუნდეს, მაგრამ იქაც, იმ რუსული კულტურის ცენტრისა არ იყოს, ბესო შალიკაშვილის ავტორიტეტის გამო ჰყავდათ ლიზი შეფარებული. ხოლო ახლა, როცა ბესო ცოცხალი აღარ არის, იქ ლიზისნაირი უნიჭო მენეჯერები აღარა-ვის სჭირდება. აბა, რა ქნას, ექიმად წავიდეს? სამწუხაროდ, ვერ წავა, მეტიც, სასაცილოა მისი ექიმობა, რადგან საკუთარი პროფესიით მას ერთი დღეც არ უმუშავია, თავად ბესო შალიკაშვილის ზეობის ხანაშიც კი.

ჭკვიანი კაცი იყო ბესო შალიკაშვილი, მან მშვენივრად იცოდა, რომ ლიზი ექიმად ვერასდროს ვერ იმუშავებდა, ამ პროფესიაში არ გამოდგებოდა და ისიც უფრო სხვა, შედარებით ნაკლებად პასუხისმგებლობიან სამსახურს ეძებდა მისთვის. აკი გამოუნახა კიდევ ასეთი სამსახური და თან პატრონობდა მას. მაგრამ მოკვდა ბესო და ლიზის საქმეებმაც უკუსვლა იწყეს. ისე, ერთიც არის გასათვალისწინებელი; რუსულ კულტურის ცენტრში დიდქალობას, ანუ დირექტორობას შეჩვეულ ლიზის დაბალ საფეხურზე დაშვება აღარ სურდა. მიეჩვია ქალი თანამდებობაზე ყოფნას და იმიტომ.

მოკლედ, ლიზის დაბლა დაშვება არ სურდა, მაღლა ასაფრენად კი ძალა არ ჰყოფნიდა.

თამარს რაც შეეხება, ლიზისი არ იყოს, არც მას უმუშავია არასდროს საკუთარი პროფესიით, ანუ ექიმად, ახალგაზრდობაში შვილს ზრდიდა, ასაკი მოემატა და უკვე შვილიშვილთან ჩახუტება და თამაში ერჩინა მთელ ქვეყანას. თან თამარს რომ ემუშავა და წელებზე ფეხი დაედგა, ამის აუცილებლობაც არ იყო, რადგან ბესარიონ შალიკაშვილის მსუყე შემოსავალი ოჯახს ყველანაირად ჰყოფნიდა.

ჰო, იმ ახლადდაფუძნებული პრორუსული პარტიის აღმასრულებელი მდივნობა? რა გასაკვირია, რომ სახელოვანი მეუღლის გარდაცვალებამ თამარი პარტიულ-პოლიტიკურ ცხოვრებასაც ჩამოაშორა, ოღონდ არა საკუთარი ნებით, არამედ, დაიბარეს იქ, ზემოთ, სადღაც რუსულ ცენტრში და უნდა დავემშვიდობოთ ერთმანეთსო, უთხრეს.

ჰოდა, ასე დაემშვიდობა თამარი პოლიტიკასა და დიდ კარიერაზე ოცნებას, დაემშვიდობა და დარჩა უპერსპექტივოდ, რის შედეგადაც, დაჯდა სახლში.

მოკლედ, ლიზი და თამარი უკვე სახლში სხედან და გულზე სკდებიან.

აი, დაჩი კი, როგორც მას სჩვევია, დადის დაბოლილი და გონებით ვარდისფერ ღრუბლებში დაფრინავს. თუმცა, მისთვის უკვე სულ ერთი აღარ არის გარშემო რა ხდება, ვინ მოვა ან ვინ წავა. სანამ სახელოვანი მამა ჰყავდა, თავს ყინჩად გრძნობდა და ყველგან დაფასებული იყო, დღეს კი აღარავის სჭირდება დაჩი, არც აქამდე

სჭირდებოდათ, უბრალოდ, სახელოვანი მამის გამო თუ აფასებდნენ და გვერდით იჯენდნენ მას.

მამის სიკვდილის შემდეგ, დადის თვალეზიანი დაჩი და იმ ადამიანთა სახეებს აკვირდება გულდასმით, ადრე, მამამისის ხატრით, მისთვის რომ მხოლოდ სიტბოს იმეტებდნენ, დღეს კი, გულსაკლავად რომ გაციებულან... აკვირდება დაჩი მათ თვალებს, მაგრამ ვერ მიმხვდარა, ვერ გაუგია, ნეტავ, რატომ შეიცვალა ეს ხალხი? რატომ გაცივდა მათი სახეები? განა ვინმეს რამე დაუშავა?

ვერაფერი ვერ გაუგია დაჩის, ამიტომ დადის და თავის აკვიატებულ სიტყვებს იმეორებს - ვაააა, მართლა ამ ცხოვრების დედა, რააააა, ექიმი კაცი ასე უნდა დავდიოდე?

ექიმი კაციო, ექიმიო, და თან კაციო.

უსამართლოსთან ერთად, ხანდახან სასაცილოც არის ეს ცხოვრება.

ასე თუ ისე, ავად თუ კარგად, დიდი ფიქრისა და სჯა-ბაასის შემდეგ შალიკაშვილების ოჯახი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამშობლოში მათ აღარ დაედგომებოდათ და ბედის საძიებლად სადმე შორს უნდა გადახვეწილიყვნენ. მაგრამ, როგორ? რანაირად? ან რომელ ქვეყანაში და რა სახსრებით? რუსეთი თავიდანვე გამოირიცხა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბესარიონ შალიკაშვილის გარეშე, საქართველოსი არ იყოს, მწვანე შუქს იქაც არავინ აუნთებდა მის დაობლებულ ოჯახს, და მეორეც, წლების წინ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის გამო, დაჩისთვის სულაც არ იქნებოდა უსაფრთხო რუსეთში ჩასვლა და დამკვიდრება. მოკლედ, რუსეთგამორიცხულებმა არჩევანი ამერიკის შეერთებულ შტატებზე შეაჩერეს. რატომ, მაინც და მაინც, ამერიკა? იმიტომ, რომ ამერიკა, თურმე ბედნიერების ოაზისია, იქ ვინც ჩავიდა, ყველა წარმატებით დასახლდა და ყველამ თავისი ადგილი იპოვა ცხოვრებაში, თანაც, ამერიკაში ბევრი ქართველი ცხოვრობს და არ გაჭირდება დამკვიდრება. ბოლოს ხუმრობით თუ ნახევრადხუმრობით, ისიც თქვეს, რომ თურმე ამერიკაში არის რაღაცა ჯიშის ხეები, რომლებიც საშობაოდ დოლარებს ისხამენ, მაგალითად, მივა ხესთან საქართველოსნაირი წყალწადებული ქვეყნიდან ჩასული ვინმე ემიგრანტი, მოწყვეტს რამდენ დოლარსაც უნდა, იმდენს და, არავინ გაუბრაზდება, არავინ დაუშლის. როგორია? მშვენიერია, მოკლედ, სამოთხე ყოფილა ეგ ამერიკა, მიწიერი სამოთხე, სადაც ხეებიც კი დოლარებს ისხამენ. ჰოდა, გაჭირვებული ქვეყნიდან ემიგრაციაში გაქცეულ ადამიანსაც მეტი რაღა უნდა? არც არაფერი, დადგეს საშობაო ხის დაბლა და კრიფოს და კრიფოს დოლარები, მით უმეტეს, თუ არც არავინ გაუბრაზდება და არც არავინ დაუშლის. თუმცა, ერთიცაა გასათვალისწინებელი, რომ ის ხეები, საშობაოდ რომ დოლარებს ისხამენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ იზრდება და მათი მონახვა ძალიან ძნელი საქმე ყოფილა. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა

ქვეყნებიდან ჩასულ ემიგრანტებს ხან უმართლებთ, ხან - არა, ზოგი პოულობს დოლარებგამოსხმულ საშობაო ხეებს, ზოგიც - ვერა.

თამარს კი დიდი იმედი აქვს, უფრო ზუსტად, ღმერთის იმედი აქვს, რომ სამყაროს შემოქმედი მართლმადიდებლური ტრადიციებით თავმომწონე ოჯახს კათოლიკების ქვეყანაში არ გაწირავს, ხელს მოუმართავს და დოლარების ხესთან მიიყვანს.

მორჩა, ამ საქმეს წყალი აღარ გაუვა, გადაწყვეტილება მიღებულია, შალიკაშვილების ოჯახი ამერიკაში უნდა გადაიხვეწოს და დამკვიდრდეს, ოღონდ ჯერ დაჩი და ლიზი წავლენ, მიდგებიან, მოდგებიან, შეეგუებიან იქაურ გარემოს, მერე რაღაც საქმეს გამონახავენ, წლის ბოლოსთვის, ანუ კათოლიკეთა შობის დღესასწაულისთვის კი, ალბათ იმ ხესაც იპოვნიან, დოლარებს რომ ისხამს და გაჭირვებული ქვეყნებიდან ჩასულ ადამიანებს რომ აბედნიერებს.

ძალიანაც კარგი, როგორც ჩანს, ამერიკაში დამკვიდრების გეგმა შემუშავებულია, მაგრამ ოცნების ოახისადწოდებულ ქვეყანაში ჩასვლას და სანამ დოლარების ხეს იპოვი, მანამდე თავის გატანას, საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება. ჰოდა, სად არის ეს თანხები? შალიკაშვილების ოჯახს ნამდვილად აღარ აქვს, რადგან, რა ქონებაც ჰქონდათ, ყველაფერი მიაყიდეს, ხოლო რა თანხებიც გააჩნდათ, ყველაფერი დახარჯეს, რათა აქამდე მოეღწიათ.

რა ქნან, როგორ მოიქცნენ, ვის გამოართვან საჭირო თანხა, როცა გარშემო ყველა ახლობელი თუ უბრალოდ ნაცნობიც კი შემოეფანტათ? პეტროს? არა, არ გამოვა ეგ საქმე, რადგან, მას შემდეგ, რაც პეტროვების ოჯახისგან თავი შორს დაიჭირეს, პეტრო აღარ უნახავთ. თანაც საშა და ლარისა ისევ რუსეთში დაბრუნებულან და აქ მხოლოდ პეტროა დარჩენილი.

- არა, პეტროსთან ვერ მივალთ, ვერა... და საერთოდ, ძალიან უმადურად გამოგვივიდა მაგ ოჯახთან. რა ვიცი, რა ჭირი დაგვეტაკა, რატომ მოვიქეცით ასე? რომ არ გაგვეწვიტა კავშირი, ხომ დაგვიდგებოდნენ გვერდით? - ნანობს თამარი და პეტროვების ოჯახთან კავშირის გაწყვეტას ვის აბრალებს, კაცმა არ იცის. არადა, თავად არის ამაში დამნაშავე..

- აბა, რა ვქნათ? სად ვიშოვოთ ამდენი ფული? - ოხრავს ლიზი.

- გამოუვალ მდგომარეობაში ვართ, რადგან ამერიკის ვიზას, თანაც ცოლ-ქმარს, ასე იოლად არავინ მოგვცემს, ხოლო მექსიკიდან გადასვლას, მანამდე იქ ჩასვლას, მერე ამერიკაში დაბინავებას, ადვოკატებს, საბუთების გაკეთებას და კიდევ ბევრ რამეს, დიდი თანხები სჭირდება.. - უიმედობამ შეიპყრო დაჩი.

მოკლედ, არ არის თანხები, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობსო, ხომ გაგიგიათ? თურმე, ხანდახან მართლა არ არსებობს,

რადგან საჭირო თანხების მოძიებით გულჩათხრობილ თამარს უცებ გონება გაუნათდა და, ვიცი, რაც უნდა ვქნათო, სავარძლიდან ფეხზე წამომდგარმა წამოიძახა მან.

- რა უნდა ვქნათ? - იმედი მიეცა დაჩის.

- ეფენდი და აბულა კარგი ხალხია, ხომ გახსოვთ, ბესოს პანაშვიდზეც იყვნენ. გასაგებია, ეფენდი თურქია, აბულა კი არაბი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ძალიან კარგი ხალხია, უყვართ ქართველები, ქართულადაც ლაპარაკობენ და ბესოსაც ძალიან დიდ პატივს სცემდნენ.

- მერე, ჩვენ რა უნდა ვქნათ? - მოთმინება დაელია დაჩის.

- ეგენი საკმაოდ სერიოზული ბიზნესმენები არიან, რამდენიმე სასტუმრო აქვთ საქართველოში. ამიტომ, უნდა მივიდეთ მათთან და ვთხოვოთ, უფრო ზუსტად, ვესესხოთ ფული, რათა შენ და ლიზი წახვიდეთ ამერიკაში. გასაგებია? - მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი სათქმელი თამარმა.

ეს უკვე სხვა საქმეა, რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად პატარა სხივი გამოჩნდა, ახლა მთავარია, ქართველები მივიდნენ ქართველთმოყვარე თურქ და არაბ ბიზნესმენებთან და მეგობრულად, ახლობლურად საკმაოდ სერიოზული თანხა გამოართვან, ოღონდ სესხებით.

მივლენ, რატომაც არ მივლენ?

თამარი, დაჩი და ლიზი დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე თურქისა და არაბის კეთილმოწყობილ ოფისში აუცილებლად მივლენ, მერე თამარი მუხლებში ჩაუვარდება მათ და შეახსენებს, რომ ბესოს ძალიან უყვარდა ისინი. ეფენდი და აბულაც უარს არ ეტყვიან ხელგაწვდილ ქართველებს და სამოცდაათი ათას დოლარს სულ ღიმილითა და ოქროს კბილების კრაჭუნით ჩაახუტებენ.

გიხაროდეს ქართველო, საკუთარ სამშობლოში ხელგაწვდილი შენი თანამემამულეები თურქთან და არაბთან სამათხოვროდ მიდიან, რათა ამ ქვეყნიდან კიდევ ერთხელ გადაიხვეწნონ... მაგრამ, სად არის ამ დროს რუსი? რუსი უარყოფილია, თუმცა, ჯერჯერობით უარყოფილი, რადგან რუსი, მაინც რუსია, მართლმადიდებელია და ის უეტყველი გამოჩნდება სცენაზე, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი ტკბობის დროა, დიდი ბედნიერების მოლოდინით გარინდების დროა.

- ქაბათონო თამარ, ჩვენ ბესო ზალიან გიყვარდა. - თვალცრემლიანი ამბობს ეფენდი.

- ვიცით, ბატონო ეფენდი, ვიცით და ამიტომაც მოვედით თქვენთან სათხოვნელად. გვერიდებოდა, მაგრამ, მაინც გადავწყვიტეთ მოსვლა. - მორიდებით, მორცხვად ამბობს თამარი.

- სხვა გზა აღარ გვაქვს და ამიტომ გადავწყვიტეთ თქვენი შეწყობა. - თამარს არც ლიზი ჩამორჩა.

- ბატონო ეფენდი და ბატონო აბულა, დღეს თქვენ კაცურად მიდგებით გვერდში? წავალ ამერიკაში, წელში გავიმართები და მერე მე დაგიდგებით გვერდში. ამ ვალს კი რვა თვეში გადაგიხდით. - ეს უკვე დაჩია.

- ალაჰს ვფიცავარ, არაფერს არ გინდა მე და ეფენდის, მართო იმას თხოვთ, რვა თვეში ეს ფული უქან მოგვეცით. - მოწყალე სახე მიიღო აბულამ.

- წავიდეთ და ნოტარიუსულად დავადასტუროთ, რომ ჩვენ თქვენ რვა თვის შემდეგ სამოცდაათი ათასი დოლარი უნდა დაგიბრუნოთ, წავიდეთ ახლავე, წავიდეთ. - ფეხზე დგება თამარი.

- რათ გინდა ნოტარიუსი, ისედაც გენდობით, ქაბათონო თამარ. ალაჰს ვფიცავარ, გენდობით - ხელებს შლის ეფენდი.

- გვინდა, როგორ არ გვინდა, წავიდეთ, ახლავე წავიდეთ, ჩვენ სიტყვის ხალხი ვართ, არსად დავიმალებით, მაგრამ ნოტარიუსულად მაინც დავამოწმეთ, რომ თქვენი ვალი გვაქვს. - ამაყად ამბობს თამარი და კარისკენ მიდის. დანარჩენებიც დგებიან ფეხზე და მიდიან, მიდიან ნოტარიუსში, რათა დაადასტურონ, რომ საქართველოში დარჩენილმა თამარ მამასახლისმა ეფენდისა და აბულას რვა თვის შემდეგ, ანუ ამა და ამ დღეს სამოცდაათი ათასი დოლარი უნდა დაუბრუნოს.

- დაუბრუნებს?

რატომაც არ დაუბრუნებს, როცა მისი შვილი და რძალი ამერიკაში მიდიან, იქ, სადაც ბედნიერების ოაზისია და რაც მთავარია, თურმე იქ ისეთი ხეები იზრდება, კათოლიკეთა შობა დღეს, დოლარებს რომ ისხამენ

ჰოდა, ასეთ დროს, რა პრობლემაა, პატიოსანმა ადამიანმა თავი არ შეირცხვინოს, სიტყვა არ გატეხოს და მევალებს ვალი დაუბრუნოს?

არანაირი პრობლემა არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ დაჩიო კაცური სიტყვა თქვა, წავალ ამერიკაში, წელში გავიმართები და მერე მე დაგიდგებით გვერდში. ამ ვალს კი რვა თვეში გადაგიხდითო.

ამერიკა მართლაც ბედნიერების ოაზისი ყოფილა, ამიტომაცაა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, იქ ყველა ბედნიერია. ერთი ეგ არის, ის ოხერი მაგიური ხე, საშობაოდ რომ დოლარებს ისხამს, დაჩიმ და ლიზიმ ვერა და ვერ იპოვეს. არადა, არ ეძებდნენო, ვერ იტყვის კაცი, მექსიკიდან შტატებში არალეგალურად გადასვლისა თუ გადაპარვის შემდეგ (რაც საკმაოდ მსუყე თანხები დაჯდა), ლამის მთელი ამერიკა შემოიარეს, მაგრამ ხეს, რომელიც საშობაოდ დოლარებს ისხამს და გაჭირვებული ქვეყნებიდან ჩასულ ემიგრანტებს ახარებს, ვერ მიაგნეს, ვერა. ჰოდა, ცოლ-ქმარსაც მეტი რაღა დარჩენოდა, გულის დარდების გასაქარვებლად, უნდა ემოგზაურათ და დამტკბარიყვნენ ბედნიერების ოაზისადწოდებული ქვეყნის სილამაზით. თან საქართველოდან წადებული ფულიც საკმაოდ ჰქონდათ. ჰოდა, ისინიც მოგზაურობდნენ, დადიოდნენ აღმა-დაღმა, ქალაქს ქალაქები ცვლიდა, ძვირადღირებულ სასტუმროს კი ასევე ძვირადღირებული სასტუმროები. მოკლედ, კარგ ცხოვრებას დახარბებული ცოლ-ქმარი ბედნიერების წუთებს კი არა, წამსაც არ უშვებდა ხელიდან. ცდილობდნენ ყველაფერი მოესწროთ და ყველაფერი ენახათ. ისე, საოცნებო ქვეყნის საფუძვლიანად დათვალიერება (თან, როცა ეს პროცესი გულის დარდებს გიქარვებს) კარგია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკის ერთი ქალაქიდან მეორეში მოგზაურობას, ძვირადღირებულ სასტუმროებში დაბინავებასა და ღირშესანიშნაობების ნახვას დიდძალი ფინანსები სჭირდებოდა. ფული კი ისეთი ოხერი რამეა, წყალივით მიდის, იპარება და ორთქლდება, მით უმეტეს, თუ ამ ფულს არაფერი ემატება ზემოდან და მხოლოდ აკლდება. რა გასაკვირია, რომ ნასესხებ და ამერიკაში ჩატანილ ფინანსებს დაჩი და ლიზი ზემოდან ვერაფერს დაამატებდნენ, მოკლებით კი ისე სწრაფად მოაკლებდნენ, რომ ერთ დღესაც, შეიძლება სამათხოვროდ გახდენოდათ საქმე.

არა, ნამდვილად არ გაუმართლა საქართველოდან ამერიკაში გადახვეწილ ცოლ-ქმარს. ჯერ ერთი, არ გაუმართლა იმიტომ, რომ იმ რაღაც დოლარებგამოსხმულ ხეს ვერსად ვერ მიაგნეს, და მეორეც,

ორივენი დარწმუნდნენ, რომ თავისუფლების ოაზისადწოდებულ ამერიკაში დაიმკვიდრება იმაზე გაცილებით რთული ყოფილა, ვიდრე რუსეთში ან თუნდაც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. მიზეზი ძალიან მარტივი, მაგრამ ყურადსაღებია; ამერიკაში ჩასულმა, თავი რომ დაიმკვიდრო ან ხელით უნდა იშრომო, ან ტვინით. ხელით შრომა რაღაა? ხელით შრომა ის არის, რომ საკუთარი ხელებით მიწა უნდა თხარო, ქვები ამტვირო, ეკალბარდები გლიჯო ან ტვირთი ზიდო. მოკლედ, დასისხლიანებული და დაკოჟრილი ხელებით სარჩოსაბადებელი უნდა მოიპოვო. სხვაგვარად ვერ იცხოვრებ, ვერ გადარჩები. ტვინით შრომას რაც შეეხება, ამ შემთხვევაში, საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალი უნდა გამოავლინო და ისე დაიმკვიდრო ადგილი. ჰოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა პრობლემის წინაშეც დადგებოდნენ დაჩი და ლიზი. ხელების დასისხლიანებამდე შრომა არც ერთს არ შეეძლო, უფრო ზუსტად, არც ერთი არ იყო ასეთ ცხოვრებას მიჩვეული, საკუთარი ინტელექტით კი, ცხადია, ვერც ერთი ვერ გააკვირვებდა ვერავის და ბუნებრივია, სრულიად უცნობ გარემოში ადგილსაც ვერ დაიმკვიდრებდა.

ეს, რაც შეეხება ამერიკას, საქართველოს დედაქალაქ თბილისში კი - ეჰ, ნეტავ დროზე გავიდოდეს ეს რვა თვე, ბავშვებმა ამ თურქსა და არაბს ვალი გადაუხადონ და დავისვენო, თორემ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეკლებზე ვზივარ. ისე, რა ბედნიერი ვიქნები, ამხელა ვალს რომ გავისტუმრებ. გავიხარებ და შვეებით ამოვისუნთქებ. ვალის გადახდის შემდეგ კი, იმ დღესვე, სულ რომ ქვეყანა იქცეოდეს, ჯერ ბესოს საფლავზე გავალ და სანთლებს დავუნთებ, მერე ეკლესიაში ჩემს მოძღვართან, მამა გაბრიელთან მივალ და ყველაფერს მოვუყვები, ვეტყვი, ეს თვეები, რა დარდსაც ვატარებდი გულში. ამის შემდეგ ღვთისმშობლის ხატის წინ დავდგები და მადლობას გადავუხდი, იმისთვის, რომ არ გამწირა და მისი უხილავი ძალა, სულ მუდამ გვერდში მედგა.- იჯდა შვილიშვილთან დარჩენილი თამარი, ოცნებობდა და ერთი წამითაც არ ფიქრობდა იმას, რომ შეიძლება ყველაფერი უკუღმა შეტრიალებულიყო.

ეჰ, რას იზამ, ასეა თურმე ადამიანის ბუნება მოწყობილი, ნებისმიერ სიტუაციაში, ის მხოლოდ კარგზე ფიქრობს, მოვლენების არასასურველი სცენარით განვითარებას კი ერთი წამითაც არ უშვებს. დიახ, არასასურველ სცენარზე ადამიანი ერთი წამითაც არ ფიქრობს. იმიტომ, რომ არ აწყობს, მორჩა და გათავდა.

აჰა, დადგა აპრილი, დათბა, აყვავილდა ბუნება და მოახლოვდა ვალის გადახდისთვის დათქმული დროც. თამარმა ლოცვას უმატა. თუმცა, როცა საქმე ფულსა თუ ვალების დაბრუნებას ეხება, მარტოდ დარჩენილი ქალისთვის მხოლოდ ლოცვა რა ბედენაა?

- შვილო, დაჩი, გუშინდლიდან მოყოლებული, უკვე მეხუთედ თუ მეექვსედ გირეკავთ შენ და ღიზის, მაგრამ კონკრეტულ პასუხს არც ერთი არ მაძლევთ. - ტელეფონით უკავშირდება თამარი დაჩის.

- ?!

- დაჩი, გესმის ჩემი?

- კი, ახლა მესმის.

- ხომ არ დაგავიწყდა, რომ ორ კვირაში ვალის გადახდის დრო დგება. მე ხომ გითხარი, რომ სანამ ვალს არ გადავიხდით, ჩემზე ნუ შეწუხდებით და არაფერი არ გამომიგზავნით - მეთქი. აქ, ის მცირე თანხა, რაც დავიტოვე, რამდენიმე თვე მე და ლუკას კიდევ გვეყოფა, მთავარია, რაც დასაბრუნებელი გვაქვს, ის თანხა დათქმულ დროს, ორ კვირაში მთლიანად გამოგზავნით და ვალი მომაშორეთ, თორემ მაგ თურქისა და არაბის ხელში ჩემი მტერი ჩავარდა.

- ვაგროვებთ და ვნახოთ, ვნახოთ... - არადამაჯერებლად ამბობს დაჩი და ტელეფონს თიშავს, თუმცა, მანამდე იმიზეზებს, ახლა ტაქსით გვირაბში შევდივარ და შეიძლება ტელეფონი გაითიშოსო.

შვილისგან ასეთი სიტყვები, თამარს, ცხადია, არ მოსწონს და ამიტომ, ახლა ღიზის უკავშირდება. - ღიზი, რა ხდება, გამაგებინე, შენ და დაჩის რაზე გაწყენინეთ?

- რა უნდა ხდებოდეს, ან რა უნდა გეწყენინებინა ჩვენთვის? - განგებ გაოცდა ღიზი, თითქოს ვერ მიხვდა, თამარი რას გულისხმობდა.

- რა ვიცი, რამდენჯერაც აქ დატოვებული ვალის გადახდაზე დაგელაპარაკეთ შენ და დაჩის, იმდენჯერ, ხან სიტყვა ბანზე ამიგდეთ, ხან საქმე მომიზეზეთ, ხანაც ტელეფონი გათიშეთ.

- ვინ, მე გავთიშე ტელეფონი? - ხმას აუწია ღიზიმ.

- ძალიან გთხოვ, ახლა სიტყვებზე ნუ გამომეკიდები. ხომ გახსოვს, რომ ორ კვირაში ვალი გვაქვს გადასახდელი, სამოცდაათი ათასი დოლარი და რას შვრებით, როდის აპირებთ გამოგზავნას?

- რომ მოვაგროვებთ, გამოგიგზავნით, რა იყო, რა შეგვჭამეს მაგათმა. - ისევ აუწია ხმას ღიზიმ.

- დაფიქრდი, ღიზი, რა დღეში მაგდებთ და ვის ხელში მტოვებთ, გინდათ, გამაგიჟოთ?

- ადამიანო, ხომ გითხარი, ვაგროვებთ და გამოგიგზავნით - მეთქი?

- რამდენიც გაქვთ მოგროვილი ხვალვე გამომიგზავნეთ, რომ რაღაც ნაწილი მაინც მივცე.

- იმდენი არ არის მოგროვილი, რომ გამოგიგზავნოთ.

- კი, მაგრამ, აქამდე რას აკეთებდით? ორი კვირა რომ დარჩა ვალის გადახდამდე, ახლა დაიწყეთ შეგროვება? - უკვე გაწიწმატდა თამარი.

- ალოოო, ალოოოო, არ ისმის, ხელმეორედ გადმორეკე, - ამბობს ღიზი და ტელეფონს შეგნებულად თიშავს.

ამის შემდეგ გინდ ხელმეორედ დარეკოს თამარმა, გინდ ხელმესამედ, გინდ ხელმეოთხედ და გინდ ხელმეხუთედ, პასუხი ან არ არის, ან ძალიან დავარცხნილია, მაგალითად ასე - ისა, ხომ იცი, აქ რა ძნელია ემიგრანტისთვის ცხოვრება, სამოცდაათი ათასი დოლარის მოგროვება კი წარმოუდგენელია.

ამის საპასუხოდ თამარი ბრაზობს და ცეცხლწაკიდებული კედლებს ასკდება. რა უნდა ქნას მხოლოდ არასრულწლოვანი შვილიშვილის იმედად დარჩენილმა ქალმა, ვის უნდა მიმართოს დასახმარებლად?

გავიდა ის ორი კვირაც და თამარს ეფენდი და აბუღა ესტუმრნენ. ორთავე ისევ იდიმის და ოქროს კბილებს აკრაჭუნებს.

- ქაბათონო თამარ, უქაცრავათ ქი ვართ, მაგრამ სამოცდაათი ათასი დოლარი, როდის დააბრუნებთ? - კითხულობს ეფენდი.

- მალე! - ამბობს თამარი და თან პირჯვარს იწერს, მაგრამ თავადაც მშვენივრად ხვდება, რომ ცრუობს და გალიაშია მომწყვდელი.

- ქაბათონო თამარ, ლოცვა ჩვენ არ გინდა, ფული გინდა. - ამბობს აბუღა. - ჰო, ლოცვა არ გინდა, ფული გინდა, - აბუღას კვერს უკრავს ეფენდი.

- ლოცვას მე ვერავინ დამიშლის, ფული კი მალე იქნება. - ღიზიანდება თამარი.

- მალე, როდის არის? - ინტერესდება აბუღა.

- ხომ იცით, მაგ ვალის დაბრუნება ჩემზე არ არის დამოკიდებული, დაჩი და ღიზი დააბრუნებენ ამერიკიდან.

ამის გაგონებაზე ეფენდისა და აბუღას აღარ ეცინებათ და ბუნებრივია, ოქროს კბილებიც აღარ უჩანთ. მიდიან, მაგრამ იბარებენ, ორ დღეში კიდევ ერთხელ მოვალთო.

გამწარებული თამარი ისევ რეკავს ამერიკაში, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ, ექვსჯერ, შვიდჯერ, მაგრამ ამჯერადაც ან არავინ პასუხობს, ან დავარცხნილ პასუხებს იღებს.

ორი დღის შემდეგ თურქი ეფენდი კიდევ მივიდა თამართან სახლში, თან ამჯერად უკვე ვიღაც სპარსთან ერთად და განუცხადა, რომ არაბი აბუღა საქართველოდან წავიდა და თამარმა ახლა ვალი მას და ამ სპარსს უნდა გადაუხადოს, რომელსაც სახელად აითაღე ჰქვია. მალევე წავიდნენ და უთხრეს, ხვალ მოვალთო. მეორე დღესაც მივიდნენ, თანაც განა ერთხელ, არამედ ორჯერ; დილით მისულეებმა სულ ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ფურცლები უფრიალეს ცხვირწინ თამარს, სადამოს კი ვიღაც შუა ხნის მამაკაცი მოიყვანეს, როგორც კრიმინალური ავტორიტეტი და დაჩის ამერიკული ტელეფონის ნომერი მოსთხოვეს, მოგვეცით, უნდა დავკვლიაპარაკოთო.

თამარმა, ბუნებრივია, რაღაც მიუკიბ-მოუკიბა და დაჩის ამერიკული ტელეფონის ნომერი არ მისცა, ვერ მოგცემთ, რადგან ხან ერთ ქალაქშია, ხან მეორეში და თავის ტელეფონი ჯერ არა აქვსო.

ამაზე კრიმინალურ ავტორიტეტს გაეცინა და ძალიან მშვიდად უთხრა თამარს - გადაეცით თქვენს ვაჟს, რომ ზუსტად ერთ კვირას გაძღვეთ დროს და თუ ეს თანხა უკლებლივ არ დაგიბრუნებიათ, მერე უკვე აღარ დაგელაპარაკებით, პირდაპირ საქმეზე გადავალთო.

სანამ თურქი, სპარსი და ვიღაც კრიმინალური ავტორიტეტი წავიდოდნენ, წასვლის წინ თურქმა თამარს დერეფანში გასვლა სთხოვა. ცხადია, გავიდნენ, სულ რაღაც ერთი წუთით და ამ მცირე დროში უკვე ყველაფერი გასაგები გახდა:

-შენ ლამაზი ქალია, ცავიდეთ სთამბუღში ერთი ქვირით და ყველაფერი ქარქად იქნება, ქაი დრო გაათარებთ, ვალი აღარ იქნება. - ეუბნება ეფენდი თამარს.

- რა ბრძანეთ? - სახეწამოწითლებული ეკითხება თამარი ეფენდის და პირჯვარს იწერს.

- არაფერი ქაბათონო თამარ, ლოცვა საქმე არ უშველის, შენ ლამაზი ქალია და ცავიდეთ ცოთა ხნით სთამბუღში, ქაი დრო გაათარებთ და ვალი აღარ იქნება.

თამარი პასუხად არაფერს ეუბნება, ისევ პირჯვარს იწერს და დერეფნიდან მისაღებ ოთახში ბრუნდება.

- ცავიდეთ! - ამბობს აითალე და თამარს სავსე მკერდზე ხარბად უყურებს, ხარბად და მოურიდებლად. მერე დარცხვენილი თამარი სასწრაფოდ გადის დერეფანში, ალებს კარებს და ისინიც სახლიდან გადიან.

წავიდნენ და დატოვეს თამარი უმწეო მდგომარეობაში თავის არასრულწლოვან შვილიშვილთან ერთად. ახლა რა ქნას, როგორ მოიქცეს, როგორ მოიშოროს თავიდან ეს ვიღაც აბეზარი მამაკაცები? ამერიკიდან ვერ უგზავნიან ფულს. მაშ, ვინ მისცემს ამდენ თანხას, რომ ვალი გადაიხადოს? ახალი ვალი დაიდოს ძველი ვალის გადასახდელად? ჯერ, როგორ გადაიხდის იმ ახალ ვალს და მერე, ვინ ასესხებს ამდენ ფულს? ბანკი? ბანკებთან ჩემმა მტერმა დაიჭირა საქმე, გააყიდინებენ ყველაფერს. თავისი სამოთახიანი ბინა გაყიდოს? მერე თავად რაღა იყიდოს? ნუთუ ამისთვის იცხოვრა, რომ უკვე ასაკში შესულს ასეთი გამწარებული ცხოვრება ჰქონოდა? ათას რამეზე ფიქრობს თამარი, მაგრამ გრძნობს, რომ გაწირეს, მიაგდეს და თავად მიიმალნენ. მერედა, ვინ? შინაურებმა; შვილმა და რძალმა. ბოროტებით მოუვიდათ? არა, ამის გაფიქრებაც არ უნდა თამარს, ბოროტებით კი არა, უჭკუობითა და გამოუცდელობით მოუვიდათ. ეგონათ, ამერიკაში წავალთ და ავშენდებითო, მაგრამ აშენების ნაცვლად დანგრევის პირას

მიიყვანეს ოჯახი, თავად თამარი კი ვიღაც თურქს, არაბსა და სპარსს დაუტოვეს საჯიჯგნად.

იმ ღამითვე თავის უერთგულეს დაქალს, მარიკას დაურეკა თამარმა და რჩევა სთხოვა, რა ვქნაო? დაქალმაც ურჩია, სასწრაფოდ, ლუკა გადამალე და კარგა ხანი აღარ გამოაჩინო, რა იცი, რა ხდება, იმ დასაწველებმა ბავშვს რამე უბედურება არ დაატეხონ თავსო. ამაზე თამარი ჯერ ჩაფიქრდა, შემდეგ სულ მოლად გადაირია და სად გადავმალო? იკითხა გაგიჟებულმა. ჩემთან, ჩემთან მოიყვანე და სანამ მდგომარეობა არ ჩაწყნარდება, მე მეყოლებო, მიუგო მარიკამ. ხვალვე მოგიყვან ლუკას და, აბა, შენ იცი, მიმიხედე ბავშვსო, სთხოვა თამარმა. ხვალ სამი საათისთვის მოიყვანე, მანამდე ბაზარში გავივლი, სასუნნავეებს ვიყიდი, რომ ლუკას დავახვედრო. შენ კი, ნუ იღარდებ, საჭმელ-სასმელს არ მოვაკლებ ბავშვს და სკოლის გაკვეთილების მომზადებაშიც მე დავეხმარებო, დაამშვიდა მარიკამ თამარი

ახლა რა ქნას? იცის, აზრი არა აქვს, მაგრამ, მაინც უნდა დარეკოს ამერიკაში დაჩისტან და უთხრას, რაც მოხდა. აბა, მარტო თვითონ ხომ არ იღარდებს? უნდა დარეკოს და დაიცალოს, თორემ გასკდა გული ნერვიულობით.

დარეკავს უეჭველი და დაჩის ყველაფერს ეტყვის... გაბრაზებული კი არის შვილზე, მაგრამ, მაინც დედაა და აქეთ დაამშვიდებს დაჩისაც და ლიზისაც, ნუ გეშინიათ, ლუკა მარიკასთან გადავმალე და არანაირი საფრთხე არ ემუქრებაო.

- მაგრამ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ამ ვალს რა ვუყოთ, როგორ მოვიშორო ეს თურქი, არაბი და ახლა უკვე სპარსი? - ჰკითხა თამარმა დაჩის.

დაჩიმ არ იცის, დედამისმა როგორ მოიშოროს აკიდებული თურქი, არაბი და ახლა უკვე ვიღაც სპარსიც, თუმცა, როგორ არ იცის, გადაიხადოს ვალი და ისინიც ჩამოშორებულები იქნებიან, მაგრამ, როგორ? საიდან მოიტანოს სამოცდაათი ათასი დოლარი? როგორც იქნა, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში მაინც მიხვდა დაჩი, რომ დიდი თანხის დახარჯვა ძალიან ადვილია, შეიძლება ერთ ღამეში დაამღერო დიდი თანხა, აი, გამომუშავება კი ძალიან ძნელია, ხანდახან შეუძლებელიც არის.

რა გასაკვირია, რომ არც ლიზიმ იცის, საიდან მოიტანოს თამარმა სამოცდაათი ათასი დოლარი და ამიტომაც არის, მისი ხმა ტელეფონში კატის კნავილს რომ ჰგავს, ვიდრე ადამიანის ლაპარაკს.

მიტოვებულ, დამცირებულ და ყველასგან უარყოფილ თამარს მხოლოდ ღმერთის იმედი აქვს... - წავალ დედათა მონასტერში და იქ დავსახლდები, - ამბობს გამწარებული.

- ერთი ღმერთი თუ გვიშველის. - ცრემლებს ღვრის ლიზი.

- პეტროს დაურეკე, ან მიდი მასთან სახლში, აუხსენი სიტუაცია და იქნებ დაგვეხმაროს. - ამერიკიდან საკმაოდ წონად და ჭკვიანურ რჩევას იძლევა დაჩი. როგორც ჩანს, მოხდენია ბიჭს იქაური ჰავა და გონება გახსნია.

- ააა, პეტროს? არადა, რა ტყუილად ჩამოიშორე ეგ ბიჭი, როგორ გვერდში გვედგა ხოლმე ყოველთვის. - საყვედურობს დაჩის თამარი.

- დაგიჯერე და შენი თხოვნით ჩამოვიშორე, არ გახსოვს? - შეახსენა დაჩიმ დედას.

- მთელი ცხოვრება არაფერში არ მიჯერებდი და რაღა ეგ დამიჯერე?

- კარგი ახლა, ნუ დაიწყე შენებურად. მოკლედ, დაურეკე პეტროს ან მიდი მასთან სახლში და სთხოვე დახმარება.

- რა ვიცი, აბა, ცოტა უხერხული კი არის ჩემი მხრიდან, თუმცა სხვა გზაც რომ არ გვაქვს? - თქვა თამარმა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ პეტროსთან მისასვლელად ფეხი უკან რჩებოდა.

კიდევ რამდენიმე წუთით ილაპარაკეს ტელეფონზე თამარმა და დაჩიმ, საბოლოოდ კი გადაწყვიტეს, რომ სხვა გზა აღარ დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ თამარი პეტროსთან უნდა მივიდეს და სთხოვოს დახმარება. ჰო, აბა, რა, პეტრო რუსია, მართლმადიდებელია, დაჩის მეჯვარეა, ლუკას ნათლიაა და შეძლებული ბიჭია. მეტი რაღა დარჩა? არც არაფერი. მთავარია, ღვთის ნებით ეს ღამე გადააგორონ, გათენდეს და ხვალ ლუკას მარიკასთან წაიყვანს სოლოლაკში, თან ხვალვე პეტროსაც მიაკითხავს სახლში, ბუდაპეშტის ქუჩაზე.

ეჰ, დასჭირდა ამაყ ქართველს რუსი, თანაც რისთვის? რისთვის და აბეზარი თურქის, არაბისა და სპარსისგან დასახსნელად, ვალის გადასახდელად. რუსს უყვარს ქართველი და დახმარებაზე უარს არ ეტყვის, თუმცა, ამ დახმარების სანაცვლოდ რაღაცას მიიღებს, აბა, ისე, როგორ იქნება, ან როდის ყოფილა, რომ რუსი ქართველს დახმარებოდა და მერე იქიდან რამე სარგებელი არ მიეღო? არასდროს, არასდროს არ ყოფილა ასეთი რამ. ამჯერადაც დაეხმარება რუსი ქართველს, სანაცვლოდ კი იგივე ქართველისგან რაღაცას მიიღებს.

- ოღონდ, ღმერთო ჩემო, დახმარების სანაცვლოდ, ქართველის მიერ რუსისთვის ჩაბარებული ნამუსი ნუ იქნება და სხვა, რაც გინდა იყოს. გთხოვ, ამას ნუ მომასწრებ, ნუ დამანახებ და, თუ გინდა, ახლავე მომიკალი. თუმცა, მე კი გთხოვ, მაგრამ, როდის იყო, შენ უბრალო მოკვდავისთვის ყური დაგეგდოს? არასდროს, ასეთი რამ არ მომხდარა და ალბათ, არც ახლა მოხდება. - ამას ფიქრობდა ყველასგან უარყოფილი და სადღაც კუთხეში მიმჯდარი ქართველი... ფიქრობდა და თან ღმერთს ევედრებოდა, მაგრამ ამაოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსახდენი მაინც მოხდა; მივიდა ქართველი რუსთან დახმარების სათხოვნელად და რუსიც შემოვიდა ქართველში, სანაცვლოდ რაღაცის

წასაღებად - ნამუსის წასაღებად, ღირსების წასაღებად, პატიოსნების წასაღებად.

* * *

უკვე გვიანია, სადღაც თორმეტი საათი სრულდება და თამარს ერიდება პეტროსთან დარეკვა, მაგრამ, ხვალ, რომ ვერ მოიხელთოს, ხომ გადაიდება პეტროს ნახვა მინიმუმ ერთი დღით? ნამდვილად გადაიდება, რაც თამარს არავითარ შემთხვევაში არ აწყობს. ამიტომ, ახლავე უნდა დარეკოს და ხვალისთვის შეხვედრა სთხოვოს. რეკავს კიდევ.

ალოოოო!

- პეტრო, შვილო, როგორ ხარ?

- ოოოო, თამარა დეიდას გაუმარჯოს, ძალიან კარგად ვარ. ახლა ქეიფიდან დავბრუნდი, ცოტა დავლიეთ და უკვე დაძინებას ვაპირებდი. მანდეთ რა ხდება, ხომ მშვიდობაა?

- როგორ გითხრა, მთლად მშვიდობა არ არის.

- რატომ, რა მოხდა?

- ყველა ჯანმრთელად ვართ, უბრალოდ, შენი ნახვა მინდა, რაღაც საქმე მაქვს, უნდა დამეხმარო და მიშველო.

- დღესვე? წამოვალ ახლავე.

- არა, შვილო, დღეს არა, ახლა დაიძინე და ხვალ შევხვდეთ.

- კარგი, ხვალ იყოს, ოღონდ დღის მეორე ნახევარში, დილით ძალიან ადრე გავდივარ სახლიდან და ასე, ორისთვის მოვბრუნდები.

- ხვალ სამი საათისთვის ღუკას ჩემს დაქალთან მივიყვან და იქიდან პირდაპირ შენთან წამოვალ სახლში.

- კარგი, გელოდები, მაგ დროს სახლში ვიქნები.

- პეტრო, უნდა დამეხმარო, თორემ გაგიუებას ვარ ქალი, ლამის თავი მოვიკლა.

- თამარა დეიდა, რა მოხდა ისეთი, ახლავე ვერ მეტყვი?

- ხვალ მოვალ და გეტყვი.

- კარგი, გელოდები, ხვალამდე.

- ხვალამდე, შვილო.

აპრილი დასასრულისკენ მიდის, საცაა მაისი მოვა და სულთან ერთად გულსაც უხარია ცხოვრება, დნება და ტკბება ბუნება, ეზოებში ურიაშული ისმის, ყველა ხარობს, ბედნიერია, ქუჩებში შეყვარებული წყვილების სიმრავლეა, გოგონებს ყვავილების თაიგული უჭირავთ.

თამარი უყურებს ბუნების საოცრებას და საკუთარი ახალგაზრ-დობა ახსენდება, ყვავილების თაიგულით ხელში, გაზაფხულის შემოსვლა რომ უხაროდა ხოლმე. სამწუხაროდ, დრო გავიდა და თამარი პატარა გოგო აღარ არის, უკვე ქალია, თანაც ასაკში შესულს ცხოვრება ისე შეეცვალა, რომ ბუნების ტკბობისთვის აღარ სცალია. ახლა ეჩქარება თამარს, ჯერ ლუკა უნდა მიიყვანოს მარიკასთან, შემდეგ პეტროს უნდა ეახლოს და საკუთარი გასაჭირის შესახებ უამბოს.

რომ არ დაეხმაროს პეტრო, მერე რა ქნას ყველასგან მიტოვებულმა ქალმა? სად წავიდეს შერცხვენილი, სად გადაიკარგოს? არ იცის? იცის, როგორ არა, აქვეა მტკვარი, უნდა მივიდეს ხიდთან, გადავარდეს და თავი დაიხრჩოს. სხვა გზა აღარ დარჩენია. შერცხვენილს და საკუთარი ოჯახის წევრებისგან მიტოვებულს, ისევე თავის მოკვლა ურჩევნია. თუმცა, მანამდე, ჯერ პეტროსთან უნდა მივიდეს, თმები გაიშალოს, იტიროს, სახე ჩამოიხოკოს, დაიცალოს და შვილისტოლა ბიჭს დახმარება სთხოვოს. დიდი იმედი არა აქვს, მაგრამ, იქნებ მოხდეს სასწაული და დაეხმაროს პეტრო, ბოლოს და ბოლოს, უცხო ხომ არ არის, შვილის მეჯვარეა, შვილიშვილის ნათლიაა და ქართველთმოყვარე რუსია, თან დირსეული მართლმადიდებელი.

სამი საათისთვის დატოვა ლუკა დაქალთან და სოლოლაკიდან საბურთალომდე ტაქსით გადაწვიტა წასვლა... უკვე საბურთალოზეა, ბუდაპეშტის ქუჩაზე, გადმოდის მანქანიდან, შედის სადარბაზოში და მესამე სართულამდე ფეხით ადის. რამდენჯერ არის ამ ბინაში თამარი ნამყოფი, ვინ მოსთვლის?! ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, თითქმის უთვალავჯერ, ხან დაჩისტან ერთად, ხან ბესოსთან ერთად,

ხან ლიზისთან ერთად, ხან ლუკასთან ერთად, ხანაც ოთხივესთან ერთად მოდიოდა ხოლმე, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, პეტროს მშობლები აქ ცხოვრობდნენ და ამ ოჯახიდან მუდამ სიცილ-კისკისის ხმა გამოდიოდა. ახლა პეტროს მშობლები ისევ რუსეთში დაბრუნდნენ, პეტროს დაც რუსეთშია, აქ კი მარტო პეტრო ცხოვრობს. უცოლო პეტრო.

ზარის ხმა და კარი იღება:

- გამარჯობა, პეტრო.

- თამარა დეიდას გაუმარჯოს, შემოდი, შემოდი, რა ხდება, გამაგებინე, როგორ ხარ?

- ცუდად, ჩემო პეტრო, ძალიან ცუდად. - ამბობს თამარი, მერე სახლში შედის და დერეფანში ჩერდება.

- შენ შედი, დაჯექი მაგიდასთან. მე ყავას ავადუღებ და შემოვიტან, კარგი კონიაკიც მაქვს, გაგასინჯებ და დარწმუნებული ვარ, მოგეწონება.

- ეჰ, ჩემო პეტრო, ყავისთვის და კონიაკისთვის აღარ მცხელა, ისე მაქვს საქმე, კრიჭა არ მესხნება.

- ვააააა, რა მოხდა ისეთი? - უკვირს პეტროს და სამზარეულოში გადის, თან თამარს ანიშნებს, შენ დაჯექი და მე ახლავე მოვბრუნდებიო.

სანამ პეტრო მობრუნდება, მისაღებ ოთახში დივანზე ზის თამარი და მის წინ მდგარ პატარა მაგიდაზე დაყრილ ჟურნალებს ნელ-ნელა, უხალისოდ ფურცლავს. კაცს ეგონება კითხულობსო, სინამდვილეში, უაზროდ შლის ჟურნალის ფურცლებს, ფიქრით კი სულ სხვაგან არის. ფიქრობს იმაზე, საიდან დაიწყოს მოყოლა, ამერიკაში ვერნაპოვნი დოლარების ხიდან თუ პირდაპირ ვალიდან? ალბათ, მაინც ასე აჯობებს, ჯერ ის უთხრას, დაჩი და ლიზი, რომ ამერიკაში დოლარების ხის მოსაძებნად ტყუილად წავიდნენ, შემდეგ უკვე აღებულ ვალზე და ლუკა რომ დაქალთან ჰყავს გადამალული, იმაზეც მოუყვებს.

ჰოდა, მოუყვება, ყველაფერს მოუყვება, მერე იმასაც ეტყვის, ის თურქი დროსტარებას რომ სთავაზობდა, სპარსი კი ურცხვად, მკერდზე რომ უყურებდა, მაგრამ მან, ამაყმა ქალმა, დირსება რომ შეინარჩუნა და ცივად რომ გაისტუმრა ურჯულოები თავისი სახლიდან. მოყოლის დროს თან იტირებს თამარი, ივიშივიშებს, ოღონდ ალაღად და პეტროსაც გულის სიმებზე შეეხება.

გუშინდელი სიმთვრალის შემდეგ, პეტრო ჯერ კიდევ ნაბახუსევია, ზის სავარძელში თამარის წინ, ისმენს ყველაფერს და კონიაკს წრუპავს. ცრემლებადდაღვრილი თამარი კი მორჩა მოყოლას და დადუმდა.

- როდის უნდა ჩააბარო ეგ ფული? - კითხულობს პეტრო.

- პარასკევს. - ქვითინით პასუხობს თამარი.
- დღეს რა დღეა? შაბათია? - ისევ იკითხა პეტრომ.
- კი, დღეს შაბათია.
- მაშ, სამოცდაათი ათასი დოლარი, არა?
- კი, სამოცდაათი ათასი დოლარი. - ქვითინს უმატა თამარმა.

- ახლა სახლში ათი ათას დოლარამდე მიდევს, რომელიც ჩვენი საცურაო კომპლექსის რემონტისთვის განკუთვნილი ფულია, მაგრამ არაუშავს, მაგას მერე დაუფარავ, შენ კი ამ ათი ათას დოლარს გაგატან. დანარჩენ თანხას რაც შეეხება, დღეს შაბათია და ბანკები სრულად არ მუშაობენ, უკვე ყველა ბანკი დაიკეტებოდა, ამიტომ ორშაბათამდე მოგვიწევს მოცდა. თუმცა, მანამდე, ხვალ დღით ბორჯომში მივდივარ, რაღაც საქმეზე და ხვალვე საღამოს ათი ათას დოლარს იქიდან ჩამოგიტან, ზეგ კი უკვე ორშაბათია და ბანკები იმუშავენ. ჩვენც მივალთ გერმანულ ბანკში, სადაც მიმდინარე ანგარიშზე მაქვს თანხა შეტანილი და დანარჩენ ფულს იქიდან მოგცემ.

რაო, ეს რა თქვა პეტრომ? თამარი ყურებს არ უჯერებდა, ესე იგი, გადარჩა ქალი, ახლა აღარც თურქი შეაწუხებს, აღარც არაბი და აღარც სპარსი, უკვე ბედნიერია თამარი, თავს აღარ მოიკლავს და მოულოდნელი სიხარულით გაგიჟებასა.

- აი, როგორ მიშველა ლოცვამ, ღმერთმა გადმომხედა და იმ ვიღაც ურჯულოების კლანჭებიდან დამაძვრინა, თან ვისი დახმარებით? ვისი და რუსის დახმარებით. აბა, რომელი ქართველი მცემდა ამდენ პატივს? არავინ, არავიიიინ, ყველანი გაბოროტებულები და გაუტანლები არიან, პეტრო კი რუსია და ჩემი შვილობილია, ამიტომაც გადამარჩინა. არადა, ისე ვიყავი გამწარებული, რომ შეიძლება თავი მომეკლა. - ასეთმა ფიქრებმა გაიტაცეს თამარი.

პეტრო ამ დროს წამოდგა და თავის ოთახში გავიდა. თამარი ისევ ფიქრებს იყო მიცემული. ორ წუთში პეტრო ცელოფნის პარკით ხელში დაბრუნდა.

- აქ ათი ათასი დოლარია, ახლა ჩავიდეთ დაბლა, ტაქსში ჩაგსვამ და ეს თანხა სახლში წაიღე, დანარჩენი კი, როგორც გითხარი, ისე იქნება.

თამარი ბედნიერებისგან ტიროდა, პეტრო კი თავისი წყლისფერი თვალებით ღიმილით უყურებდა თამარს და ერთი დიდი ნახტომისთვის ემზადებოდა... იმ ნახტომისთვის, რომლის გაკეთებასაც ამ წუთას არ აპირებდა, არ ჩქარობდა.

ვერაფერს იტყვი, შეასრულა პეტრომ დანაპირები და ათი ათასი დოლარი საკუთარი ხელით გადასცა თამარს, მერე სახლიდან დაბლა ჩააცილა, ტაქსი გაუჩერა, ჩაჯდომაში ხელი შეაშველა და ტაქსის მძღოლს ფულიც მანვე წინასწარ გადაუხადა.

- აბა, ხვალამდე, დილით ბორჯომში მივდივარ, იქიდან, დამე რომ ჩამოვალ, გნახავ და კიდევ რაღაც თანხას მოგიტან. - ჩურჩულით უთხრა მან ტაქსის უკანა სავარძელში მოკალათებულ თამარს, მერე მარცხენა ლოყასა და ტუჩის კუთხეს შორის, ისე რბილად და ოსტატურად აკოცა, რომ მოულოდნელობისგან გაოცებულ თამარს, ცოტა არ იყოს, ეუხერხულა კიდევ. თუმცა გაოცება, შენიშვნის მიცემა და თავის შორს დაჭერა. რას მიქვია, როცა სასწორზე სამოცდაათიათასიანი ვალის გადახდა დევს?! ამიტომ, მოულოდნელობისგან თამარი კი შეცბა, მაგრამ არსებულმა ვითარებამ უკარნახა, რომ არაფერი არ უნდა შეემჩნია და შვილის მეჯვარისგან წამოსულ ამ თავხედურ გამოწვევას მხოლოდ ღიმილით უნდა შეხვედროდა.

- ხვალამდე. - უთხრა წამოწითლებულმა თამარმა პეტროს და კარის მიხურვის შემდეგ, ტაქსიც დაიძრა.

ის დღე და დამე ახლა უკვე იმაზე ფიქრში გაატარა თამარმა, შვილისხელა ბიჭის ასეთი ქმედება, წინასწარ გათვლილი თავხედობა იყო თუ უბრალოდ, რაღაც შემთხვევითობასთან ჰქონდა საქმე?

- არა, ნამდვილად, რაღაც შემთხვევითობა იყო, თორემ როდის ერთხელ ყოფილა, შვილისხელა პეტროსგან, რამე ზედმეტი აქტიურობა მეგრძნო?! არასდროს მსგავსი რამ არ მომხდარა და ნერვიულობის საფუძველიც არ არსებობს. შემთხვევით, სრულიად შემთხვევით მოხდა ყველაფერი. რა თავხედობა, რის თავხედობა, პეტრო ცუდი განზრახვით როგორ აკოცებდა? კარგი ოჯახის შვილია, პატიოსანია, ჩემი დაჩის მეჯვარეა და რაც მთავარია, მართლმადიდებელია. აბა, ისეთი კი არ არის, ვიღაც ურჯულოები რომ შემომივარდნენ სახლში და ლამის გამფცქვნეს, გამპუტეს ამხელა ქალი. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, პეტრო რუსია, ანუ იმ ერის შვილია, რომელსაც ჩემი ქვეყანა მრავალჯერ გადაურჩენია. ჰოდა, ამიტომაც არის, რომ მე,

მარტოდ დარჩენილი, მივენდე მას... მივენდე რუსს და ისიც არასოდეს მიღალატებს. ვალსაც უეჭველი გადამიხდის, თანაც სრულიად უანგაროდ. აბა, ჩემგან რა უნდა მიიღოს ან მე რითი უნდა გავაკვირვო ეს პატიოსანი ბიჭი? არა, მართლა ღმერთმა გამომიგზავნა პეტროს თავი, თორემ იმის წარმოდგენაც აღარ მინდა, რა მოხდებოდა, ეგ რომ არ დამდგომოდა გვერდში?! ამხელა ფულს როგორ გადავიხდიდი, ან ვინ მომცემდა? ნამდვილად ღმერთმა გამომიგზავნა პეტრო და მიმანიშნა, მიენდე მას, ანუ მიენდე რუსსო. ჰოდა, მე, როგორც ღმერთის მოშიში ქალი, ვასრულებ მის თხოვნას, ვენდობი პეტროს, ვენდობი რუსს.

კვირა საღამომდე, უფრო ზუსტად, ღამემდე პეტროზე და ფულზე ფიქრობდა თამარი, თუმცა, სხვა სერიოზული საფიქრალი, მას არც ჰქონდა და არც გაემტყუნებოდა, რადგან ქალი უდიდეს ვალში იყო ჩავარდნილი, თანაც, ვილაც ურჯულოებისგან თავიც უნდა დაეხსნა ... და ვინ უნდა დახმარებოდა ამ საქმეში? ცხადია პეტრო, ღმერთისგან გამოგზავნილი რუსი.

დარეკვით არ დაურეკავს პეტროს და არ შეაბეზრებს თავს ასეთი შეკითხვებით - დღეს ღამე ხომ ჩამოხვალ? ის თანხა მოგაქვს? შენი იმედი მაქვს, შვილო და ხომ არ მიღალატებს? არ დაურეკავს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზედმეტად მიაჩნია ახლა დარეკვა და მეორეც იმიტომ, რომ ერიდება, თავმოყვარეობის ამბავია.

დივანზე ჩამომჯდარი და ფიქრებით დამძიმებული თამარი უკვე თვლემას იწყებდა, როცა კარზე ხარის ხმამ და მობილურის რეკვამ ერთდროულად გამოაფხიზლა, გახედა კედელზე ჩამოკიდებულ საათს და თორმეტი სრულდებოდა. დახედა მობილურს, პეტრო რეკავდა, - ჰო, პეტრო, შვილო, როგორ ხარ? სად ხარ?

- კარებთან ვდგავარ და გააღე.
- ახლავე.

კართან მხარზე ჩანთაგადაკიდებული პეტრო იდგა და იღიმოდა.

- უიმე, როგორ დასველებულხარ, ასე ძალიან წვიმს?

- ნუ იტყვი, ჩამოიქცა ქვეყანა, ისე წვიმს. - გაღიმებული პეტრო სახლში შევიდა.

- ბორჯომიდან ფეხით ხომ არ წამოხვედი, ასე როგორ დასველდი?

- მანქანით ჩამოვედი მე და ჩემი მეგობარი, მაგრამ სიგარეტისთვის მაღაზიასთან გავაჩერებინე მანქანა, ის წავიდა, მე კი ვიყიდე სიგარეტი და ორმოცდაათიოდე მეტრის გავლა თავსხმა წვიმაში მომიწია. მაგრამ დასველება არაფერია, მთავარია, რაღაც საქმე გავჩარხე და მოგიტანე ის, რაც შენ ახლა ყველაზე მეტად გჭირდება. - თქვა პეტრომ და ჯერ მისაღებ ოთახში შევიდა, შემდეგ მხარზე გადაკიდებული ჩანთა დივანის წინ დადგმულ ჟურნალების

მაგიდაზე დადგა. გულის ფანცქალით გაფერმკრთალებული თამარიც ფეხდაფეხ შეჰყვა პეტროს.

- რა მოიტანე, პეტრო? - ისე იკითხა თამარმა, თითქოს არ იცოდა, პეტრო რას გულისხმობდა.

პეტრომ ჩანთა გახსნა და იქიდან ჯერ სამი ცალი შამპანურის ბოთლი, შემდეგ ოთხი ცალი მოზრდილი კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

- ეს რა არის? - ამჯერად უკვე ღიმილით იკითხა თამარმა.

- ეს შამპანურია, ეს კი კონვერტებია, სადაც ოცი ათასი დოლარი დევს. რაღაც საქმიდან ათი ათასს ველოდი, მაგრამ უფრო მეტის შანსი გაჩნდა და მეც წამოვიღე. ასე რომ, დაგრჩა ორმოცი ათასი დოლარი, რომელსაც ხვალ დილითვე გერმანული ბანკიდან გამოვიტანთ, თორემ მერე მთელი დღის განმავლობაში არ მეცლება.

ამის გაგონებაზე თამარი ერთბაშად მოწყდა, მოდუნდა და სიხარულისგან თავბრუდახვეული დივანზე უღონოდ მიესვენა.

- პეტრო, შვილო, დაჩის და ლიზის უკვე გავაგებინე ამერიკაში, რომ შენ მეხმარები ამ ვალის გადახდაში. დაჩი ისე გახარებულია, ლამის გადმოსტა ტელეფონიდან. მადლობა გადაეცი პეტროსო, ჩემი ნამდვილი ძმა არისო, ასე დამაბარა.

- ეჰ, დაჩი კაცობაში მაგრად ჩაიჭრა ჩემთან. - ძალიან სერიოზული გამომეტყველება მიიღო პეტრომ.

- აპატიე, შვილო, ხომ იცი, როგორ უყვარხარ და როგორი თავისებური ბიჭია.

- რა ვიცი, ბოლოს არც მნახულობდა და არც მკითხულობდა.

- აპატიე, გთხოვ, ხომ იცი, ძალიან თავისებურია.

- თავისებურია? ყველა თავისებურია, ყველა განსაკუთრებულია და მარტო მე, სულელი პეტრო ვარ ისეთი, რომელსაც მიყენებენ, როგორც უნდათ და როცა უნდათ. არა, დაჩი მართლა მაგრად ჩაიჭრა ჩემთან კაცობაში, მაგრამ თუ ვაპტიებ, მხოლოდ შენი ხათრით, რადგან შენ გცემ დიდ პატივს. - თქვა პეტრომ და დივანზე გვერდით მიუჯდა თამარს

- დიდი მადლობა, პეტრო, მთელი ცხოვრება, როგორ გადაგიხდი ამ ვალს, არ ვიცი.

- არ მინდა მადლობა და არც ამ ვალის გადახდა მინდა, მე გჩუქნი ამ ფულს, გჩუქნი, გესმის? ისინი წვალებას იმსახურებენ, მაგრამ შენ არ იმსახურებ მაგათ გამო წვალებას და ამიტომაც გეხმარები. მე მხოლოდ შენ გეხმარები და შენ გცემ პატივს.

თამარს სათქმელი არაფერი ჰქონდა, ჩარგო სახე ხელისგულებში და ბედნიერებისგან ატირდა. გული რომ იჯერა, მერე თავი ასწია, ფეხზე წამოდგა, თავის საძინებელ ოთახში გავიდა, სარკესთან დადგა და ჯერ ბამბით დასიებული თვალების გაწმენდას შეუდგა, შემდეგ კი

ფანქრით წამწამ-წარბის მოხატვა დაიწყო. რომ მორჩა ყველაფერს, საძინებელი ოთახიდან მისაღებ ოთახში გამოსულ თამარს, პეტრო ისევ დივანზე ჩამომჯდარი დახვდა.

- ნამგზავრი ხარ და გეშიება, ბორჯომში ან იქიდან აქეთ გზაში, თუ ჭამეთ რამე? - ჰკითხა თამარმა თავჩაღუნულ პეტროს.

- არა, არაფერი არ გვიჭამია, სად გვეცალა საჭმელად, სამა-გიეროდ, საქმეები გაგჩარხეთ, რამაც რაღაც თანხა მოგვაგებინა და შენ გაგახარა.

- უიმე, მომიკვდეს თავი, ესე იგი, მთელი დღე მშიერი ხარ? ასე არ შეიძლება, თავს გაუფრთხილდი, შვილო. ახლავე ძეხვს შემწვარ კვერცხში, ცივად მოხარშული ღორის ხორციც მაქვს, შემწვარი თევზიც მაქვს, კიტრის მწნილიც მაქვს, ყველიც მაქვს და ქათმის სალათიც მაქვს. მეტი რაღა გინდა ვახშმად?

- ჰო, რაც მთავარია, შამპანურიც გვაქვს. - თავისი მოტანილი შამპანურის ბოთლი მარჯვენა ხელში შეათამაშა პეტრომ, ხოლო მარცხენა ხელით თამარს ანიშნა, ეს ფული მაგიდიდან აიღე და სადმე უჯრაში შეინახეო.

- მოიცა, მოიცა, შენ მარტო არაყს სვამდი ხოლმე და უკვე სხვა სასმელების დაღვევაც დაიწყე?

- დრო შეიცვალა, ახლა ყველაფერს ვსვამ, რაც იწვის და რასაც ცეცხლი ეკიდება. - დაიტრაბახა პეტრომ.

- ნავთსაც და ბენზინსაც? - აკისკისდა თამარი.

- თუ მოგებას მომცემს და შენ გაგახარებს, მაგასაც დავლევ.

- ახლავე გავშლი სუფრას. - თქვა თამარმა და ხალისიანად დაფაცურდა. ჯერ ჟურნალების მაგიდაზე გადასაფარებელი გადააფარა, მერე სამზარეულოდან შემწვარი თევზი და კიტრის მწნილი გამოიტანა, ამას სინზე დაწყობილი ცივად მოხარშული ღორის ხორცი, ყველი, თონის პური და ქათმის სალათიც მოაყოლა. ხუთ წუთში ძეხვში შემწვარი კვერცხიც იქნებაო, თქვა და რამდენიმე წამით დივანზე ჩამოჯდა, შუბლზე ჩამოყრილი თმები გვერდზე გადაიწია და ისევ სამზარეულოსკენ გაემართა.

კარგი სუფრაა, თვალსაც და კუჭსაც რომ ახარებს, ისეთი. ვახშმად მეტი რაღა უნდა ინატროს კაცმა? არც არაფერი. პეტრო, როგორც ჯილა რუსს შეეფერება სადღეგრძელოებს ძალიან მოკლედ ამბობდა და ჭიქას ბოლომდე სცლიდა. გამხიარულებული და თითქმის სამშვიდობოს გასული თამარიც სვამდა, ოღონდ, ცხადია, იმდენს ვერა, რამდენსაც პეტრო. გამოცალეს ერთი ბოთლი, მეორეც და გაიხსნა მესამეც... მესამე ბოთლიდან დალიეს ერთი ჭიქა, მეორე ჭიქაც და უკვე კარგად შებუქბუქებულმა პეტრომ ტრაბახს უმატა, თამარმა კი კისკისს.

- ჰო, სად გაგჩერდი? - იკითხა პეტრომ.

- აი, იქ, ქალებზე რომ ლაპარაკობდი, ცხოვრებაში ორას ქალზე მეტთან მქონია კავშირიო, მაგრამ, მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, შევცვალოთ სალაპარაკო თემა. - ამბობს დარცხვენილი თამარი.

- არა, ჯერ დავასრულო... იმის თქმა მინდოდა, რამდენი წლისას და ვისთან მქონდა სექსუალური კავშირი. - თქვა პეტრომ და ჭიქები შეავსო.

- რახან ასე გინდა, თქვი.

- ვისთან და ჩემს დასთან.

- ხომ არ გაგიჟდი, პეტრო, რას ამბობ, მარინასთან? მარინა ხომ გათხოვილია? - მრისხანე სახეს იღებს თამარი.

- მერე რა მოხდა? - იცინის პეტრო.

- არა, ხვალვე ეკლესიაში წადი და მოინანიე, თუ გინდა ჩემს მოძღვართან მიგიყვან.

- ჯერ დავამთავრებ, რასაც ვამბობდი. მოკლედ, მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი, ჩემი და ოცდახუთის, მოხდა ისე, რომ მარინას მეგობრის დაბადების დღიდან მთვრალეები დავბრუნდით სახლში, მარტოები ვიყავით, მამაჩემი და დედაჩემი ქალაქიდან იყვნენ გასულები, ჩემი დის შვილი, ხუთი წლის სერგეი კი, მამას ჰყავდა საზაფხულო არდადეგებზე თავის მშობლებთან წაყვანილი. ჰოდა, ვლაპარაკობთ მე და მარინა რაღაცებზე, მერე სექსზეც დავიწყეთ ლაპარაკი და მეუბნება, ქალთან თუ ყოფილხარო? მე ვუთხარი, არა - მეთქი. არადა, მოვატყუე, მაგ დროს უკვე მქონდა სექსუალური გამოცდილება. მერე შევთავაზე, მოდი გავერთოთ - მეთქი, ისიც დამთანხმდა და კარგად ვისიამოვნეთ. იმის შემდეგ, ხან მე ჩავდივარ ხოლმე რიაზანში და იქ ვსიყვარულობთ, ხან ის ჩამოდის ხოლმე ზაფხულობით ზღვაზე და იქ ვხვდებით ერთმანეთს. მარინა ძალიან ლამაზი გოგოა და შენ სექსში უნდა ნახო, როგორია...

- გაჩერდი, პეტრო, ნუ სულელობ, არ მაინტერესებს, რასაც ახლა ლაპარაკობ. - წამოიყვირა თამარმა და გაბრაზებული ფეხზე წამოდგა, თუმცა, მალევე მოლბა და პეტროს სიცილით დაუყვავა: - ჩვენი დროის დონ ქუანი ხარ, ჩემო პეტრო, ნამდვილი მექალთანე. თანაც ძალიან ლამაზი და ჭკვიანი. ჰოდა, ამიტომაც არის, რომ ქალები იოლად ებმებიან შენს სასიყვარულო მახეში.

აბა, რა, ჩვენი დროის დონ ქუანი ხარო, შეაქო თამარმა პეტრო და თან კომპლიმენტიც დაურთო, ლამაზი და ჭკვიანიო. კომპლიმენტს არ ეტყოდა, ჩხუბს აუტეხდა, შეურაცხყოფას მიაყენებდა, სახლიდან გააგდებდა და მიაძახებდა, მეორედ აქ აღარ დაგინახო? ასე მოიქცეოდა და მერე ვისი აჯობებდა? დარჩებოდა თამარი მარტო, საკუთარ ვალთან ერთად. მაგრამ ამგვარად არ მოქცეულა, რადგან, როცა სასწორზე დიდძალი თანხა დევს, ამ დროს სიწმინდეები და პრინციპები, თურმე მეათასე ხარისხოვანი ყოფილა. დავეუშვათ,

პეტროსგან თამარს არანაირი სარგებლის იმედი არ ჰქონოდა, მერეც ასე გულისხმიერ ლაპარაკს დაუწყებდა საკუთარი დის გამბახებელ ცხოველს? არა და არა, არა მარტო ლაპარაკს არ დაუწყებდა და არ დაუყვავებდა, საერთოდ, სულ კინწისკვრით გააგდებდა სახლიდან რუსის ცხოველადშობილ ნაბიჭვარს. მაგრამ თამარს ახსოვდა საკუთარი ვალი და ისიც კარგად ახსოვდა, რომ ამ ვალის დაფარვაში დამხმარე, პეტროს გარდა სხვა არავინ ჰყავდა. ამიტომ, ისიც თამაშობდა და ყველაფერს მშვიდად იტანდა. ოღონდ პეტრო არ გაეღიზიანებინა და ის ოხერი ვალი ბოლომდე გადაეხდევინებინა. ის კი არა, გამხიარულებული თამარი პიანინოსაც მიუჯდა და ზღაპრული ჰანგების თანხლებით, ამღერდა კიდევ. ბოლოს, თითქოს ახლა გაახსენდაო, დარცხვენილმა აღიარა, რომ ბესოს სიკვდილის შემდეგ, პირველად მოეუჯექი პიანინოსო.

- არაუშავს, დამიჯერე, ბესოს იმ ქვეყნად, სულაც არ გაეხარდება, შენ რომ მთელი ცხოვრება გლოვაში გაატარო. - დაამშვიდა თამარი პეტრომ.

ერთიც დალიეს და თამარი კიდევ ერთხელ მიუჯდა პიანინოს, ოღონდ, ამჯერად პეტროს თხოვნით. ჰო, აბა, რა, თამარი უკრავს და მღერის, სხვათა შორის, ძალიან კარგად, ვალის სრულიად გადახდამდე კი, რაღაა დარჩენილი? არც არაფერი. ერთი დამეც და დილით უკვე ყველაფერი წესრიგში იქნება. ოცდაათი ათასი უკვე აქვს, გათენდება თუ არა, მაშინვე წავლენ ბანკში და დარჩენილ ორმოცი ათასსაც გადაუხდის ნორმალური ადამიანისთვის ცხოველადშობილი რუსი, თამარისთვის კი მართლმადიდებელი და კაი ოჯახის შვილი პეტრო.

უკვე ორ საათს გადასცდა და თამარი მთქნარებას იწყებს, თუმცა, ცდილობს არ შეიმჩნიოს და პეტროს ხასიათი არ გაუფუჭოს, მაგრამ პეტრო ხედავს ყველაფერს და გრძნობს, რომ ახლა უკვე დროა... დაწოლის დროა.

- ხვალ დილით ადრე უნდა ავდგეთ და წავიდეთ ბანკში, თორემ მერე მე საქმეებზე ვარ წასასვლელი. - ამბობს პეტრო და თამარის გვერდით დივანზე ჯდება.

- ჰო, კარგი იქნება, დილითვე ბანკში თუ წავალთ, თორემ გავთავდი ქალი ნერვიულობით. მოკლედ, ხვალ დილით მე დაგირეკავ და შევხვდეთ ან ბანკთან, ან სადმე სხვაგან, სადაც შენ გინდა. - ამბობს თამარი და ფეხზე დგება, ოღონდ მთქნარებით.

- არა, მე აქ დავრჩები, აბა, ახლა, რაღა აზრი აქვს ჩემთვის სახლში წასვლას, როცა ხვალ დილით, მაინც უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და ერთად უნდა წავიდეთ ბანკში. - ამბობს პეტრო და ჯერ სიგარეტს უკიდებს, შემდეგ უკვე დივანიდან სავარძელში გადადის.

თამარი ცოტა არ იყოს, შეცბა, თუმცა, მაინც არაფერი შეიმჩნია, - ჰო, კარგი, დარჩი და მეორე საძინებელში დაწევი, ახლავე გაგიშლი ლოგინს.

- არა, მე აქვე დავწევი, მაგ დივანზე.
- კარგი, პეტრო, ახლავე გაგიშლი.
- მარტო საბანი და ბალიში მოიტანე, მეტი არაფერი არ მინდა.

თამარი მეორე საძინებელ ოთახში გავიდა და რამდენიმე წამში საბნითა და ბალიშით ხელში დაბრუნდა. სავარძელში მჯდარი პეტრო უკნიდან ხარბად უყურებდა თამარის გამოყვანილ ტანს და ნერწყვის ყლაპავდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მტაცებელი ცხოველივით თმენის უნართ დაჯილდოებული პეტრო შესაფერის მომენტს ელოდა, რათა მსხვერპლს დასცემოდა თავზე და საკუთარ მკლავებში მოექცია იგი.

- შენი საწოლი უკვე მზად არის და შეგიძლია დაიძინო. სანამ დაწევი, შუქი ჩააქრე. თუმცა, ახლავე ხომ არ ჩავაქრო? - ჰკითხა თამარმა პეტროს.

- არა, მე ჩავაქრობ.
- აბა, ღამე მშვიდობისა.
- ღამე მშვიდობისა, თამარ.

თავის საძინებელ ოთახში შესულმა თამარმა, ტორშელის ანთების შემდეგ, ხალათი გაიხადა და სკამზე გადაკიდა, მერე სარკესთან მისულმა თმები გაიშალა, საყურეები მოიხსნა და მხოლოდ ამის შემდეგ ინება საწოლში შეწოლა... უკვე საწოლში მყოფმა კი მარცხენა ხელით ცისფრად მანათობელი ტორშელი გამორთო.

იწვა თამარი და ისევ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. არადა, სულ რაღაც თხუთმეტი წუთის წინ, თითქოს ეძინებოდა, მაგრამ აბეზარმა ფიქრებმა ისევ გამოაფხიზლა.

რამდენიმე წუთში მისადები ოთახიდან სკამის გადაადგილების ხმა გაისმა და საძინებელი ოთახის კარმაც ჭრიალით გაღება დაიწყო. თამარმა შეამჩნია, რომ წელს ზემოთ გახდილი პეტრო მის ოთახში მოიპარებოდა. გულამოვარდნილმა ქალმა თავი მოიმძინარა, თვალები დახუჭა და თავი მარჯვნივ გადააგდო, თითქოს უკვე ღრმა ძილს იყო მიცემული. პეტრო მივიდა საწოლთან და კიდეზე ჩამოჯდა. თამარი თვალებს არ ახელდა, მხოლოდ პეტროს სუნთქვას გრძნობდა და ისმენდა. მერე პეტრო დაიხარა და ამჯერად მარჯვენა ლოყასა და ტუნს შორის ზუსტად ისე მოხერხებულად აკოცა თამარს, როგორც ეს ტაქსში ჩამჯდარს გაუკეთა.

ელდანაცემმა თამარმა ეგრევე თვალები გაახილა და ლოგინიდან წამოწევა დააპირა, მაგრამ პეტრომ თავისი გრძელი მკლავებით, ისევ უკან დააბრუნა თამარი.

- რა იყო, პეტრო, აქ რატომ შემოხვედი? განა არ იცი, რომ უცხო ქალის ოთახში შესვლა არ შეიძლება.

- ქვეყნად ბევრი რამე არ შეიძლება, მაგრამ, მაინც აკეთებენ.

- აქ რა გინდა, დაბრუნდი შენს საწოლში, ახლავე დაბრუნდი. ხომ გეუბნები, უცხო ქალის საძინებელში შესვლა არ შეიძლება.

- მე ვარ შენთვის უცხო? უცხოები ის ვიღაც თურქი, არაბი და სპარსი არიან, მე კი შენი გადამრჩენელი ვარ. - თქვა პეტრომ და წინააღმდეგობის მიუხედავად, თამარს ჯერ მარჯვენა ხელი ჩაუყო მკერდში, შემდეგ ორივე ხელით ღამის პერანგზე საკინძე შემოახია.

ამაზე თამარი სულ მთლად გადაირია და კივილზე გადავიდა - დაბრუნდი ახლავე შენს საწოლში, დაბრუნდი, რომ გეუბნები.

- არა, მეც აქ დავწვები, შენთან, - პეტრო დაიხარა, თამარისთვის რომ ეკოცნა, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ გვერდზე გადაიწია, შემდეგ წინ წამოიწია, რათა წამომდგარიყო. მაგრამ პეტრომ ისევ უკან დააბრუნა, თან სახეზე, ყელზე, მოშიშვლებულ მკერდზე და მკლავებზე ჰკოცნიდა.

- გამიშვი, უნდა წამოვდგე, გამიშვი, ცუდად ვარ და წყალი უნდა დავლიო. - გაიბრძოლა თამარმა და მარცხენა ხელი ტორშელისკენ წაიღო, რათა შუქი აენთო.

- შუქს ნუ ანთებ, წყალს კი მე მოგიტან, - თქვა პეტრომ და სამზარეულოსკენ გასწია. ჭიქით ხელში რომ მობრუნდა, ტორშელის ცისფერ შუქზე მსუბუქად განათებულ ოთახში, თამარი ხელებში თავჩარგული იჯდა.

- დალიე და დამშვიდდი, - უთხრა პეტრომ თამარს და წყლით სავსე ჭიქა მიაწოდა.

თამარმა უხმოდ, ხელისკანკალით გამოართვა პეტროს ჭიქა და პირთან მიიტანა, მაგრამ კი არ სვამდა, მხოლოდ ტუჩებს ისველებდა.

პეტრომ დრო იხელთა და საწოლზე წამომჯდარ თამარს ჯერ თეთრ წვივებზე, შემდეგ მუხლებზე დაუწყო კოცნა.

- რას შვრები, ხომ არ გადაირიე? ნუ მკოცნი, ზემოთ რატომ ამოდისხარ? მანდ კოცნა სად გაგონილა? სად მკოცნი, სულ მთლად გაგიჟდი? სად მკოცნი, სად? მანდ არ შეიძლება კოცნა. - თავებრუდახევეულ თამარს ჯერ ჭიქა გაუვარდა ხელიდან, შემდეგ ხმა ჩაუწყდა და მხოლოდ ხავილი ამოსდიოდა პირიდან.

ცხოველივით გაცოფებულ პეტროს აღარაფერი ესმოდა და არც ადარდებდა, ველური ჟინის მოსაკლავად ჯერ მარჯვენა ხელით ტორშელი გამორთო, შემდეგ კი ლოგინზე უღონოდ დაგდებულ თამარს ეცა.

რამდენიმე წამში მკერდზე ღამის პერანგზემთავრებული და სამარცხვინოდ საცვალშემოხეული თამარის კვნესა, პეტროს ხვნეშა და საწოლის ჭრაჭუნი ისმოდა... როგორც იქნა, დაცხრა პირველი

ვნებათაღელვა და უზომოდ კმაყოფილი პეტრო ხვნეშით გულაღმა გაიშოტა, დარცხვენილი თამარი კი მარჯვნივ გადაბრუნდა.

- გადადი ახლა შენს ლოგინზე. - გამქრალი ხმით, ისე უთხრა თამარმა პეტროს, რომ მისკენ არც გაუხედავს.

ამის შემდეგ სამჯერ გადავიდა და გადმოვიდა პეტრო თამარის საწოლიდან თავის ლოგინში და პირიქით, თავისი ლოგინიდან თამარის საწოლში.

ბოლოს იქვე დარჩა, თამარის გვერდით... თამარსაც აღარ უთქვამს, გადადიო.

ყველა ჯერზე პეტრო კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო, ღამის პერანგშემოსებული და მკერდნაჯიჯგნი თამარი კი შერცხვენილი და ბედს შეგუებული.

- ასე არ ჯობია? ჩვენ თუ არ გავუგეთ ერთმანეთს, სხვა ვინ გაგვიგებს? ახლა დაიძინე და ხვალ დილით ბანკში მივდივართ, შენი ვალის გადასახდელად. ნუ გეშინია, სანამ რუსი ამ ქვეყანაზეა, სანამ პეტრო ცოცხალია, ვერც თურქი, ვერც არაბი და ვერც სპარსი შენ ბუზს ვერ აგიფრენს. - ალერსიანად ამშვიდებდა მისავათებულ თამარს პეტრო და ვნებიანად ჰკოცნიდა.

21

გადის რამდენიმე თვე, ვიღაც თურქის, არაბისა და სპარსის აგრესია აღკვეთილია, ხოლო თამარის რუსთან ჩახუტება ყოველგვარ ზღვარს გადასული, წითელ ხაზებს გადაკვეთილი და უკვე მეძავობად გადაქცეული. საქართველოდან ცოლთან ერთად გადახვეწილმა დაჩიმ, გაიგო რა, აბეზარ ურჯულთა ჩამოშორების ამბავი, სიხარულით მეცხრე ცაზე დაიწყო ფრენა.

- ძმაა პეტრო ჩემი, ძმა.- თვალებშიბნედილი ამაყად ამბობდა ის.

- პეტრო მარტო შენი ძმა არ არის, ჩემი ძმაც არის, მარინა კი დაა ჩემი. - ქმარს არც ლიზი უდებდა ტოლს.

პრობლემა გადაგორებულა, ანუ ვალი გადახდილია. ერთი ეს არის, დაჩიმ და ლიზიმ ოკეანის გაღმა კვლავ ვერ იპოვეს დოლარებგამოსხმული, ის რაღაც მაგიური ხე. ამიტომაც, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდათ დარჩენილი, ლიზიმ იკადრა და რომელიღაც მარკეტში პროდუქტების დამხარისხებლად თუ შემფუთავად დაიწყო მუშაობა. ამაყი ქალი, ასეთ საქმეს საქართველოში არაფრის დიდებით არ მოჰკიდებდა ხელს, რადგან აქ ბევრი ნაცნობ-ახლობელი ჰყავდა და ეუხერხულეობდა. ამერიკა კი, მაინც სხვაა, ნაკლები ნაცნობითა და კიდევ უფრო ნაკლები ახლობლით, აკეთე იქ, რაც გინდა, საქართველოდან, მაინც ვერავინ დაგინახავს.

დაჩის რაც შეეხება, ის ისევ თვალვებმბნედილი დადის და აკვირებულ სიტყვებს იმეორებს, - მართლა ამ ცხოვრების დედა, რაააააააააა, მე, ექიმი კაცი, სამშობლოდან გამოქცეული უნდა ვიყო და ასე უნდა ვწვალობდე?

რა გასაკვირია, რომ ნარნარ ცხოვრებას მიჩვეული ლიზი, მძიმე შრომამ დაღალა, ამჯერად უკვე ცოლის კმაყოფაზე დარჩენილი დაჩი კი გაფხეკილმა ჯიბემ. ამიტომაც იყო, ვალისგან გათავისუფლებულ და რაღაც საეჭვოდ გაბედნიერებულ თამარს, ორივენი, ლამის ყოველ დღე რომ უკავშირდებოდნენ და ეხვეწებოდნენ, მოკიდე ლუკას ხელი და ჩამოდი ამერიკაში, აქ უკვე გავიცანით ისეთი ხალხი, რომლებიც მექსიკიდან მცირე თანხებით გადმოგიყვანენ ამერიკაში, იმ დაწყევლილი სამოცდაათი ათასი დოლარის სესხება და ვალების აკიდება კი აღარ მოგიწევს. გაიგე? ჩამოდი, ჩამოდი აქ და ერთად ვიცხოვროთ ბედნიერად. ისე, როგორც უწინ ვცხოვრობდითო.

თამარი უსმენდა შვილსა და რძალს, მაგრამ სულაც არ იყო იმ ჭკუაზე, ჩაელაგებინა ჩემოდანი და ლუკასთან ერთად ამერიკისკენ აეღო გეზი. ცხოვრებაში უკვე საკმაოდ გამოცდილ ქალს კარგად ესმოდა, რომ ამერიკაში ემიგრანტად ჩასულს ან ფიზიკურად უნდა ემრომა, ან ვინმე მოხუცებულის მომვლელად უნდა ემუშავა, მოკლედ, თამარს წელებზე ფეხი უნდა დაედგა და ის ორი სისხლისმწოველი ბაღლინჯო, ანუ დაჩი და ლიზი კვლავ კისერზე დაესვა.

არა, თამარი ამას აღარ იზამს... და საერთოდ, რუსის ხელში ჩავარდნილ ქართველს რა დარჩენია ამერიკაში? არც არაფერი, მით უმეტეს, რომ იმ რუსმა საკმაოდ საინტერესო სამსახური გამოუჩარხა და თავისთან საცურაო კომპლექსში ექიმად დააწყებინა მუშაობა, საცაა მართვის მოწმობასაც ააღებინებს და მერე მანქანას უყიდის. ჰოდა, ბედნიერებაც, სხვა არაფერი ყოფილა, საერთოდ არაფერი. თუმცა, მიუხედავად ყველა სიკეთისა, სამოცდაერთი წლის თამარს, ისიც კარგად ესმის, რომ ამ ყოველად დევრადირებული, შვილისტოლა

რუსისთვის, რომელიც მისი შვილის მეჯვარეა, შვილიშვილის ნათლიაა და მასზე მთელი ოცდაექვსი წლით უმცროსია, ის მხოლოდ სექსუალური ურთიერების დასაკმაყოფილებელი ერთი ლამაზი სათამაშოა. დიას, თამარი პეტროსთვის სექსუალური სათამაშოა და მეტი არაფერი, სათამაშო, რომელსაც ნათელმირონადწოდებული რუსი, სხვა სექსუალური სათამაშოების მსგავსად, ძვირფასი საჩუქრების სანაცვლოდ გამოიძახებს, როცა უნდა, წაიყვანს, სადაც უნდა და გააბახებს, როგორც უნდა. მაგრამ არა უშავს, მთავარია, ასეთი ყოფით ადამიანი კმაყოფილია და ვიღაც ურჯულოები გამორჩეული სილამაზით აღსავსეს სარეცელის გაყოფას აღარ სთხოვენ და არც ლოცვაში უშლიან ხელს. ესეც კიდევ ერთი მიზეზი ბედნიერებისა.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თამარი რელიგიურ ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს და ყოველ დღით „ახალ აღთქმაზე“ დამხობილი ლოცულობს... ლოცულობს გულმხურვალედ, ხანდახან ცრემლების თანხლებითაც.

ამქვეყნიური პრობლემები კი მოგვარებულია, თუმცა პატიოსნების გაფლანგვისა და ნათელმირონობის შებიღწვის ხარჯზე. მაგრამ აქ, ამ წარწყმენილ ქვეყანაში, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ნეტავ, ვის რად უნდა ან ვის რაში აინტერესებს პატიოსნება და ნათელმირონობა?!

* * *

ლუკა უკვე გაიზარდა, გაისად თხუთმეტი წლისა გახდება და ალბათ წვერის მოპარსვასაც დაიწყებს.

თუმცა, ჯერ მაინც ბავშვია.

აჰა, ახლაც, დადის, ფიქრობს და ნატრულობს, ოღონდ არა შოკოლადებს, არამედ მამას ნატრულობს, მამას, რომელსაც, ლამის ყოველ ღამით სიზმარში ხედავს და აბოდებს კიდევ მასზე. ძალიან უნდა ლუკას მონატრებულ მამასთან ჩახუტება, მის გვერდით ჩამოჯდომა და თუნდაც რამე მომაბეზრებელი რჩევის მიღება.

დედა ხომ ენატრება და ენატრება.

შოკოლადებს რაც შეეხება, თამარი, ან პეტრო ნათლია უყიდიან, ეს არ არის პრობლემა.

ღიას, მთავარია, ლუკამ მოისურვოს და პეტრო ყოველთვის უყიდის შოკოლადებს, და არა მარტო შოკოლადებს. ერთი ეს არის, ლუკას ვერ გაუგია, ვერ გაურკვევია, პეტრო მისთვის ნათლიაა, ბიძიაა, მამობილია თუ ბაბუის შემცვლელია? ჰო, ვერ გაუგია და ვერ გარკვეულა ამ საკითხში, რადგან მის ჯერ კიდევ ფაქიზ გონებაში ყველაფერი არეულ-დარეულია, დასალაგებელია, დასაწყობია, თუმცა, თავისი ბავშვური გონებით, ერთს კი ატყობს, რომ უკვე ასაკში შესული, მაგრამ საკმაოდ ჰაეროვანი, ნაზი და კეკლუცი თამარი, პეტროს გამოჩენაზე კიდევ უფრო ჰაეროვანი, ნაზი და კეკლუცი ხდება ხოლმე.

გაიზრდება ლუკა და ალბათ ყველაფერს თავად გაიგებს, ჩაწვდება, მიხვდება.

თუ კაცად გაიზარდა, შერცხვება ყოველივე იმისა, რაც რუსისგან წაბილწულ მის ოჯახში ხდება, იმ რუსისგან, რომელიც, თურმე მისი ნათლიაა...

... ხოლო თუ არ შერცხვება, მაშინ კაცად არ გაზრდილა და უმჯობესი იქნება, განგებამ ჭკუით ისევ იქ დატოვოს, სადაც ახლა არის - გულუბრყვილო ბავშვის ასაკში.